ლელო

პირველი ქართული სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1934 წლის 13 აპრილიდან
3 მაისი **პარასკევი** 2013
№103 (14 019) ფასი 80 თეთრი

სეოკ-ის დელეგატებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი საქართველოს დელეგაციის სოჭის ზამთრის ოლიმპიურ თამაშებში მონაწილეობას

ეროვნული ბიბლიოთეკა

| | |
|---|---|
| **მომხრე** | **46** |
| **წინააღმდეგი** | **0** |

# საქართველო სოჭში მიდის...

2013 წლის 2 მაისი. თბილისი



სოჭის 2014 წლის ზამთრის ოლიმპიურ თამაშებამდე წელიწადზე ნაკლები დარჩა და ქართველი სპორტსმენების მასში მონაწილეობის საკითხი დღემდე გადაწყვეტილი არ იყო. ამ ყბადაღებულ თემასთან დაკავშირებით, 2 მაისს სეოკ-ის რიგგარეშე სესია გაიმართა და სოჭში წასვლა-არწასვლის ირგვლივ ატეხილ აჟიოტაჟს საბოლოოდ დაესვა წერტილი.

სესიას სეოკ-ის აღმასკომის წევრები, სპორტის ოლიმპიურ სახეობათა ფედერაციების ხელმძღვანელები და ოლიმპიური ჩემპიონები დაესწრნენ. დღის წესრიგის მთავარი საკითხიც „სოჭი 2014“ იყო. სეოკ-ის გენერალურმა მდივანმა ემზარ ზენაიშვილმა ვრცლად ისაუბრა ამ კუთხით არსებულ ვითარებასა და იმ სამომავლო შედეგებზე, რაც შეიძლება ოლიმპიადის ბოიკოტირების შედეგად მივიღოთ. მისი თქმით არავინ დავობს, რომ რუსეთს ჩვენი ქვეყნის ტერიტორიის ნაწილი ოკუპირებული აქვს, მაგრამ უნდა გავითვალისწინოთ, რომ ამას სპორტთან არავითარი კავშირი არა აქვს. ბოიკოტს არა სოჭს, არამედ საერთაშორისო ოლიმპიურ კომიტეტს გამოვუცხადებთ, რომელსაც აქვს ექსკლუზიური უფლება ამა თუ იმ ქალაქს მიანიჭოს ზამთრისა თუ ზაფხულის ოლიმპიური თამაშების მასპინძლობის უფლება.

თავიანთი მოსაზრებები გამოთქვეს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა მინისტრის მოადგილემ თამაზ თევზაძემ, ოლიმპიურმა ჩემპიონმა, სეოკ-ის ვიცე-პრეზიდენტმა ნინო სალუქვაძემ, სამგზის ოლიმპიურმა ჩემპიონმა კახი კახიაშვილმა, ასევე ფიგურული ციგურაობის, სამთო სათხილამურო სპორტის, კალათბურთის, ხელბურთის, რაგბის, ფეხბურთის, ფარიკაობის, ჭიდაობის ფედერაციათა ხელმძღვანელებმა.

საბოლოოდ ხმის უფლების მქონე დელეგატებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი საქართველოს დელეგაციის სოჭის ზამთრის ოლიმპიურ თამაშებში მონაწილეობას.

სეოკ-ის პრეზიდენტის ლერი ხაბელოვის თქმით, სესიამ მართებული გადაწყვეტილება მიიღო, რადგან სპორტი და პოლიტიკა ერთმანეთისგან უნდა გაიმიჯნოს და სპორტსმენს არ უნდა წაერთვას ისეთ გრანდიოზულ სპორტულ ფორუმზე გამოსვლის უფლება, როგორიც ოლიმპიური თამაშებია.

სეოკ-ი საერთაშორისო ოლიმპიურ კომიტეტს საბოლოო პასუხს 7 მაისამდე აცნობებს.

geonoc.org.ge

# ...ჩელსი და ბენფიკა ამსტერდამში




7

რაც უეფას თასი ევროპალიგად გადაკეთდა, ჰოლანდიურ „ამსტერდამ არენაზე“ მეოთხე ფინალი გაიმართება. იქ ჩვენ ლონდონის „ჩელსის“ და ლისაბონის „ბენფიკას“ ვიხილავთ. წუხელ, საპასუხო ნახევარფინალურ მატჩებში მასპინძლებმა იძალეს და ფინალის საგზურები დაიბევეს. მაშ ასე, ფინალში ერთმანეთს ესპანელი რაფა ბენიტესის და პორტუგალიელი ჟორჟე ჟეზუსის გუნდები შეერკინებიან...




## ჩელსიმ უნდა გაასამოს

ჩელსის კოლექციის შესავსებად უეფას თასი აკლია და შეურთდება „იუვენტუსს“, „ბაიერნს“, „აიაქსსა“ და „ბარსელონას“, რომლებსაც თავიანთი არსებობის ისტორიაში სამივე ევროთასი აქვთ მოგებული

● დინამო


ჩისკო

# რატომ არ დააკმაყოფილეს დინამოს მოთხოვნა?

## ჩისკო ტორპედოსთანაც არ იქნება

ფეხბურთის ფედერაციის სადისციპლინო კომიტეტის გადაწყვეტილებით, თბილისის „დინამოს" ფეხბურთელი **ჩისკო** ზუგდიდელ **ნიკა აფაქიძის** წინააღმდეგ უხეშობისთვის, სამმატჩიანი დისკვალიფიკაციით დაისაჯა.

ორიოდე დღის წინ, "დინამომ" კომიტეტს შუამდგომლობით მიმართა, რომ ჩისკოსთვის დისკვალიფიკაცია შეემცირებინათ, რაც არ დააკმაყოფილეს. კომიტეტის თავმჯდომარე **ჯიმშერ ტყებუჩავას** თქმით, "დინამოს" ესპანელი ლეგიონერი 4 მაისს, ქუთაისის "ტორპედოსთან" შეხვედრასაც გამოტოვებს.

ამას გარდა, 2013 წლის 27 აპრილს, "დილა"-"დინამოს" მატჩის დასრულების შემდეგ, გორელთა მთავარის მწვრთნელმა **ვალდას ივანაუსკასმა** მსაჯობაზე მკვეთრი განცხადებები გააკეთა. ამისთვის ლიტველ სპეციალისტს სიტყვიერი გაფრთხილება აკმარეს. ამავე დროს, გორის "დილა" 800 ლარით დაჯარიმდა იმის გამო, რომ 27 აპრილს, "დილა"-"დინამოს" შეხვედრის შესვენებისას, გულშემატკივრებს შორის დაპირისპირება მოხდა, მატჩის დასასრულს კი ტრიბუნებიდან სხვადასხვა საგანი ისროლეს.

გუშინ, სადისციპლინო კომიტეტის გადაწყვეტილებებს თბილისის "დინამო" საკმაოდ მკაცრი ოფიციალური განცხადებით გამოეხმაურა და მიუთითა, რომ საკითხების უფრო კვალიფიციურად განხილვა სურდათ.

■ ■ ■

*„საფეხბურთო კლუბი „დინამო თბილისის" ფეხბურთელი- ფრანჩისკო მუნიოსი დისკვალიფიცირებულ იქნა 3 მატჩით სფფ- ს ეგიდით გამართულ ოფიციალურ შეჯიბრებებში და დაჯარიმდა 500 ლარით.*

*ალნიშნული გადაწყვეტილება სფფ- ს სადისციპლინო კომიტეტმა მიიღო სფფ- ს სადისციპლინო კოდექსის 97 მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე, ამ პუნქტში პირდაპირ არის განსაზღვრული თუ რა ქმედება ისჯება 3-მატჩიანი დისკვალიფიკაციით, კერძოდ, „მოთამაშის ან კლუბის ოფიციალური პირის აგრესიული ქცევა მატჩამდე, მატჩისას და მატჩის შემდეგ, ანუ გადამეტებული ძალის ან სიხისტის გამოყენება მეტოქის წინააღმდეგ, არა ბურთის მოპოვებისათვის და/ან სხვა პირის მიმართ, მათ შორის განზრახ ბიძგი და დარტყმა ისჯება 3-მატჩიანი დისკვალიფიკაციით".*

*სფფ-ს სადისციპლინო კომიტეტმა ჩათვალა, რომ ჩისკომ განზრახ დაარტყა ან უბიძგა მოწინააღმდეგე ფეხბურთელს არა ბურთისათვის ბრძოლაში და მას ამის გამო შეუფარდა 3-მატჩიანი დისკვალიფიკაცია და ფულადი ჯარიმა, ანუ სხვა სახის სანქციის გამოყენება ჩისკოს ქმედებისათვის კომიტეტს არც შეეძლო. როგორც მოგეხსენებათ, 2 მატჩის გამოტოვების შემდეგ „დინამომ" მიმართა ფედერაციას შუამდგომლობით, რის უფლებასაც ჩვენ გვაძლევს საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის სადისციპლინო კოდექსის 43-ე მუხლის მე-3 პუნქტი, ამ პუნქტით „დინამომ" როგორც დაინტერესებულმა პირმა იშუამდგომლა კომიტეტის წინაშე, გამოტანილი სპორტული სანქციის შესრულების შეჩერების თაობაზე.*

*კერძოდ:*

*სფფ- ს სადისციპლინო კოდექსის 43-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად: „სპორტული სანქციის შესრულება შეიძლება შეჩერებულ იქნეს იურიდიული ორგანოს გადაწყვეტილებით, თუ პირისთვის დაკისრებული სპორტული სანქციის ვადა შეადგენს არანაკლებ 2 მატჩს ან 1 თვეს და არა უმეტეს 5 მატჩს ან 6 თვეს და თუ ეს დასაშვებია საქმის გარემოებებით, კერძოდ, დამრღვევი პირის წარსული იძლევა ამის საშუალებას", ამავე მუხლის მე- 3 პუნქტის შესაბამისად კი „სპორტული სანქციის შესრულების შეჩერება დასაშვებია სასჯელის არანაკლებ ნახევარი ვადის გასვლის შემდეგ".*

*ზემოთ მოყვანილი არგუმენტებიდან და სადისციპლინო კოდექსის ამონარიდებიდან გამომდინარე, მიგვაჩნია, რომ ჩვენი მოთხოვნა სანქციის შეჩერების თაობაზე სავსებით სამართლიანი გახლდათ და კომიტეტს ეს მოთხოვნა უნდა დაეკმაყოფილებინა. სხვა შემთხვევაში გაუგებარია, მაშინ რატომ არსებობს ამგვარი მუხლები სადისციპლინო კოდექსში თუ მათი გამოყენება მაინც არ ხდება, ან რატომ და რა კრიტერიუმებით იღებენ კომიტეტის წევრები გადაწყვეტილებებს. სასურველია, მსგავსი საკითხები უფრო კვალიფიციურად იქნას განხილული.*

**მერაბ მამულაშვილი**

● შეხვედრა წარსულთან

# ასე ხდებოდნენ ჩემპიონები...


შარშან ჩემპიონობა ორმა გუნდმა იზეიმა - მეტალურგმა (ზემოთ) და ზესტაფონმა. ტიტული ბოლოს ზესტ დარჩა



● სპეციალისტის კომენტარი


გიორგი ჭიაბრიშვილი

# გია ჭიაბრიშვილი: გამოჩნდა, თუ რამდენს ნიშნავს მწვრთნელი

**ჩემპიონთა ლიგის ნახევარფინალების პირველი მატჩების შემდეგ, აზრის გამოთქმა ქართველ სპეციალისტებს ვთხოვეთ, საპასუხო შეხვედრების შემდეგ კი ჩვენი რესპონდენტი „ზესტაფონის" ყოფილი მთავარი მწვრთნელი გია ჭიაბრიშვილი გახლავთ. ვფიქრობთ, ინტერესმოკლებული არც მისი შეფასებები იქნება - სპეციალისტები ხომ სულ სხვა თვალით უყურებენ ყველაფერს...**

**- ჩემპიონთა ლიგის ფინალში ორი გერმანული გუნდი გავიდა - ეს რას უნდა ნიშნავდეს?**

- მაქსიმალურად გამოჩნდა განსხვავება ბუნდესლიგასა და ესპანეთის პრიმერადივიზიონს შორის. ერთხელაც დავინახეთ, თუ რა დონეზეა გერმანული ფეხბურთი, მათი კლუბებიცა და ეროვნული ნაკრებიც დღეს ძალიან მაღლა დგანან. „ბაიერნიცა" და „დორტმუნდიც" საუკეთესო ფორმაში არიან. უნდა ითქვას, რომ ამ მომენტისთვის „რეალიც" საუცხოო ფორმაშია, რასაც ვერ ვიტყოდი „ბარსელონაზე". „დორტმუნდიცა" და :ბაიერნიც" ერთი თავით მაღლა აღმოჩნდნენ ესპანურ გრანდებზე. „დორტმუნდის" მაგალითი მართლაც აღნიშვნის ღირსია - კლუბი გაკოტრებული იყო, აილო სესხი, გამოჩნდნენ ახალი მენეჯერი და იურგენ კლოპი და სამ წელიწადში დიდი პროგრესი განიცადეს. გამოჩნდა, თუ რამდენს ნიშნავს კარგი მწვრთნელი და სწორი პოლიტიკის შერჩევა. რომ არა „დორტმუნდის" მენეჯერი და მწვრთნელი, ამ გუნდის ახალგაზრდა ფეხბურთელები ასე ვერ დაწინაურდებოდნენ.

**- მწვრთნელები ალბათ არც ესპანურ გრანდებს დაეწუნებათ...**

- რაც უფრო დიდია გუნდი, მით უფრო დიდი მწვრთნელი და დიდი მენეჯერი სჭირდება. რომ ამბობდნენ, ამ „ბარსელონას" მწრთნელი რაღაში ჭირდებაო, ხომ გამოჩნდა, რომ ეს მცდარი შეხედულება იყო. ქედს ვიხრი ჟოზე მოურინიოს წინაშე, მაგრამ ფაქტია, რომ კლოპის გუნდმა აჯობა „რეალს".

**- ზოგი მიიჩნევს, რომ „დორტმუნდი" უფრო ლამაზ და საინტერესო ფეხბურთს თამაშობს, ვიდრე „ბაიერნი" - ეთანხმებით ასეთ მოსაზრებას?**

- „ბაიერნს" არანაირი ლაფსუსი არ აქვს, მისი ყველა რგოლი ჩინებულად მოქმედებს, მიუნხენური გუნდი უფრო კომბინაციურ ფეხბურთს თამაშობს, უფრო მეტ გადაცემას ასრულებს. ვერ ვიტყვი, რომ „დორტმუნდი" „ბაიერნზე" უფრო მიმზიდველ ფეხბურთს თამაშობს ან პირიქით. აქ უკვე გემოვნების საკითხია - ვის როგორ მოსწონს...

**- შარშან ან იმის წინა სეზონში ესპანური კლუბები გერმანელებს არათუ ჩამორჩებოდნენ, უკეთესადაც გამოიყურებოდნენ - ასე მოკლე დროში ამხელა განსხვავება როგორ შეიქმნა?**

- სავსებით შესაძლებელია, რომ ასეთი განსხვავება ერთ სეზონში შეიქმნას. ფაქტია, რომ ბუნდესლიგამ მნიშვნელოვანი ალმავლობა განიცადა. ჩემპიონთა ლიგის ნახევარფინალებში ორი საუკეთესო ჩემპიონატის გუნდები გავიდნენ. სპეციალისტის თვალიც აღარ არის საჭირო იმის შესამჩნევად, რომ დღეს გერმანიის ჩემპიონატი უფრო ძლიერია, ვიდრე პრიმერადივიზიონი.

**- როგორ ფიქრობთ, ესპანური ფეხბურთი დაღმა წავიდა?**

- ყველა აღმართს დაღმართი მოსდევს. ესპანური ფეხბურთი დაღმა წავიდა თუ არა, ამას დრო გვიჩვენებს.

**- ჩემპიონთა ლიგის ამ გათამაშებაში ახალი საინტერესო ფეხბურთელები თუ დაინახეთ?**

- უნდა გამოვარჩიო „რეალის" 20 წლის მცველი რაფაელ ვარანი, აქამდე მასზე ბევრი არაფერი ვიცოდი. მარიო გიოტცეს და რობერტ ლევანდოვსკის მაღალ დონეზე რომ შეეძლოთ თამაში, ეს ჩემპიონთა ლიგის წლევანდელ გათამაშებამდეც ვიცოდით. 20 წლის ალაბაც არ იყო უცნობი, თუმცა ამ სეზონში ის უკვე სულ სხვა ფეხბურთელად ჩამოყალიბდა. ალაბა უდავოდ გამორჩეული ახალგაზრდაა მიმდინარე სეზონში. კარგად წარმოაჩინა თავი „ბაიერნის" 24 წლის ესპანელმა საყრდენმა ნახევარმცველმა ხავი მარტინესმაც, ის ძალიან ძლიერი ფეხბურთელია.

**- და მაინც, რა დაემართა „ბარსელონას"? ორი მატჩის ჯამში 0:7 ხომ მართლაც მოულოდნელი შედეგი იყო...**

- „ბარსელონა" მესის გარეშე ვერ ქმნის იმ თამაშს, რითაც ეს გუნდი მკვეთრად აღემატებოდა მეტოქეებს. მესი საუკეთესო ფორმაში რომ ყოფილიყო, „ბაიერნთან" სხვანაირ დაპირისპირებას ვნახავდით. საერთოდ ასეა, რაც არ უნდა კარგი მწვრთნელი ჰყავდეს გუნდს, მოედანზე ყველაფერს მაინც ფეხბურთელი წყვეტს.

**- ჩემპიონთა ლიგის ამ გათამაშების საუკეთესო ფეხბურთელად ვის დაასახელებდით?**

- წინ ჯერ ფინალია და საუკეთესოს დასახელებაც მერე იყოს. ფინალამდე კი ყველაზე გამორჩეული არიენ რობენი გახლდათ. მას მატჩის ბედის გადაწყვეტა შეუძლია. რობენი მართლაც საოცარი ფეხბურთელია. უნდა აღინიშნოს ისიც, თუ როგორ ირჯება ფრანკ რიბერი, დაცვაში ჩასვლა არ ეზარება, ამავე დროს სულ შეტევაზეა ორიენტირებული და დიდი მოცულობის სამუშაოს შესრულების მიუხედავად, მაღალი სიჩქარით ერთვება იერიშში. „ბაიერნში" სწორედ ის და რობენი არიან ლიდერები.

**დავით თავართქილაძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა

დილა

# გორელი ქომაგები დილას დასაცავად!

"ლელოში" გამოქვეყნებულ წერილს ("ბავშვური ოცნების დასასრული - გორის „დილა" იშლება!") გულშემატკივართა შორის დიდი გამოხმაურება მოჰყვა.

გორელმა გულშემატკივრებმა ამბიციური კლუბის შესანარჩუნებლად აქცია გამართეს.

*"მეგობრებო, გავერთიანდეთ! დაგვიდექით გვერდით და ერთად გადავარჩინოთ კიდევ ერთი საფეხბურთო კერა, რომელიც მოშლის პირასაა"* – ასე იწყება წერილი, რომელიც "დილაში" წარმოქმნილ ფინანსურ პრობლემებს ეძღვნება.

*"ერთ-ერთ საუკეთესო ქართულ კლუბს, გორის „დილას" ევროტურნირზე თამაში ელის და ნაცვლად იმისა, რომ გაძლიერებასა და განვითარებაზე ფიქრობდეს, პრობლემები შეექმნა. კარგი თამაშით, "დილამ" გორში მშვენიერ საფეხბურთო კერას ჩაუყარა საფუძველი: ჩემპიონატისადმი ჩვენი საზოგადოების ინდიფერენტული დამოკიდებულების ფონზე, გორში გამოცოცხლება და ფეხბურთისადმი დიდი ინტერესი იგრძნობა. გუნდში თამაშობენ ეროვნული და ასაკობრივი ნაკრებების ფეხბურთელები, მოწვეულია კვალიფიციური სპეციალისტი და კლუბის წინსვლისა და განვითარებითვის ყველა საწყისი პირობა არსებობს. მაგრამ ნაცვლად განვითარებისა, კლუბი დაშლის პირას იმყოფება, ხოლო ქომაგს ისიც ვერ გაურკვევია, პასუხი ვის მოსთხოვოს.*


გორელმა გულშემატკივრებმა კლუბის შესანარჩუნებლად აქცია გამართეს

*"დილას" დაშლა ქართული ფეხბურთისთვის კიდევ ერთი უკან გადადგმული დიდი ნაბიჯი იქნება. ამიტომ ქართული ფეხბურთით დაინტერესებულმა ყველა ადამიანმა, გულშემატკივარმა, ქომაგმა, უბრალოდ მოყვარულმა უნდა შევძლოთ გაერთიანება და მოვუწოდოთ მათ, ვისაც ეს ხელეწიფებათ - არ დაგვიშალონ კლუბი!*

*დღეს "დილას" უჭირს, შეიძლება, ანალოგიურ ვითარებაში ხვალ სხვა გუნდი ჩავარდეს და თუ ამ ამბავს ახლა წავუყრუებთ, ქართული ფეხბურთის წინაშე ჩადენილი კიდევ ერთი დანაშაულის უნებლიე თანამონაწილენი გავხდებით! ასე რომ, ვიაქტიუროთ და მოვახერხოთ კიდევ ერთი გუნდის შენარჩუნება! ჩვენ ერთად ყვლაფერს შევძლებთ! გაუმარჯოს ქართულ ფეხბურთს!"* – ვკითხულობთ მიმართვაში.

შევიტყვეთ, რომ აქციას თბილისის "დინამოს" და სხვა ქართული გუნდების გულშემატკივართა ნაწილიც უერთდება. მიუხედავად ფანებს შორის დაპირისპირებისა, ჩემპიონატის ერთ-ერთი გამორჩეული კლუბის ბუნდოვანმა მომავალმა ყველა ერთად დაამწუხრა.

შევიტყვეთ, რომ შესაძლოა, სულ მალე "დილას" დღევანდელი შემადგენლობის შესანარჩუნებლად აქციაც გაიმართოს. იქნებ ამან შედეგი გამოიღოს...

რეგიონი

# ქართლი 2011: ახალი ბაზა და პროექტები

## პაატა ფილიევი: ამ კლუბში 10-15 მილიონს ჩავდებ

გორის საფეხბურთო აკადემიის - "ქართლი 2011"-ის პრობლემებზე "ლელო" მარტში წერდა. საქართველო ძლიერი საფეხბურთო ცენტრებით განებივრებული არ არის, მით უფრო, რეგიონებში. ამიტომაც იყო დიდი მოვლენა იყო 2011 წლის 30 დეკემბერს, გორში საფეხბურთო აკადემიის გახსნა.

პროექტის ინიციატორი და დამფინანსებელი ბიზნესმენი **პაატა ფილიევი** გახლდათ, რომელიც წლების წინ, გორის "ქართლის" მეკარე იყო. შემდეგ, კიევში ბიზნესი წამოიწყო, ახლა კი რუსეთსა და უნგრეთში საქმიანობს. მას საუკეთესო საფეხბურთო ცენტრის დაფუძნება სურდა, რადგან ფეხბურთში სახელმწიფო კლუბების საქმიანობას კატეგორიულად ეწინააღმდეგებოდა და მიიჩნევდა, რომ ქართული ფეხბურთის პროგრესს სწორედ ეს აბრკოლებდა.

ფილიევი გორში გამოყოფილ 5 ჰექტარზე ბალახისსაფრიანი მოედნების გაკეთებას და რამდენიმე კორპუსის აშენებას გეგმავდა, სადაც 300-მდე ბავშვი საჯარო სკოლების პროგრამით ისწავლიდნენ, იცხოვრებდნენ და საუკეთესო პირობებში ივარჯიშებდნენ. მანამდე კი გორსა და მიმდებარე სოფლებში მინდვრები იჯარით აიღეს.

"ქართლი 2011"-ში 300-მდე ბავშვი ვარჯიშობდა და იქ ასაკის გადაკეთების მანკიერი ტრადიციაც კატეგორიულად აკრძალეს. საინტერესოა, რომ თითოეული ბავშვი აკადემიის პარტნიორ კომპანიაში - "იმედი L"-ში დააზღვიეს, რაც უმაღლესი ლიგის ბევრი გუნდისთვისაც ფუფუნებაა. აკადემიის მესვეურები ცდილობდნენ, ლიცენზირების პირობები მაქსიმალურად შეესრულებინათ.

გარდა ამისა, 2012 წლის ზაფხულში ჩამოყალიბდა "ქართლი 2011"-ის გუნდი, რომელიც ამჟამად მეორე ლიგაში გამოდის. გუნდის მიზანი უმაღლეს ლიგაში ალზევებაა, ხოლო არც ისე შორეულ მომავალში - ევროსარბიელზე გასვლა.

ქართულ ფეხბურთს ბიზნესის სამყარო, მაინცდამაინც, არ წყალობს. ამ ფონზე პაატა ფილიევის გეგმების გაჟღერება სასიამოვნო სიურპრიზი იყო. არადა, მან გეგმები შეცვალა და გადაწყვიტა "ქართლი 2011" გორიდან სოფელ ხელთუბანში გადაეყვანა, შიდა ქართლის რეგიონული ფედერაციიდან გასულიყო და თბილისის ფედერაციას შეერთებოდა, გუნდს კი "მცხეთა პარკზე" ეთამაშა.

როგორც ჩანს, მარტში ატეხილმა განგაშმა შედეგი გამოიღო, "ქართლი 2011" გორში კი დარჩა, მაგრამ პაატა ფილიევმა თავდაპირველ გეგმებში კორექტივები კვლავ შეიტანა და კიდევ რამდენიმე საინტერესო ამბავი გაგვიმხილა:

- მალე ხელთუბანში დავიწყებთ ბაზის მშენებლობას, სადაც ორი სტანდარტული მოედანი და 50 კაცზე გათვლილი სასტუმრო და ცენტრალური სტადიონი იქნება. ამ უკანასკნელის გარდა, ყველაფერი მომავალი წლის გაზაფხულისთვის უნდა დასრულდეს, "ქართლი 2011" კი პირველ ლიგაში ითამაშებს. ამავე დროს, გუნდს მეორე ლიგაშიც შევინარჩუნებთ.


პაატა ფილიევი

**- გორიდან წასვლა რატომ გადაიფიქრეთ?**

- დავრჩით, რადგან "ლელოში" გამოქვეყნებულმა წერილმა ბევრი რამ შეცვალა.

**- საერთოდ, "ქართლი 2011"-ს რა მიზნები აქვს?**

- უმაღლეს ლიგაში დამკვიდრება, ჩემპიონობა და ევროსარბიელზე გასვლა.

**- ამას საკმაოდ დიდი ფინანსები სჭირდება...**

- მოთამაშეებს 10 და 20-ათასიან ხელფასებს არ გადავუხდით, მაგრამ 5 წლის განმავლობაში გუნდში 10-15 მილიონი დოლარის ოდენობის ინვესტიციას დავაბანდებ.

**- სტადიონი სად უნდა ააშენოთ?**

- ამ პროექტზე დროებით უარი სწორედ ამ საკითხის დასაზუსტებლად ვთქვით და ახლა გორში შესაბამის ადგილს ვეძებთ. სხვათა შორის, ლევან ყიფიანმა დახმარების სურვილი თავად გამოთქვა, რადგან შეიტყო, რომ დიდ პროექტზე იყო ლაპარაკი. თუ მასშტაბურ პროექტზე არ ვიფიქრებთ, ისე სკოლისა და გუნდის ჩამოყალიბებას აზრი არ აქვს. ჩვენ უნდა შევქმნათ "აიაქსის" დარი, მოთამაშეთა აღზრდაზე ორიენტირებული აკადემია, რომელიც ფეხბურთელების წინსვლითა და მათი უცხოეთში გადასვლით იქნება დაინტერესებული.

**- საინტერესო გეგმებს შეეჭიდეთ. მაგრამ ახლა გორის "დილას" მომავალი გაურკვეველია და მისი აყვანის სურვილი არ გაგჩენიათ?**

- აჯობებს, გუნდს რეალური საფუძველი ჩავუყაროთ, რათა შემდეგ, უმაღლეს ლიგაში არა მხოლოდ ჩამოყვანილი მოთამაშეებით, არამედ საკუთარი აღზრდილებითაც გავიდეს ფონს. გვინდა თუ არა, გულშემატკივარს სურს, რომ თავის გუნდში მეტი თანაქალაქელი იხილოს. კლუბში კი კომერციული მხარე მაქსიმალურად უნდა იყოს გათვალისწინებული. ამ კუთხით, გორის "დილაში" ყველაფერი შესაცვლელი მგონია და სანამ იქ საქმე დალაგდება, მანამდე "ქართლი 2011" უფრო განვითარდება.

**- კი მაგრამ, გორში კომერციულად მომგებიანი გუნდის შექმნა რეალური გგონიათ?**

- მგონია კი არა, დარწმუნებულიც ვარ, რომ ეს შესაძლებელია. გორში სპორტული ნაწარმის ფაბრიკის აშენება მსურდა. თუ ხელს არ შემიშლიან, ამ პროექტს მაინც განვახორციელებ. ჩრდილოეთ კავკასიაში ბევრ გუნდს შევუთანხმდი, რომ ეკიპირებას ჩვენთან შეიძენენ და გულშემატკივრისთვისაც იაფ ფორმებს შევკერავთ. არა მგონია, სტადიონზე მოსულებმა გუნდის 5-ლარიანი მაისურები ვერ შეიძინონ. ცხადია, ევროპელების დარი შემოსავლების იმედი არ გვაქვს, მაგრამ ამ და სხვა ნაბიჯებით გუნდის კომერციულ რელსებზე გადაყვანა შესაძლებელია.

12 წელია, საქართველოში არ ვყოფილვარ, მაგრამ ყველას ვაჩვენებ, როგორ მიყვარს გორი და საქართველო. ნახავთ, რამდენად ეფექტურია კერძო კლუბი და აკადემია. მომავალი მათ ეკუთვნით და არა სახელმწიფოს მიერ დაფინანსებულ კლუბებს. და კიდევ: დიდი სურვილი მაქვს, პენსიაზე გასულმა საკუთარ აშენებულ სტადიონზე ვიხილო "ქართლი 2011"-ის შეხვედრა რომელიმე დიდ ტურნირზე. იმედია, ეს ოცნება ამიხდება.

ლეგიონერი

# ბაქარ მირცხულავას გადასვლას სთავაზობენ

ფეხბურთელი, რომლის მენეჯერიც რონალდოს აგენტი იყო და 17 წლისა ლისაბონის "ბენფიკას" დუბლშემადგენლობის კაპიტანი გახლდათ, ახლა კარიერის აწყობას მოლდოვაში ცდილობს. ლაპარაკია **ბაქარ მირცხულავაზე**, რომელიც ამჟამად კიშინიოვის "ზიმბრუს" მოთამაშე გახლავთ.

20 წლის ცენტრალურ მცველს მოლდოვურ კლუბში თავიდან არ ათამაშებდნენ, თუმცა ბოლო ორი ტურია, მთავარმა მწვრთნელმა **სერგეი სირბუმ** ძირითად შემადგენლობაში დააყენა და ისიც ამ იმედებს ამართლებს.

*"არ ვიცი, საიდან მოიტანეს, თითქოს, ბოლო ტურებში არ გვითამაშია. ამ დროს მეც და თორნიკე სტეფნიაშვილიც ძირითადში ვიყავით და მწვრთნელი კმაყოფილი დარჩა. კოტე გაბაშვილი კი ტრავმირებულია და მკურნალობს. ახალგაზრდული ნაკრების მწვრთნელები ხომ დიდ ყურადღებას აქცევენ ჩვენს თითოეულ ნაბიჯს და აინტერესებთ, ვინ თამაშობს და ვინ - არა. მე კი ნაკრებში დაბრუნება მინდა და კლუბის ძირითადში მოხვედრა ამიტომაც მახარებს. "ზიმბრუ" გრანდი არ არის, მაგრამ მოლდოვის ყველაზე ცნობილი კლუბია და ეს უმნიშვნელო ამბავიც არ უნდა იყოს. საერთოდ, ბოლო 8 ტურში 4 შეხვედრა ჩავატარე. თავიდან იმიტომ გამოვტოვე, რომ ჩემს პოზიციაზე 38 წლის სერგეი კუზნეცოვი თამაშობს, რომელიც კარიერას ამთავრებს და სკამზე ვერ სვამდნენ. მაგრამ გუნდის საქმები ცუდად რომ წავიდა, ბოლო მატჩებში თავის გამოჩენის შანსიც მომცეს და მიმაჩნია, რომ მე ის გამოვიყენე. ბოლო ტურის შემდეგ მწვრთნელი ჩემითაც კმაყოფილი იყო და სტეფნიაშვილითაც – "ოლიმპიასთან" 2:2 ვითამაშეთ, "სპერანტასთან" კი 8:1 მოვიგეთ. იმედია, სეზონის დასრულებამდე დარჩენილ შეხვედრებში სათამაშო პრაქტიკა არ მომაკლდება, მერე კი "ზიმბრუს" დავტოვებ. უკეთეს გუნდში თამაში მსურს. კარგი ვარიანტი თუ გამოჩნდება, აუცილებლად წავალ. იმედია, მოლდოველები ხელს არ შემიშლიან, რაღაც ვარიანტებს კი უკვე მთავაზობენ, მაგრამ ჯერ არაფერი გადამიწყვეტია. საერთოდ, მიმაჩნია, რომ პორტუგალიიდან წამოსვლა დიდი შეცდომა იყო. კონტრაქტის დასრულებამდე 6 თვე მქონდა დარჩენილი, მაგრამ ჩეხეთის უმაღლესი ლიგის გუნდში ჩარიცხვის გარანტია მომცეს და "ბენფიკასთან" ხელშეკრულება გადავხიე, დუბლებში თამაშს, ძირითადში მოხვედრა მერჩივნა. მაგრამ ეს ტყუილი იმედი აღმოჩნდა, თანამშრომლობის მსურველი რამდენიმე მენეჯერი მოვიმდურე და უდიდესი შეცდომა დავუშვი. არაფერია, ახლაც შეიძლება კარიერის აწყობა, ჯერ ხომ მხოლოდ 20 წლის ვარ"* – ამბობს მირცხულავა.

გვერდი მოამზადა
**მერაბ მამულაშვილმა**


ბაქარ მირცხულავა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლივერპული

# ლივერპულმა ნაჩუქარ ევროსაგზურზე უარი თქვა



ბრენდან როჯერსი

მომდევნო სეზონისთვის ინგლისის ჩემპიონატმა უეფასგან შესაძლოა „ფეარ პლეის" წესების დაცვის გამო ევროთასებზე ერთი დამატებითი ადგილი მიიღოს. ჯერჯერობით, უეფას რეიტინგის პირველ სამეულში ნორვეგიელები, შვედები და ფინელები არიან (საგზურს მხოლოდ სამი ქვეყანა მიიღებს). სკანდინაველებს კუდში მიჰყვება ინგლისიც. პრემიერლიგის დისციპლინურ რეიტინგში პირველ ადგილზე „არსენალია", რაკი ლონდონელებს ჩემპიონთა ლიგაში გასვლის შესანიშნავი შანსი აქვთ, ის მომდევნო გუნდმა უნდა ჩაანაცვლოს, ეს კი „ლივერპულია". მერსისაიდელებს პრემიერლიგის 35 ტურში მხოლოდ 51 ყვითელი და 2 წითელი ბარათი აქვთ. „ფეარ პლეის" კრიტერიუმების თანახმად, ამ შემთხვევაში **ლუის სუარესის** 10-თამაშიანი დისკვალიფიკაცია გათვალისწინებული არ იქნება. ყველაფერი საბოლოოდ სეზონის მიწურულს გაირკვევა, თუმცა „ლივერპულმა" პროფესიულ ლიგას წინასწარ უთხრა უარი ამგვარ პატივზე. ამის ერთ-ერთი მიზეზი ევროპა ლიგის მე-2 ეტაპის ჩატარების თარიღია. ის 18 და 25 ივლისს არის დანიშნული. **ბრენდან როჯერსსა** და კომპანიას კი ამ პერიოდში აზიური ტურნე აქვთ დაგეგმილი. „წითლები" ინდონეზიასა და ავსტრალიას უნდა ესტუმრონ. „ლივერპული" ამ ქვეყნებში პირველად სტუმრობს და ადგილობრივი გულშემატკივრი მას მოუთმენლად ელის, რაც ტურნეს კომერციული თვალსაზრისით სერიოზულ წარმატებას უქადის. უკვე ცნობილია, რომ 24 ივლისს „მელბურნ კრიკეტ პარკზე" ადგილობრივი „ვიქტორიასა" და „ლივერპულის" შეხვედრას 90 ათასი ადამიანი დაესწრება. 4 დღის შემდეგ კი კიდევ ერთი საკონტროლო თამაშია დანიშნული, ამჯერად ტაილანდში. „არ მინდა, რომ ცუდად გამიგოთ. ჩემპიონატში სწორედ ევროთასებზე მოსახვედრად ვიბრძვით, მაგრამ შემოვლითი გზებით ამ მიზნის მიღწევა ნამდვილად არ გვაძლევს ხელს. ჩვენ ჩვენი პატივმოყვარეობის ჭია გვღრღნის და გვინდა, ეს უფლება მხოლოდ სამართლიან ბრძოლაში მოვიპოვოთ. თუკი 2013/14 წლების სეზონში მხოლოდ პრემიერლიგის თამაშები გვექნება გასამართი, ეს საშუალებას მოგვცემს, ყოველ მათგანზე მაქსიმალური კონცენტრაცია გავაკეთოთ და ევროპაში ამ გზით მოვხვდეთ," - განუცხადა „დეილი მეილს" **ბრენდან როჯერსმა.**

ასე რომ, პრემიერლიგას მომდევნო სეზონში რანგით მეორე ევროპულ ტურნირში არცთუ შთამბეჭდავი დესანტის გადასხმის საშუალება მიეცემა. იქ ითამაშებენ მეხუთეადგილოსანი, რომლის ვინაობა ჯერ არ გარკვეულა, „სუონსი", როგორც ლიგის თასის გამარჯვებული, და „უიგანი", როგორც ასოციაციის თასის ფინალისტი, რაკი მეორე მონაწილე „მანჩესტერ სიტის" ჩემპიონთა ლიგაში თამაში გარანტირებული აქვს.

ტრაგედია

# კიდევ ერთი უბედური შემთხვევა

შვედური გამოცემა Aftonbladet-ის ინფორმაციით, საფეხბურთო კლუბ აიკ-ის 32 წლის ხორვატი მეკარე **ივან ტურინა** სტოკჰოლმში საკუთარ სახლში გარდაცვლილი ნახეს. „ვადასტურებ, ნამდვილად არ გვაქვს საფუძველი ვივარაუდოთ, რომ ადგილი ჰქონდა რაიმე ძალადობას. ადგილზე მაშინვე გავჩნდით, როცა შეტყობინება მივიღეთ, მაგრამ უკვე გვიანი იყო," - განუცხადა გაზეთის წარმომადგენელს გამომძიებელმა. წინასწარი ვარაუდით, ფეხბურთელს გული გაუჩერდა. აიკ-ის პრეზიდენტ **იოჰან სეგუის** ინფორმაციით, ტურინას გული ბავშვობიდანვე აწუხებდა, მაგრამ ის ექიმების გამუდმებული მეთვალყურეობის ქვეშ იმყოფებოდა. „დღეს ბაზაზე ყველანი შევიკრიბებით, მაგრამ ვარჯიში არ გვექნება. ყველანი ივანთან მივალთ და მის ოჯახს თანადგომას გამოვუცხადებთ," - განაცხადა პრეზიდენტმა. ზაგრების „დინამოს" ვებგვერდზე უკვე გაჩნდა სამძიმრის განცხადება. კლუბი ყოფილი ფეხბურთელის ოჯახს ყოველმხრივ თანადგომას ჰპირდება. გარდაცვალების ოფიციალური მიზეზი მხოლოდ სასამართლო სამედიცინო ექსპერტიზის ჩატარების შემდეგ გახდება ცნობილი.



შვედური აიკ-ის ხორვატი მეკარე ივან ტურინა წინასწარი ვარაუდით გულის შეტევით გაირდაიცვალა

გეტყვით, რომ ტურინა აიკ-ში 2010 წლიდან თამაშობდა და გუნდის ძირითად მეკარედ ითვლებოდა. სწორედ ამიტომ იყო, რომ აიკ-მა მას თებერვალში ახალი ხელშეკრულება გაუფორმა. 2006 წელს ის ზაგრების „დინამოს" შემადგენლობაში ქვეყნის ჩემპიონი გახდა და იმავე წელს ჰონკონგთან პირველი და უკანასკნელი თამაში (4:0) ჩაატარა ეროვნულ ნაკრებში. ამას გარდა მას უთამაშია ბერძნული „ქსანტისა" და პოლონური „ლეხის" რიგებშიც. 2007 წელს ტურინა ხორვატიის წლის საუკეთესო მეკარედ აღიარეს. მას ფეხმძიმე მეუღლე და ტყუპი გოგონები დარჩა.

სავარაუდო ტრანსფერი

# ტოტენჰემის იდეა და ზენიტის არჩევანი



ჰალკმა რუსეთში თავი ვერაფრით გამოიჩინა. ზენიტი 8 თვის თავზე ბრაზილიელის ტრანსფერზე უკვე თანახმაა

„ლონდონ ივნინგ სტანდარდის" ინფორმაციით, „ტოტენჰემს" პეტერბურგის „ზენიტიდან" ბრაზილიელი **ჰალკის** შეძენა აქვს განზრახული და მზადაა, გარიგებაში **ემანუელ ადებაიორიც** ჩართოს. 26 წლის ბრაზილიელი შემტევის შეძენა **ანდრე ვილაშ ბოაშის** იდეაა, ვისაც სამხრეთამერიკელთან ერთად „პორტუში" უმუშავია. წყარო არაფერს წერს იმაზე, ფულად რამდენის გადახდას არიან ყაბულს ჩრდილოლონდონელები. ჩვენს ინგლისელ კოლეგებს გაახსენდათ ისიც, რომ 2011 წლის ზაფხულზე ვილაშ ბოაში „ჩელსიში" დანიშვნის შემდეგაც ითხოვდა ჰალკის ტრანსფერს, მაგრამ მაშინ ეს „ყოვლისშემძლე" **რომან აბრამოვიჩმაც** კი ვერ მოახერხა. ბრაზილიელი თავდამსხმელი მაშინ ბევრად უფრო ძვირად ფასობდა. 2012 წლის სექტემბერში „ზენიტში" გადასვლის შემდეგ კი მისი „აქციების" ფასი სერიოზულად დაეცა, რადგან ჰალკი რუსეთის პრემიერლიგაში ერთ რიგით ფეხბურთელად გადაიქცა. 26 თამაშში მან სულ 8 ბურთი გაიტანა. სწორედ ამიტომ, „ზენიტში" სერიოზულად ფიქრობენ მასთან გამოთხოვებაზე. „დეილი მეილის" ცნობით, **ლუჩანო სპალეტიმ** ჰალკის შემცვლელად შესაძლოა არა ემანუელ ადებაიორი, არამედ დიმიტარ ბერბატოვი მოისურვოს.

ამბები

## პოლდის ოპერაცია ელის



„არსენალის" 27 წლის გერმანელ თავდამსხმელ **ლუკას პოდოლსკის** სეზონის დასრულებისთანავე მარცხენა ფეხის კოჭზე ოპერაცია ელის. ფეხბურთელს ტრავმა პრაქტიკულად მთელი სეზონის განმავლობაში აწუხებდა, რის გამოც 90 წუთის განმავლობაში დატვირთვას ვერ უძლებდა და **არსენ ვენგერი** იძულებული ხდებოდა, ის ყოველ ჯერზე შეეცვალა. მიმდინარე სეზონში ჩატარებულ 39 თამაშში მხოლოდ 4-ჯერ მოხდა, რომ ლუკასმა მოედანზე 90 წუთი გაატარა. ლონდონელთა წარმომადგენლებმა უკვე აცნობეს გერმანიის საფეხბურთო კავშირს, რომ პოდოლსკი მანშაფტს ეკვადორისა (29 მაისი) და აშშ-ის (2 ივნისი) ნაკრებებთან შეხვედრებში ვერ დაეხმარება. იმის გათვალისწინებით, რომ ჩემპიონთა ლიგის ფინალში (25 მაისი) ერთმანეთს „დორტმუნდი"-„ბაიერნი" ხვდებიან, 1 ივნისს კი ბერლინის „ოლიმპიაშტადიონზე" გერმანიის თასის ფინალში „ბაიერნი" „შტუტგარტს" დაუპირისპირდება, გამორიცხული არ არის, **იოახიმ ლიოვს** აღნიშნულ შეხვედრებში საუკეთესო გერმანელ ფეხბურთელებზე უარის თქმა მოუხდეს.

## ბეილი ჟურნალისტებმაც აღიარეს

„ტოტენჰემის" 23 წლის უელსელი ნახევარმცველი **გარეთ ბეილი** კვირის დასაწყისში კოლეგებმა პრემიერლიგის წლის საუკეთესო ფეხბურთელად აღიარეს. ანალოგიური პატივი დასდო მას ინგლისურმა მედიამაც. გამოკითხვა ფეხბურთზე მწერალ ჟურნალისტებს შორის ჩატარდა. ჩვენმა კოლეგებმა მას ხმების 53% მისცეს, მეორე ადგილზე გავიდა „მანჩესტერ იუნაიტედის" ჰოლანდიელი თავდამსხმელი **რობინ ვან პერსი** (43%), მესამეზე „ჩელსის" ესპანელი ლიდერი **ხუან მატა.** ამ სამეულის გარდა ხმები მიიღეს **ლუის სუარესმა** (ლივერპული), **პაბლო საბალეტამ** (მანჩესტერ სიტი), **სანტი კასორლამ** (არსენალი), **რიკი ლამბერტმა** (საუთჰემპტონი) და **კრისტიან ბენტეკემ** (ასტონ ვილა). „ბეილი ექსტრაკლასის ფეხბურთელია, რომელიც მუდმივად პროგრესირებს და უახლოეს მომავალში შეძლებს გაუტოლდეს ლიონელ მესისა და კრიშტიანო რონალდოს. იმედი გვაქვს, ის კიდევ დიდხანს მიანიჭებს სიამოვნებას პრემიერლიგის მაყურებელს საკუთარი თამაშით," - განაცხადა სპორტული ჟურნალისტების ასოციაციის თავმჯდომარე **ენდი დანმა.**



გარეთ ბეილი

## ნიუკასლი ჟურნალისტების წინააღმდეგ

„ტელეგრაფმა" რამდენიმე დღის წინ „ნიუკასლზე" ერთობ უსიამოვნო სტატია გამოაქვეყნა, სადაც ვკითხულობთ, რომ გუნდი რამდენიმე ბანაკად არის გაყოფილი და ფეხბურთელებს ერთმანეთში ცუდი ურთიერთობა აქვთ. „კაჭკაჭებმა" გამოცემას აღნიშნული ინფორმაციის ოფიციალურად უარყოფა და ბოდიშის მოხდა მოსთხოვეს, რაზეც თავიდანვე კატეგორიული უარი მიიღეს. ტაინსაიდელების გადაწყვეტილებით, იქამდე, ვიდრე მათი მოთხოვნები სრულად არ დაკმაყოფილდება, ბაზასა და სტადიონზე აღნიშნული გაზეთის წარმომადგენლებს არ დაუშვებენ. „ტელეგრაფის" მთავარმა რედაქტორმა **ტონი გალაგერმა** ამის შემდეგ „ტვიტერზე" კიდევ ერთხელ გაიმეორა, რომ ის და მისი თანამშრომლები არც ბოდიშის მოხდას აპირებენ და არც სტატიის ამოღებას გაზეთის ვებგვერდიდან.

## რუნის ახალი კონტრაქტი

„მანჩესტერ იუნაიტედი" მზად არის, **უეინ რუნის** შესახებ აგორებულ ჭორებს ბოლო მოუღოს და გუნდის 27 წლის ლიდერს ახალი 4-წლიანი კონტრაქტი გაუფორმოს. მიმდინარე სეზონში **ალექს ფერგიუსონსა** და ფეხბურთელს შორის ურთიერთობა რამდენჯერმე დაიძაბა. რუნის უკმაყოფილების საფუძველი ნამდვილად ჰქონდა. თუნდაც მაშინ, როცა შოტლანდიელმა დამრიგებელმა ქარიზმატული ფეხბურთელი ჩემპიონთა ლიგაში „რეალთან" განმეორებით 1/4-ფინალურ შეხვედრაში სათადარიგოთა სკამზე დატოვა. ყველაფრის მიუხედავად, Goal.com-ის ინფორმაციით, კლუბი თავდამსხმელს ამჟამინდელთან შედარებით ნაკლებ ხელფასს, მაგრამ გაზრდილ ბონუსებს სთავაზობს. მოქმედი ხელშეკრულებით, რომელიც 2015 წლის ზაფხულამდე მოქმედებს, რუნი კვირაში 250 ათას ფუნტს იღებს.



უეინ რუნი

## უიგანს ფიგეროა დააკლდა

„უიგანი"-„ტოტენჰემის" შეხვედრის 35-ე წუთზე მასპინძელთა ცენტრალურმა მცველმა **მეინორ ფიგეროამ** მუხლის სერიოზული ტრავმა მიიღო. **რობერტო მარტინესმა** ის **რონი სტამით** შეცვალა. „ათლეტების" ვებგვერდმა დაადასტურა, რომ 30 წლის ჰონდურასელი გუნდს სეზონის ბოლომდე ვერ დაეხმარება. ექიმებს საბოლოო დიაგნოზი ჯერ არ დაუსვამთ, შესაბამისად, როდის შეძლებს მეინორი ვარჯიშის განახლებას, ჯერაც უცნობია. ფიგეროას გარდა მარტინესს წამყვანი ფეხბურთელების მთელი წყება აკლია. ესენი არიან **ანტოლინ ალკარასი, ალბერტ კრუსატი, ივან რამისი** და **რიო მიაიჩი.**

გვერდი მოამზადა
**ლევან ბიბილაშვილმა**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლიბერტადორესის თასი. 1/8 ფინალი. I მატჩები

# ბოკამ რევანში აიღო

## ყველაფერი საპასუხო შეხვედრებში გადაწყდება


„ბოკას" ბლანდიმ (№25) მოაგებინა

**ბოკა-კორინთიანსი 1:0**

**გოლი:** 1:0 ბლანდი (59).

**ბოკა ხუნიორსი** (4-4-2): ორიონი - მარინი, კარუსო, გ. ბურდისო, კ. როდრიგესი - ერბესი (67. ბრავო), სომოსა, ერვიტი (63. პ. ლედესმა), სანჩეს მინიო - ხ. მარტინესი, ბლანდი (89. მაგალიანი).

**კორინთიანსი** (4-3-3): კასიო - ალესანდრო, პაულო ანდრე, ჟილი, ფაბიო სანტოსი - რალფი (88. დუგლასი), პაულინიო, დანილო (51. ჟორჟე ენრიკე) - რომარინიო (74. პატო), ემერსონ შეიკი, გერერო.

**გაძევება:** პ. ლედესმა (84. ბოკა ხუნიორსი).

**გრემიო-სანტა ფე 2:1**

**გოლები:** 1:0 ე. ვარგასი (28), 1:1 ო. პერესი (55-პენ), 2:1 ფერნანდო (81)

**გრემიო** (4-3-1-2): დიდა - პარა, ბრესანი, კრისი, ანდრე სანტოსი - სოუზა, ფერნანდო, ალექს ტელეში (73. გილერმო ბიტეკო) - ელანო (57. გაბრიელი) - ბარკოსი (87. კლებერი), ე. ვარგასი.

**სანტე ფე** (4-3-1-2): კ. ვარგასი - როა, კ. ვალდესი, მესა, მ. გარსია - ანჩიკო, დ. ტორესი, ბედოია (67. ჯ. ვალენსია) - ო. პერესი - ვ. მედინა, კუერო (63. მარტინეს ბორხა).

**გაძევება:** კრისი (53. გრემიო).

ლიბერტადორესის თასის მერვედფინალური ეტაპის ერთ-ერთი ცენტრალური და გამორჩეული მატჩი „ბომბონერაზე" გაიმართა, სადაც შარშანდელი ფინალის „რიმეიქი" შედგა. ფინალში დამარცხებულმა „ბოკა ხუნიორსმა", რომელიც წელს არგენტინის ჩემპიონატში საშინლად თამაშობს, მოქმედ ჩემპიონ „კორინთიანსს" უმასპინძლა და **ნიკოლას ბლანდის** მიერ გატანილი ერთადერთი გოლის წყალობით, 1:0 მოუგო.

მასპინძლებს სერიოზული დანაკლისი ჰქონდათ. **კარლოს ბიანკის ხუან რომან რიკელმე, ფრანკო სოსა, ემილიანო ალბინი, ნიკოლას კოლასო, რიბაირ როდრიგესი, გილერმო ფერნანდესი, ლეანდრო პარედესი** და **ლუკას ვიატრი** აკლდა. მიუხედავად ამისა, არგენტინელებმა სტუმრებს არაფერი დაუთმეს. უგოლო პირველი ტაიმის შემდეგ, მატჩის მეორე ნახევარი „ბოკამ" უკეთ დაიწყო და 59-ე წუთზე ანგარიშიც გაიხსნა - **კრისტიან ერბესის** დარტყმული ნიკოლას ბლანდის მიუვიდა, ვინც ბურთი **კასიოს** კარში გადაგზავნა.

შეხვედრის ბოლო წუთები მასპინძლებმა 10 კაცით ჩაატარეს, რადგან ცვლილებაზე შემოსულმა **პაბლო ლედესმამ** ორწუთიან მონაკვეთში ორი ყვითელი ბარათის მიღება მოასწრო. აქედან პირველი ბარათი ფეხბურთელმა ძალიან უცნაურ ვითარებაში მიიღო - ლედესმამ გოლი გაიტანა და სიხარული მაისურის გახდით გამოხატა, გოლი თამაშგარე მდგომარეობის გამო არ ჩაითვალა, ნახევარმცველმა კი ყვითელი მიიღო. ამ მომენტიდან ორ წუთში, „კატანიას" ყოფილმა ნახევარმცველმა მოედნის ცენტრში **რალფი** წააქცია და არბიტრს მეორე ყვითელი დასტყუა. მიუხედავად ამისა, ბიანკის შეგირდები „კორინთიანსის" შემოტევებს გაუძლეს და მნიშვნელოვანი გამარჯვება მოიპოვეს.

*„ძალიან რთული თამაში იყო. ჩვენ მსოფლიოს ჩემპიონის წინააღმდეგ ვთამაშობდით, რომელიც ახლა უფრო ძლიერია, ვიდრე დეკემბერში იყო. ჩვენ გუნდს ნამდვილად აქვს იმის პოტენციალი, რომ საუკეთესოებს შორის იყოს. მნიშვნელოვანი იყო, რომ დღეს გოლი არ გაგვეშვა და საბედნიეროდ, კარის მშრალად შენახვა შევძელით,"* - განაცხადა კმაყოფილმა ბიანკიმ.

უკმაყოფილო იყო „კორინთიანსის" დამრიგებელი **ტიტე**, თუმცა ბრაზილიელი სპეციალისტი ოპტიმისტურად არის განწყობილი:

*„ჩვენ უკეთ თამაშის შეგვეძლო და ვალდებულნიც ვიყავით უკეთ გვეთამაშა. შეხვედრის დიდმა ნაწილმა ორთაბრძოლებში ჩაიარა და „ბოკამ" ამით კარგად ისარგებლა. საკუთარ მოედანზე მოგების და მომდევნო ეტაპზე გასვლის კარგი შანსი გვექნება და ეს შანსი აუცილებლად უნდა გამოვიყენოთ".*

საპასუხო შეხვედრა 15 მაისს, სან პაულოში გაიმართება და წყვილში გამარჯვებულის ვინაობაც იქ გაირკვევა. შეგახსენებთ, რომ ამ დაპირისპირებაში გამარჯვებული გუნდი, 1/4 ფინალში „ველეს სარსფილდი"-„ნიუელსის" წყვილში უძლიერესს შეხვდება.

კიდევ ერთი მატჩი პორტუ ალეგრიში გაიმართა, სადაც **ვანდერლეი ლუშემბურგოს** გარეშე დარჩენილმა „გრემიომ" კოლუმბიურ „სანტა ფეს" უმასპინძლა და გაჭირვებით მოუგო. შეგახსენებთ, რომ ლუშემბურგომ, კონმებოლისგან 6-მატჩიანი დისკვალიფიკაცია მიიღო და საკუთარ გუნდს მხოლოდ ფინალში (თუ გავიდა) თუ უხელმძღვანელებს.

მასპინძლებს გაუჭირდათ, მაგრამ ამის მთავარი მიზეზი გამოცდილი ვეტერანის, **კრისის** გაძევება იყო. „ლიონის" ყოფილმა მცველმა მეორე ყვითელი ბარათი საკუთარ საჯარიმოში უხეშობისთვის მიიღო, რასაც მასპინძელთა კარში პენალტის დანიშვნაც მოჰყვა, რომელიც სტუმართა არგენტინელმა ლეგიონერმა, **ომარ პერესმა** გოლად აქცია. ამ დროისთვის ანგარიში უკვე 1:0 იყო - **ედუარდო ვარგასმა ალექს ტელეშის** გადაცემით ისარგებლდა და „გრემიო" დააწინაურა.

კაცნაკლულობის მიუხედავად, მასპინძლები დაცვაში არ ჩამდგარან და მეტოქეს აქტიურად შეუტიეს, რამაც შედეგი 81-ე წუთზე გამოიღო - 21 წლის **ფერნანდომ**, ვისაც არაერთი ევროპული გუნდი ეპატიჟება, საჯარიმოს გარედან გაისროლა და საკუთარ გუნდს გამარჯვება მოუტანა. აქაც, „ბოკა"-„კორინთიანსის" არ იყოს, ყველაფერი საპასუხო შეხვედრაში გადაწყდება, რომელიც 16 მაისს, სანტა ფეში გაიმართება.

**ტატო ბაციკაძე**

ამბები

### ბებეტოს შვილი იუვენტუსში გადადის

„ფლამენგოს" წარმომადგენლებმა დაადასტურეს ინფორმაცია, რომლის მიხედვითაც **ბებეტოს** შვილი **მატეუსი** „იუვენტუსში" გადადის. ამ ტრანსფერზე საუბარი ჯერ კიდევ იანვარში დაიწყო და როგორც ჩანს, 18 წლის ნახევარმცველი უახლოეს დღეებში ტურინელი გახდება. პრესაში გავრცელებული ცნობის თანახმად, „ფლამენგო" 1,5 მილიონ ევროს მიიღებს.

*„რამდენიმე უმნიშვნელო საკითხია მოსაგვარებელი, ტრანსფერი კი უკვე გადაწყვეტილია,"* - განუცხადა ჟურნალისტებს „ფლას" სპორტულმა დირექტორმა **პაულო პელაიპემ**.

მატეუსი, რომელიც 1994 წლის 7 ივლისს დაიბადა, ბებეტოს ცნობილი გოლის აღნიშვნის (ე.წ. „იავნანა) მიზეზი იყო. ბრაზილიის 20-წლამდელთა ნაკრების ერთ-ერთი ლიდერი „ფლამენგოში" 10 წლის ასაკიდან ირიცხება.

### ვერკუტრისთვის სეზონი დასრულდა


ანტონი ლოპეში

„ლიონის" 32 წლის მეკარე **რემი ვერკუტრმა** მუხლზე ოპერაცია გადაიტანა, რომელმაც წარმატებით კი ჩაიარა, მაგრამ მისთვის სეზონი დასრულდა. „ლიონის" კარის დარაჯმა ჯვარედინი მყესების „სენტ ეტიენთან" დერბის წინ, ერთ-ერთ ვარჯიშზე გაიწყვიტა. წინასწარი ვარაუდით, ვერკუტრი ფეხბურთს 6 თვის განმავლობაში ვერ ითამაშებს. სხვათა შორის, მსგავსი ტრავმა კიპერმა პირველად არ მიიღო - 2011 წლის ოქტომბერში დაახლოებით ანალოგიური დაზიანების გამო მას 4 თვემდე გაუცდა.

ვერკუტრი „ლიონში" 2002 წლიდან ირიცხება. წლევანდელ სეზონამდე მის ანგარიშზე სულ რაღაც 42 თამაში იყო, აქედან 19 შეხვედრა რემიმ 2007/08 წლების სეზონის მეორე წრეში ჩაატარა, რადგან „ლიონიდან" შუა სეზონში **გრეგორი კუპე** წავიდა და ფრანგული გუნდი ვერკუტრს ენდო, თუმცა ცოტა ხნით, რადგან მომდევნო ჩემპიონატის სტარტზე „ოლიმპიკში" უკვე **უგო ლორის** მივიდა, ვინც 2012/13 წლების სეზონამდე გუნდის პირველი მეკარე იყო. წელს, ლორისის წასვლის შემდეგ, ვერკუტრს მეორე შანსი მიეცა და იმედები გაამართლა, თუმცა ახლა ისეთი მძიმე ტრავმა მიიღო, რომ **რემი გარდს** (თუ პოსტზე დატოვეს) მისი შემცვლელის პოვნა აუცილებლად მოუწევს. იქამდე კი, „ლიონის" კარს 22 წლის **ანტონი ლოპეში** დაიცავს.

**ტატო ბაციკაძე**

მილანი


სტეფან ელ შაარავი „მილანის" ერთგულია

# ელ შაარავის მილიონები არ აინტერესებს

*(printed:)*

# ელ შაარავის მილიონები არ ანაღვლებს

## და კარიერის მილანში დასრულება სურს...

მიუხედავად იმისა, რომ ბოლო პერიოდში **სტეფან ელ შაარავი** ველარ ბრწყინავს და გოლებიც პრაქტიკულად ვერ გააქვს, მთლიანობაში სეზონი მისთვის ძალზე წარმატებული გამოდგა. 20 წლის შემტევი ევროპაში ერთ-ერთი ყველაზე მოთხოვნადი ფეხბურთელი გახდა და მასზე არაერთ გრანდს უჭირავს თვალი. ერთ-ერთი გუნდი, რომელსაც „პატარა ფარაონის" გადაბირება სურს, „მანჩესტერ სიტია" და იმასაც ამბობენ, რომ „ქალაქელები" იტალიელში კოლოსალური თანხის გადახდას აპირებენ, თავად ფეხბურთელს კი ასტრონომიულ გასამრჯელოს ჰპირდებიან. „გაძეტა დელო სპორტის" მტკიცებით, თუ ელ შაარავი მანჩესტერში გადაბარგდება, სეზონში 6 მილიონ ევროს მიიღებს. იცით რამდენი აქვს სტეფანს ხელფასი „მილანში"? - მხოლოდ 1.2 მილიონი ევრო და ესეც ზამთრის შემდეგ - გასულ სეზონში, სულაც 0.8 მილიონი გამოიმუშავა. ყველაზე საინტერესო ისაა, რომ „როსონერის" დღეს არ ძალუძს ფეხბურთელთათვის ასტრონომიული თანხების გაცემა და ამ კუთხით პრემიერლიგის ყველაზე მდიდარ კლუბებთან კონკურენცია. ანუ, ლომბარდიულები დიდწილად თავად ელ შაარავის კეთილ ნებაზე არიან დამოკიდებულნი და ბედი მათი, რომ ეს უკანასკნელი „როსონერის" ერთგულია - მოვუსმინოთ ელ შაარავის:

*„მანჩესტერელებს ჩემი გადაბირება სურთ? - სიმართლე გითხრათ, ამის შესახებ არაფერი მსმენია და შესაბამისად, არც ის ვიცი, რამდენ მილიონს მპირდებიან წელიწადში. ამას არც აქვს მნიშვნელობა, რადგან მე „მილანის" ფეხბურთელი ვარ და მსურს, მთელი კარიერა ამ გუნდში გავატარო. ბავშვობიდან „როსონერიში" მსურდა ასპარეზობა, ეს ოცნება ამისრულდა და მასზე უარის თქმას არ ვაპირებ".*

**ლაშა წიკლაური**

ინტერი

# დესპოტი ინტერის სათავეში?

## ძანეტი: ერთხელ მაინც ვითამაშებ

**მასიმო მორატიმ** არაერთხელ განაცხადა, რომ **ანდრეა სტრამაჩონის** ენდობა და მასთან ხელშეკრულების გაწყვეტას არ აპირებს. ანუ, წესით და რიგით, „ინტერს" მომდევნო სეზონშიც ახალგაზრდმა სპეციალისტმა უნდა უთავკაცოს. თუმცა, ფეხბურთში რომ წესები და რიგები ხშირად ირღვევა, არახალია და აპენინელი ჟურნალისტებიც ეჭვობენ, რომ სეზონის ჩაგდების გამო, სტრამაჩონის მაინც მოუწევს პოსტის დატოვება. ანდრეას შესაძლო შემცვლელად რამდენიმე კანდიდატი განიხილება, სულ ბოლო ინფორმაციით კი მორატი გერმანიას გადასწვდა და **ფელიქს მაგათი** მოიკითხა... დიახ, 59 წლის სპეციალისტი ბოლოს „ვოლფსბურგს" ედგა სათავეში, დღეს კი თავისუფალია და ახალ წინადადებებს ელოდება. ამ თემაზე კომენტარი მილანური გრანდის სპორტულმა დირექტორმა **მარკო ბრანკამ** გააკეთა:

*„ფელიქს მაგათი? - საინტერესო მწვრთნელია და პირადად მე, მას დიდ პატივს ვცემ, თუმცა ეს იმას არ ნიშნავს, რომ მის „ინტერში" მოწვევას ვაპირებთ. ანდრეა სტრამაჩონის მასიმო მორატიმ ნდობა გამოუცხადა და შესაბამისად, სამწვრთნელო ცვლილებაზე დღეს ლაპარაკი უადგილოა. როგორც ჩანს, ანდრეა თავის საქმეს კარგად აკეთებს და ჯობია, ნუ ავყვებით სპეკულაციებს".*

მარკო ბრანკას კომენტარიდან აშკარად იკვეთება, რომ ის არ ეთანხმება მასიმო მორატის პოზიციას და თითქოს, აკრიტიკებს კიდეც პრეზიდენტს. ეს ყველაფერი კიდევ უფრო აღრმავებს ეჭვებს მორატისა და ბრანკას კონფლიქტის თაობაზე, რომელსაც წესით ამ უკანასკნელის კლუბიდან წასვლა უნდა მოჰყვეს... თუმცა, ეს სხვა თემაა და ალბათ, არანაკლებ საინტერესო.


იტალიურ სპორტულ პრესაში, ფელიქს მაგათი ანდრეა სტრამაჩონის შესაძლო შემცვლელად განიხილება

### ოპერაციის შემდეგ

ამასობაში, **ხავიერ ძანეტის** გაუკეთდა ოპერაცია, რომელმაც წარმატებით ჩაიარა. 39 წლის არგენტინელმა კიდევ ერთი კომენტარი გააკეთა და თუ აქამდე შემართებით საუბრობდა დაბრუნებაზე, ამჯერად ხმაში ხრინწი შეეპარა:

*„ჯერ კიდევ არ ვიცით რამდენ ხანს გასტანს სარეაბილიტაციო პერიოდი და შესაბამისად, ვერავის ვერაფრით დავაიმედებ. საუკეთესო ექიმების ხელში ვარ და თუ მცირე შანსი მაინც იქნება, აუცილებლად დავუბრუნდები აქტიურ სპორტს. შესაძლოა, მკურნალობამ რვა თვე გასტანოს, რაც ყველაზე არასასურველი ვარიანტია. ნებისმიერ შემთხვევაში, ერთ თამაშს მაინც გავმართავ საკუთარი გულშემატკივრის წინაშე - ამაში ღრმად ვარ დარწმუნებული. იქამდე „ინტერის" ერთგულ ქომაგად ვრჩები და იმედია, გუნდი ევროპის ლიგის საგზურს მოიპოვებს".*

**ლაშა წიკლაური**

ევროპალიგა. 1/2 ფინალი. საპასუხო მატჩები

# 15-ში, ამსტერდამ არენაზე: ჩელსი VS ბენფიკა!

**ჩელსი-ბაზელი 3:1 (2:1)**

**გოლები:** 0:1 სალაჰი (45), 1:1 ტორესი (50), 2:1 მოზესი (52), 3:1 დ. ლუისი (59)

**ჩელსი (4-2-3-1):** ჩეხი - ასპილიკუეტა, ივანოვიჩი, კეჰილი, ბერტრანდი - ლამპარდი, დ. ლუისი (82. აკე) - რამირესი (66. ოსკარი), აზარი (75. მატა), მოზესი - ტორესი.

**ბაზელი (4-1-2-3):** ზომერი - შტაინჰოფერი, შარი, საურო, ვოზერი - ფ. ფრაი (75. დიასი) - ელ ედნენი, დიე - სალაჰი, შტრელერი (62. ზუა დაოგარი), შტოკერი (62. დეგენი).

**გაფრთხილება:** ასპილიკუეტა - შარი, შტაინჰოფერი, დიე

**კუთხური:** 7-4; **ჯარიმა:** 7-13; **თამაშგარე:** 2-2; **კარში დარტყმა:** 17-16 (13-6); **ბურთის ფლობა:** 53%-47%.

**მაყურებელი:** 39 403

**ბენფიკა-ფენერბაჰჩე 3:1 (0:1)**

**გოლები:** 1:0 გაიტანი (9), 1:1 კუიტი (23-პენ), 2:1 კარდოსო (35), 3:1 კარდოსო (66)

**ბენფიკა (4-3-3):** არტური - მ. პერეირა, ლუიზაო, გარაი, ალმეიდა - პერესი, მატიჩი, გაიტანი (92. როდერიკი) - ლიმა, კარდოსო (87. ურეტა), სალვიო.

**ფენერბაჰჩე (4-3-3):** დემირელი - გიონული (61. ბექირი), იობო (75. სტოხი), კორკმაზი, ციგლერი - შაჰინი (44. თოფუზი), ბარონი, ერკინი - კუიტი, სოუ, უჩანი.

**გაფრთხილება:** პერეირა, პერესი - ბარონი, ერკინი

**კუთხური:** 3-1; **ჯარიმა:** 10-22; **თამაშგარე:** 1-2; **კარში დარტყმა:** 13-9 (7-4); **ბურთის ფლობა:** 69%-31%.

**მაყურებელი:** 55 402

**ფინალი**

**15 მაისი. ამსტერდამ არენა**

**ბენფიკა-ჩელსი**

ლონდონელებს პირველი მატჩი შვეიცარიაში მოგებული ჰქონდათ (2:1). ამიტომ საპასუხო მატჩის წინ აშკარა ფავორიტები იყვნენ, თუმცა ტაიმის მიწურულს ანგარიში სტუმრებმა გახსნეს. **შტოკერმა** უბრალოდ ბრწყინვალე პასი გადააწოდა **სალაჰს** და ეგვიპტელმაც ჩაუქროლა **ივანოვიჩს**, მეკარესთან პირისპირ გავიდა და გაიტანა.

ევროსარბიელზე **ფერნანდო ტორესი** ბრწყინვალედ თამაშობს, ეს მან კიდევ ერთხელ დაამტკიცა - 50-ე წუთზე „ელ ნინიომ" **ლამპარდის** დარტყმულს დაამატა. 2 წუთში კი „ბაზელის" ოცნება ხუხულასავით დაიმსხვრა - დაცვას „ჩაეძინა", რითაც **ვიქტორ მოზესმა** ისარგებლა, მის პირველ დარტყმას კი გადაეფარა **შარი**, მაგრამ მეორემ **ზომერის** კარის ბადე შეარხია.

ვინ თუ არა **დავიდ ლუისი**, სწორედ ბრაზილიელმა უნივერსალმა დაუსვა მატჩს წერტილი: ლამპარდის პასი შეირგო და საჯარიმოს გარედან „ცხრიანში" გაიტანა - 3:1, ორი მატჩის ჯამში 5:2 და ლონდონელები ფინალში არიან.

■ ■ ■

ლისაბონშიც ანალოგიური ანგარიში ვიხილეთ, თუმცა ლონდონისგან განსხვავებით იქ ბოლო წუთამდე ყველაფერი გაურკვეველი იყო, რადგან თურქულ „ფენერბაჰჩეს" შინ 1:0 ჰქონდა მოგებული.

ანგარიში მე-9 წუთზე არგენტინელმა **ნიკოლას გაიტანმა** გახსნა, რომელიც ბრწყინვალედ უგებს მოედანზე ბრაზილიელ **ლიმას**. ამ ორის კომბინაციამ ამჯერადაც მოუტანა „არწივებს" დადებითი შედეგი. ამას მოჰვა პენალტი და **დირკ კუიტის** გოლი მასპინძელთა კარში. ახლა მათ 2 გოლი სჭირდებოდათ და გაიტანეს კიდევაც - დუბლი შეასრულა პარაგვაელმა **ოსკარ კარდოსომ** - „ბენფიკა" ფინალშია.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

ბაიერნი



ფრანც ბეკენბაუერი და იუპ ჰაინკესი

# კაიზერი იუპს პენსიაზე გასვლას ურჩევს

## ბეკენბაუერს არ უნდა, რომ ჰაინკესი სადმე წავიდეს და მერე ბაიერნს მოუგოს

**იუპ ჰაინკესს** „ბაიერნთან" კონტრაქტი უმთავრდება და როგორც იცით, ამ სეზონის შემდეგ რეკორდმაისტერს **ხოსეპ გვარდიოლა** ჩაიბარებს. ეს თვეების წინ გადაწყდა და მაშინ მიუნხენური გრანდის შეფებმა, რა თქმა უნდა, არ იცოდნენ, რომ ეს სეზონი „ბაიერნისთვის" ასეთი ზღაპრული იქნებოდა. **ჰიონესს** და **რუმენიგეს** ფაქტობრივად ისე გამოუვიდათ, რომ ჰაინკესს ძალით უშვებენ - არადა მის ხელში ბავარიული გრანდი არსებობის ისტორიაში ერთ-ერთ საუკეთესო სეზონს ატარებს.

თავაც იუპი აქამდე სამომავლო გეგმებზე კონკრეტულად არ საუბრობდა, „ბარსელონასთან" საპასუხო მატჩის შემდეგ კი პირველად ახსენა პენსია: *„8 მაისს 68 წლის ვხდები, რაც იმას ნიშნავს, რომ უკვე 50 წელია, ფეხბურთს ვემსახურები. ცხადია, ერთხელაც ყველა ფიქრობს, რომ შესაძლოა, უკვე წასვლის დრო მოვიდა,"* - განაცხადა „დონ იუპმა".

ეს ჯერ კიდევ არ არის ოფიციალური განცხადება პენსიაზე გასვლასთან დაკავშირებით, მაგრამ საქმე იქით მიდის, რომ ჰაინკესი ფეხბურთში არ დარჩება. არადა, ამ დღეებში ხმები დაირხა, ჰაინკესზე „ბარსელონასა" და „რეალის" ხელმძღვანელები ფიქრობენო. „დონ იუპს" პენსიაში გასვლას ურჩევს ფრანც ბეკენბაუერიც:

*„ჩემი აზრით, ყველაფერი მშვიდად უნდა აწონ-დაწონოს. დარწმუნებული ვარ, რომ იუპს ყოველდღიური სტრესი აღარ უნდა და არც სჭირდება. ამაზე მეტს რას უნდა მიაღწიოს, თანაც, 70-ს უახლოვდება,"* - განაცხადა კაიზერფრანცმა.

**გოტფრიდ ლენცი**

ესპანეთი

**ლა ლიგა. XXXIV ტურის წინ**

**3 მაისი**

**სელტა-ბილბაო 23:00**

**დისკვალიფიკაცია:** იტურასპე (ბილ)

**ტრავმა:** პარკი, პრანიჩი, ალვარესი, მალიო - პერესი, გალარეტა, ლაპორტი

ბოლო 6 მატჩი

+2=1-3 +1=2-3

ურთიერთშეხვედრები

სულ 27 თამაში: +6=10-11, (32-36)

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ბარსელონა | 33 | 27 | 4 | 2 | 101-35 | 85 |
| 2. რეალი | 33 | 23 | 5 | 5 | 85-31 | 74 |
| 3. ატლეტიკო | 33 | 21 | 5 | 7 | 58-27 | 68 |
| 4. სოსიედადი | 33 | 16 | 10 | 7 | 61-41 | 58 |
| 5. მალაგა | 33 | 15 | 8 | 10 | 47-38 | 53 |
| 6. ვალენსია | 33 | 15 | 8 | 10 | 54-50 | 53 |
| 7. ბეტისი | 33 | 14 | 7 | 12 | 49-50 | 49 |
| 8. ვალეკანო | 33 | 14 | 4 | 15 | 43-54 | 46 |
| 9. ხეტაფე | 33 | 12 | 8 | 13 | 40-50 | 44 |
| 10. სევილია | 33 | 12 | 7 | 14 | 49-47 | 43 |
| 11. ესპანიოლი | 33 | 11 | 10 | 12 | 42-43 | 43 |
| 12. ვალიადოლიდი | 33 | 10 | 10 | 13 | 42-46 | 40 |
| 13. ლევანტე | 33 | 11 | 7 | 15 | 35-52 | 40 |
| 14. ბილბაო | 33 | 10 | 7 | 16 | 37-59 | 37 |
| 15. ოსასუნა | 33 | 8 | 9 | 16 | 28-38 | 33 |
| 16. გრანადა | 33 | 8 | 8 | 17 | 29-51 | 32 |
| 17. დეპორტივო | 33 | 7 | 10 | 16 | 44-65 | 31 |
| 18. სელტა | 33 | 8 | 6 | 19 | 32-47 | 30 |
| 19. სარაგოსა | 33 | 8 | 6 | 19 | 32-53 | 30 |
| 20. მალიორკა | 33 | 7 | 7 | 19 | 36-67 | 28 |

**ბომბარდირები:** 44 - ლიონელ მესი (ბარსელონა); 31 - კრიშტიანო რონალდო (რეალი); 26 - რადამელ ფალკაო (ატლეტიკო); 19 - ალვარო ნეგრედო (სევილია); 18 - რობერტო სოლდადო (ვალენსია).

გერმანია

**ბუნდესლიგა. XXXII ტურის წინ**

**3 მაისი**

**გლადბახი-შალკე 22:30**

**დისკვალიფიკაცია:** არავინ

**ტრავმა:** მეტცელდერი, კ. პაპადოპულოსი, აფელაი, ფარფანი, მარიკა, ობასი (ყველა შალკე)

ბოლო 6 მატჩი

+3=0-3 +3=1-2

ურთიერთშეხვედრები

სულ 79 თამაში: +31=25-23, (131:93)

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ბაიერნი | 31 | 27 | 3 | 1 | 90-14 | 84 |
| 2. დორტმუნდი | 31 | 19 | 7 | 5 | 76-36 | 64 |
| 3. ლევერკუზენი | 31 | 16 | 8 | 7 | 59-38 | 56 |
| 4. შალკე | 31 | 14 | 7 | 10 | 54-47 | 49 |
| 5. აინტრახტი | 31 | 13 | 7 | 11 | 43-42 | 46 |
| 6. ფრაიბურგი | 31 | 12 | 9 | 10 | 40-37 | 45 |
| 7. გლადბახი | 31 | 11 | 11 | 9 | 38-42 | 44 |
| 8. ჰამბურგი | 31 | 13 | 5 | 13 | 37-50 | 44 |
| 9. ჰანოვერი | 31 | 12 | 5 | 14 | 54-57 | 41 |
| 10. მაინცი | 31 | 10 | 10 | 11 | 36-36 | 40 |
| 11. ვოლფსბურგი | 31 | 10 | 10 | 11 | 41-46 | 40 |
| 12. შტუტგარტი | 31 | 11 | 6 | 14 | 33-50 | 39 |
| 13. ნიურნბერგი | 31 | 9 | 11 | 11 | 34-42 | 38 |
| 14. ვერდერი | 31 | 8 | 8 | 15 | 45-60 | 32 |
| 15. ფორტუნა | 31 | 7 | 9 | 15 | 37-49 | 30 |
| 16. აუგსბურგი | 31 | 7 | 9 | 15 | 30-45 | 30 |
| 17. ჰოფენჰაიმი | 31 | 7 | 6 | 18 | 37-60 | 27 |
| 18. ფიურტი | 31 | 3 | 9 | 19 | 22-55 | 18 |

**ბომბარდირები:** 23 - რობერტ ლევანდოვსკი (დორტმუნდი); 22 - შტეფან კისლინგი (ლევერკუზენი); 15 - მარიო მანჯუკიჩი (ბაიერნი).

საფრანგეთი

**1. XXXV ტურის წინ**

**3 მაისი**

**სტ. ეტიენი-ბორდო 22:30**

ბოლო 6 მატჩი

+2 =4 -0 +1 =4 -1

ურთიერთშეხვედრები

სულ 101 მატჩი: +37 =27 -37 (143-145)

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. პსჟ | 34 | 22 | 7 | 5 | 61-20 | 73 |
| 2. მარსელი | 34 | 19 | 7 | 8 | 38-32 | 64 |
| 3. ლიონი | 34 | 17 | 9 | 8 | 55-36 | 60 |
| 4. სტ. ეტიენი | 34 | 15 | 13 | 6 | 56-28 | 58 |
| 5. ლილი | 34 | 15 | 12 | 7 | 53-35 | 57 |
| 6. ნიცა | 34 | 16 | 9 | 9 | 51-41 | 57 |
| 7. ლორიანი | 34 | 13 | 11 | 10 | 53-52 | 50 |
| 8. მონპელიე | 34 | 14 | 6 | 14 | 51-45 | 48 |
| 9. ბორდო | 34 | 11 | 15 | 8 | 35-30 | 48 |
| 10. რენი | 34 | 13 | 6 | 15 | 46-49 | 45 |
| 11. ტულუზი | 34 | 10 | 12 | 12 | 40-42 | 42 |
| 12. ვალანსიენი | 34 | 10 | 11 | 13 | 42-48 | 41 |
| 13. ბასტია | 34 | 11 | 7 | 16 | 44-62 | 40 |
| 14. რეიმსი | 34 | 9 | 11 | 14 | 31-38 | 38 |
| 15. აიაჩო | 34 | 9 | 13 | 12 | 37-46 | 38 |
| 16. ნანსი | 34 | 8 | 11 | 15 | 33-49 | 35 |
| 17. ევიანი | 34 | 8 | 10 | 16 | 39-50 | 34 |
| 18. სოშო | 34 | 8 | 10 | 16 | 37-55 | 34 |
| 19. ბრესტი | 34 | 8 | 5 | 21 | 29-53 | 29 |
| 20. ტრუა | 34 | 5 | 13 | 16 | 39-59 | 28 |

**შენიშვნა:** "აიაჩოს" - 2 ქულა

**ბომბარდირები:** 27 - ზლატან იბრაჰიმოვიჩი (პარი სენ ჟერმენი); 19 - პიერ ობამეიანი (სენტ ეტიენი); 15 - ჟერემი ალიადიერი (ლორიანი), დარიო ცვიტანიჩი (ნიცა); 14 – ბაფეტიმბი გომისი (ლიონი).

ჩემპიონთა ლიგა. სტატისტიკა და სიმბოლური ნაკრები

# გერმანული ტრიუმფი ციფრებში

## რონალდო კარგი მეგოლე, იბრა კარგი მეპასე...



უეფას ოფიციალური საიტის ექსპერტებმა არიენ რობენს 8 ბალი დაუწერეს. მასზე მაღალი ბალი მხოლოდ ფრანკ რიბერიმ მიიღო - 8,1

**ჩემპიონთა ლიგის 2012/13 წლების გათამაშებაში დარჩა მხოლოდ ერთი და მთავარი მატჩი: 25 მაისს ლონდონის „უემბლი" უმასპინძლებს ლიგის ისტორიაში პირველ გერმანულ ფინალს: მიუნხენის „ბაიერნი" დორტმუნდის „ბორუსიას" დაუპირისპირდება. უფრო სრული სტატისტიკური მიმოხილვა მხოლოდ ამ მოვლენის შემდეგ გვექნება. ახლა კი მიმდინარე, ინდივიდუალური სტატისტიკის დეტალებით დავკმაყოფილდეთ.**

## არც ერთი ბარსელონელი!

უეფას ოფიციალურმა საიტმა საპასუხო ნახევარფინალების სიმბოლური ნაკრები შეადგინა, რომელიც უეფას ექსპერტთა და გულშემატკივართა შეფასებების ნაზავია. 4 ნახევარფინალისტი გუნდიდან ერთი ფეხბურთელიც არ არის „ბარსელონადან". თუკი აქამდე ამას ვერავინ წარმოიდგენდა, „ბარსას" „ბაიერნთან" 0:7 შერცხვენის შემდეგ ლოგიკურადაც მოჩანს.

შემადგენლობაში 7 ფეხბურთელია „ბაიერნიდან": **ლამი, ალაბა, შვაინშტაიგერი, მარტინესი, რობენი, მიულერი** და **რიბერი**. 2-2 კი „რეალიდან" (**რამოსი, მოდრიჩი**) და „დორტმუნდიდან" (**ვაიდენფელერი, ჰუმელსი**).

## იცით თუ არა, რომ...

* ლიგის ამ გათამაშებაში ყველაზე მეტჯერ ბურთი ძელს **ჰამით ალთინთოპმა** (გალათასარაი) მოარტყა - 3-ჯერ.

* ვერ გაიტანეს 7 პენალტი.

* ყველაზე დიდი დისტანცია ჯამში „დორტმუნდის" მცველმა **მარსელ შმელცერმა** დაფარა - 134 334 მეტრი.

* **გილერმე ოარომ** (პსჟ) 27 წუთი იკმარა გოლის გასატანად.

* ზუსტი პასების რაოდენობით პირველ ხუთ ადგილზე მხოლოდ „ბარსელონას" ფეხბურთელები არიან.

* იმათგან, ვინც 100-ზე მეტი პასი გააკეთა, ყველაზე აკურატული **ჯოლეონ ლესკოტი** (მანჩესტერ სიტი) იყო - 91%. პასების სიზუსტე გასაოცარი ჰქონდა **სერხიო ბუსკეტსს** - 90% და **ჩავის** - 88%.

* **ალვარო არბელოა** (რეალი) ერთადერთი ფეხბურთელია, რომელიც ორჯერ გააძევეს.

* 12-12 მატჩი შეუცვლელად მხოლოდ კრიშტიანო რონალდომ (რეალი) და მარსელ შმელცერმა (დორტმუნდი) ითამაშეს.

**ინდივიდუალური სტატისტიკა**

**გოლები**

| გ. | ფეხბ. | კლ. | წთ. |
|---|---|---|---|
| 12 | რონალდო | რეალი | 1080 |
| 10 | ლევანდოვსკი | დორტმუნდი | 1000 |
| 8 | ილმაზი | გალათასარაი | 767 |
| 8 | მესი | ბარსელონა | 826 |
| 8 | მიულერი | ბაიერნი | 955 |

**საგოლე პასები**

| პ. | ფეხბ. | კლ. | წთ. |
|---|---|---|---|
| 7 | იბრაჰიმოვიჩი | პსჟ | 793 |
| 5 | ბენზემა | რეალი | 532 |
| 5 | იოზილი | რეალი | 722 |
| 5 | დი მარია | რეალი | 794 |
| 5 | გიოტცე | დორტმუნდი | 887 |

**გოლი+პასი**

| ქ. | ფეხბ. | კლ. | წთ. |
|---|---|---|---|
| 13 | რონალდო | რეალი | 1080 |
| 12 | ლევანდოვსკი | დორტმუნდი | 1000 |
| 11 | მესი | ბარსელონა | 826 |
| 10 | მიულერი | ბაიერნი | 955 |
| 10 | ბენზემა | რეალი | 532 |
| 10 | იბრაჰიმოვიჩი | პსჟ | 793 |

**კარში დარტყმა (ზუსტი)**

| დ. | ფეხბ. | კლ. |
|---|---|---|
| 53 | რონალდო | რეალი |
| 28 | მესი | ბარსელონა |
| 24 | ლევანდოვსკი | დორტმუნდი |
| 23 | იბრაჰიმოვიჩი | პსჟ |
| 20 | გიოტცე | ბაიერნი |
| 20 | როისი | დორტმუნდი |

**კარში დარტყმა (არაზუსტი)**

| დ. | ფეხბ. | კლ. |
|---|---|---|
| 24 | რონალდო | რეალი |
| 18 | ლევანდოვსკი | დორტმუნდი |
| 16 | დი მარია | რეალი |
| 15 | იბრაჰიმოვიჩი | პსჟ |
| 14 | მესი | ბარსელონა |
| 14 | რობენი | ბაიერნი |

**თამაშგარე**

| თ. | ფეხბ. | კლ |
|---|---|---|
| 17 | იბრაჰიმოვიჩი | პსჟ |
| 14 | ილმაზი | გალათას. |
| 14 | ჯ. მარტინესი | პორტუ |
| 12 | ჯეკო | სიტი |

**ზუსტი პასები**

| პ. | ფეხბ. | კლ |
|---|---|---|
| 1143 | ჩავი | ბარსელონა |
| 701 | ინიესტა | ბარსელონა |
| 647 | დ. ალვეში | ბარსელონა |
| 631 | ალბა | ბარსელონა |
| 596 | ბუსკეტსი | ბარსელონა |

**გაფრთხილება**

| გ. | ფეხბ. | კლ. |
|---|---|---|
| 5 | არბელოა | რეალი |
| 5 | იტურა | მალაგა |
| 5 | ს. რამოსი | რეალი |
| 5 | დემიკელისი | მალაგა |
| 5 | მექსე | მილანი |

**დაჯარიმდნენ**

| ჯ. | ფეხბ. | კლ. |
|---|---|---|
| 24 | ხ. მარტინესი | ბაიერნი |
| 24 | მანჯუკიჩი | ბაიერნი |
| 24 | ლევანდოვსკი | დორტმუნდი |
| 23 | ფ. მელო | გალათას. |

**ჯარიმა (მათ წინააღმდეგ)**

| ჯ. | ფეხბ. | კლ. |
|---|---|---|
| 28 | რონალდო | რეალი |
| 25 | ლევანდოვსკი | დორტმუნდი |
| 25 | მესი | ბაიერნი |
| 23 | შვაინშტაიგერი | ბაიერნი |
| 23 | მბოკანი | ანდერლეხტი |
| 23 | ლავეცი | პსჟ |

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

ძიუდო

# რეიტინგი და სამასტერსე შანსები

## რით შევავსებთ დიდ მუზარადს ბაქოში?




გამოქვეყნდა ძიუდოს ახალი საერთაშორისო რეიტინგი, სადაც ჩვენი ფალავნები კვლავაც ინარჩუნებენ მოწინავე პოზიციებს. მოგეხსენებათ, ამ უქმეებზე ბაქოში „დიდი მუზარადის" სერიის რიგით მეორე ტურნირი ტარდება, რაც მთლიანად განსაზღვრავს 25-26 მაისს ტიუმენში გასამართი მასტერსის შემადგენლობას. შეგახსენებთ, რომ იქ საერთაშორისო რეიტინგის 16 საუკეთესო სპორტსმენი მონაწილეობს. რეიტინგი ცოტა სხვა პრინციპით ითვლება - 5 საუკეთესო შედეგს ემატება კიდევ ერთი, კონტინენტური პირველობის ან მასტერსის. იმათგან საუკეთესო ექვსეულში შევა, ეგრეთ წოდებულ ექსტრაშედეგში, ხოლო უფრო მცირე - იმ 5 საუკეთესოში (ცხადია, იქაც თუ მოხვდება). ეს იქიდან გამომდინარე, რომ მასტერსზე ყველა ვერ გამოდის, თუმცა მას და კონტინენტურ პირველობას შორის გვარიანი სხვაობაა - პირველის გამარჯვებული 700 ქულას იღებს, მეორისა - 400-ს.

ევროპის პირველობაზე გამარჯვების შემდეგ **ამირან პაპინაშვილი** (60) სათავეში მოექცა რეიტინგს - 1 296 ქულა დააგროვა და 8 ქულით ჩამოიტოვა იაპონელი **ნაოჰისა ტაკატო**. მესამეზე რუსთა ოლიმპიური ჩემპიონი **არსენ გალსტიანია** 1 058-ით, ბრაზილიელი ოლიმპიური პრიზიორი **ფელიპე კიტადაი**, ვინც ახლა პან-ამერიკაც მოიგო, 1040-ით - მეოთხეა, ხოლო ახლახან აზიის პირველობაზე გამარჯვებული იაპონელი **ჰიროფუმი იამამოტო** 980-ით - მეხუთე. ჩვენგან ტოპ-16-ში ევროპის ვიცე-ჩემპიონი **ბეთქილ შუკვანიც** შედის - 734 ქულა და VIII ადგილი. სავარაუდოდ, ვერც მას წაართმევს ვინმე ადგილს მასტერსზე, თავად თუ ისურვა ჩვენი სახელით გამოსვლა. პაპინაშვილის იმ ზონიდან გამოგდება ბაქოს, „დიდ მუზარადს" არანაირად არ ძალუძს იმის მიუხედავად, რომ თვითონ იქ არ იჭიდავებს.

66 კილოგრამში ევროპის ჩემპიონობამ **ლაშა შავდათუაშვილს** რეიტინგის სათავეში პირველი ადგილი დაუბრუნა, რადგან 1436 ქულა დაუგროვდა, ფრანგმა **დავიდ ლაროსემ** კი ევროპული ბრინჯაოთი მხოლოდ 1244 მოაგროვა. მესამეზე აზიის პირველობაზე გამარჯვებულმა მონღოლმა **ტუმურკულეგ დავაადორჯმა** აინაცვლა - 1130. ხუთეულში იაპონელი მსოფლიოს ჩემპიონი **მასაში ებინუმა** (990) და სამხრეთკორეელი **ჯუნ-ჰო ჩოც** (980) შედიან. სამწუხაროდ, ამ წონაში ჩვენგან სხვას თეორიული შანსიც არ აქვს მასტერსზე მოხვედრისა - მათგან საუკეთესო **შალვა ქარდავა** მხოლოდ 45-ეა.

საერთოდ, ბაქოში მოჭიდავეთაგან მასტერსზე მოსახვედრად მხოლოდ **ზებედა რეხვიაშვილი** (73) და **ლევან წიკლაური** (81) თუ იბრძოლებენ. ევროპის ბრინჯაოს მედალოსანი რეხვიაშვილი და ევროპის ვიცე-ჩემპიონი **ნუგზარ ტატალაშვილი** დღესდღეობით კეტავენ მასტერსის ზონას - ტატალაშვილი 588 ქულით 15-ეა, რეხვიაშვილი კი 562-ით - 16-ე. ვნახოთ, როგორ განვითარდება მოვლენები ბაქოში, მაგრამ დიდი შანსია, ტატალაშვილმა დაკარგოს ეს ადგილი, რეხვიაშვილმა კი აუცილებლად უნდა შეიმატოს ქულები, თორემ ტიუმენში წასვლის შანსი მასაც გაუფრინდება ხელიდან. იმედია, ის შეინარჩუნებს ბუდაპეშტში, ევროპის პირველობაზე ნაჩვენებ შემართებას და მედალს ამჯერადაც მოიპოვებს.

81 კილოგრამი ის წონითი კატეგორიაა, სადაც, იდეაში, ჯერ კიდევ გვრჩება მასტერსზე ორი მონაწილის გაყვანის შანსი. ევროპის ჩემპიონ **ავთანდილ ჭრიკიშვილს** (81) ეს განაღდებული აქვს - 1340 ქულით მყარადაა გამაგრებული მესამე ადგილზე და მას 16-ეულიდან ძვრას ვერავინ უზამს, აი, ლევან წიკლაურს კი მხოლოდ ბაქოში წარმატებით გამოსვლა თუ უშველის - სადღეისოდ 462 ქულით 22-ეა. კონკურენტებიც სერიოზულები ჰყავს. მათ შორის, ევროპის ვიცე-ჩემპიონი ხორვატი **ტომისლავ მარიჯანოვიჩი** და ბელგიელი ევროპის პრიზიორი **იოახიმ ბოტიო**, რომლებთანაც წინა კვირას ბუდაპეშტში დამარცხდა, ოღონდ არ ვიცი, ჩავლენ თუ არა ისინი აზერბაიჯანში. ამათ გარდა, 16-ში მოსახვედრად თუ პოზიციების გასამყარებლად ისეთი ფალავნები იბრძვიან, როგორიც ბრაზილიელი **ლეანდრო გილეირო**, ფრანგი **ალაინ შმიტი**, რუსი **სირაზუდინ მაგომედოვი**, მასპინძელი **ტურალ შაფგულიევი**, იაპონელი **ტაკაჰირო ნაკაია** და სხვები არიან. ოღონდ შაფგულიევს ევროპის წინ ტრავმა აწუხებდა და იქნებ ვერც იჭიდავოს, თუმცა **პეტერ ზაიზენბახერმა** ტრავმების გამო დასვენების უფლება ოფიციალურად ორს მისცა - **ილგარ მუშკიევს** (60) და **ელნურ მამედლის** (81).

ჩვენი გუნდიდან **ვალერი ლიპარტელიანი** (90) რეიტინგის სათავეში მყოფი მესამე ქართველია. მის ანგარიშზე 1782 ქულაა და საგრძნობლად უსწრებს 1554-იან კუბელ **ეშლი გონსალესს**. გაბერძნებული **ილიას ილიადისის** მაჩვენებელი 1142 ქულაა, რუსი **კირილ დენისოვის** მონაგარი 1006-ია, იაპონელი **მასაში ნიშიამასი** - 870. ამ წონაში სხვა ქართველებიდან მასტერსზე მოხვედრის შანსს მხოლოდ **ზვიად გოგოჭური** ინარჩუნებს, რომელიც 372 ქულით 20-ეა. ის ბაქოშიც იჭიდავებს და იმედია, ქულათა მარაგს სათანადოდაც გაიმდიდრებს.

სავარაუდოდ, 100-ში მასტერსზე წლეულს მონაწილე არ გვეყოლება. აქ **ირაკლი ცირეკიძე** და **ლომერ ჟორჟოლიანი** 22-23-ე ადგილებზე არიან, მაგრამ პირველმა უკვე დაანება ჭიდაობას თავი, მეორე ბაქოში არ გამოდის და ერთადერთ შანსად ის რჩება, წინ მდგომთაგან ამდენმა იუაროს მასტერსზე გამოსვლა. ჯერ ესეც ძნელი წარმოსადგენია და თან ადრე ეს ადგილმონაცვლეობაც შეზღუდული იყო - მე-18-ს დაბლა აღარ აძლევდნენ ჭიდაობის ნებას, წლეულს კი ჯერ გაურკვეველია, ეს წესი ისევ მოქმედებს თუ შეიცვალა.

+100-ში ვერც **ადამ ოქრუაშვილს** შეეცილება ვინმე მასტერსის საგზურს - 1112 ქულით მეოთხეა. ცხადია, აქ პირველ ადგილზე ევროპის ჩემპიონი ფრანგი **ტედი რინერია** - 2000 (ყველაზე მაღალი მაჩვენებელი შვიდივე წონაში!), მეორეზე პან-ამერიკის ბრაზილიელი გამარჯვებული **რაფაელ სილვაა** 1410-ით, მესამეზე - კორეელი **სუნ-მინ კიმი** 1190-ით, ხუთეულს კი აფრიკის ტუნისელი ჩემპიონი **ფაიცელ ჯაბალანი** აგვირგვინებს 916 ქულით.

**ირაკლი თავაძე**

ბერძნულ-რომაული ჭიდაობა. ბაქოს ტურნირი

# რიგგარეშე სასტარტო




**ძიუდოისტთა** გარდა, ზედ აღდგომის დღეებში - 4-5 მაისს, აზერბაიჯანს ბერძნულ-რომაული სტილით მოჭიდავეთა ახალგაზრდული ნაკრებიც ეწვევა ტურნირში საჭიდაოდ, ოღონდ ისინი ბაქოს ნაცვლად ნახჭევანში იასპარეზებენ. იქაურ ოლიმპიურ კომპლექსში ჰეიდარ ალიევის 90 წლისთვის ალსანიშნავად საერთაშორისო ტურნირი - „ნახჭევნის თასი" ტარდება, რომელშიც 8 გუნდი მონაწილეობს: საქართველო, აზერბაიჯანი, ნახჭევანი, რუსეთი, თურქეთი, ირანი, უზბეკეთი და უკრაინა.

ჩვენი ნაკრებისთვის ეს ბოლო შეჯიბრებაა ევროპის პირველობის წინ, თუმცა ის თავდაპირველ კალენდარში შეტანილი არ ჰქონდათ. იქ წასვლა დღის წესრიგში მიპატიჟების შემდეგ დადგა, თუმცა თავიდან ფინანსების საკითხი არ იყო გარკვეული. საბედნიეროდ, ეს პრობლემა მოგვარდა და გუშინ საღამოს მატარებლით ჩვენები მეზობელ ქვეყანაში სრული გუნდით გაემგზავრნენ. ეს არცთუ დიდ თანხებთანაა დაკავშირებული და თან კომერციულია - მედალოსნები ფულად პრემიებსაც მიიღებენ. ამასთან, შეჯიბრება გუნდური პრინციპით ტარდება, ანუ სპორტსმენებს საჭიდაო პრაქტიკა, ზედიზედ რამდენიმე შეხვედრა გარანტირებული აქვთ. შემადგენლობაც ძალიან ძლიერია - ეტყობა, „ყოველთა აზერბაიჯანელთა ლიდერის" საპატივცემულოდ ორგანიზატორებმა საგანგებოდ შეარჩიეს მონაწილენი, რომელთაგანაც ყველა ტოპ-კლასის საჭიდაო სკოლის წარმომადგენელია. ერთი სიტყვით, ევროპის წინ მართლაც კარგი სპარინგ-მოთელვა გამოუვათ.

რაკი ეს სასტარტო ტურნირია, ჩვენი ნაკრების თავკაცი **ვლადიმერ ადეიშვილს** იქ გუნდის ძირითადი შემადგენლობა მიჰყავს, მხოლოდ საქართველოს ჩემპიონები: **ირაკლი შავაძე** (50), **ედნარ შავაძე** (55), **ხვიჩა ჭითავა** (60), **ფირუზ წულუკიძე** (66), **ლაშა გობაძე** (74), **რობერტ ქობლიაშვილი** (84), **კუკური კირცხალია** (96), **იაკობ ქაჯაია** (120).

უკვე იმის თქმაც შეიძლება, რომ 2-7 ივლისს მაკედონიურ სკოპიეში ევროპის პირველობაზეც ესენი იჭიდავებენ. შიდა პირველობის შემდეგ მათ უცხოურ ტურნირებშიც იასპარეზეს - რიგასა და ბაქოში. განსაკუთრებით მოულოდნელი შედეგები მეორე შეჯიბრებაზე დაფიქსირდა, სადაც ქვეყნის პირველობაზე მარცხისთვის ბევრმა ლიდერებთან რევანში აიღო, თუმცა ადეიშვილმა ამჯერად ყველაფერი უცვლელად დატოვა - ის ჩემპიონებს მორიგ შანსს აძლევს და თუ ამჯერადაც ვერ გაამართლეს, ცვლილებებს მსოფლიოზე განახორციელებს. არა, მსოფლიოზე გარკვეული საკადრო გადაადგილებები ისედაც იქნება, მაგრამ ევროპაც ბევრს განსაზღვრავს.

დასასრულს, შეგახსენებთ, რომ მსოფლიოს ჩემპიონატს 13-18 აგვისტოს სოფია უმასპინძლებს.

**ირაკლი თავაძე**



ხელბურთი

# მესამე ტური მოიგლიეს



გუშინ 1996-1997 წლებში დაბადებულ ხელბურთელ ვაჟთა საქართველოს პირველობის მე-3 ტურის ბოლო ორი მატჩი გაიმართა: ქუთაისმა რუსთავის გუნდს აჯობა - 26:23, ხოლო 1998-1999 წლებში დაბადებულთა "დ" ნაკრებმა ბათუმელი ხელბურთელები დაამარცხა - 23:17.

ამდენად, დასკვნითი მე-4 ტურის წინ ასეთი სატურნირო მდგომარეობაა: "მერანი" - 22 (338:165), "პეგასი" - 18 (265:206), "დ" ნაკრები - 15 (362:324), "ა" ნაკრები - 13 (265:248), "რუსთავი" - 10 (340:340), "კულა" (გორი) - 5 (214:237), "ბათუმი" - 3 (186:258), "ქუთაისი" - 2 (220:266) ქულა.

მეოთხე დასკვნითი ტურის შეხვედრები 15-18 მაისს გაიმართება.

**ვაჟა დანელია**

ჩოგბურთი

# ბასილაშვილმაც დაასრულა

სამი ქართველი ჩოგბურთელი ჩაება ამ კვირას საერთაშორისო ტურნირებში და ყველა მათგანმა ვადამდე დაასრულა ასპარეზობა.

**მარგალიტა ჩახნაშვილმა** იტალიის 25.000-იან ტურნირში მოსინჯა ძალები. საკვალიფიკაციოში მოიგო ერთი შეხვედრა, მაგრამ შემდეგ ძირითადი ბადის სტარტზევე დანკა კოვინიჩთან (ჩერნოგორია) წააგო და შეჯიბრებას გამოეთიშა.

კარგა ხნის უქმობის შემდეგ კორტსდაბრუნებული **ანა ტატიშვილი** ოეირაშის (პორტუგალია) საერთაშორისო ტურნირის (საპრიზო ფონდი 235.000 დოლარი) პირველ წრეში იანინა ვიკმაიერს (ბელგია) დანებდა (1:6, 5:7), წყვილებში ავსტრიელ ტამირა პაშეკთან ერთად დარია ჯურაკისა (ხორვატია) და კატალინ მაროშის (უნგრეთი) დუეტთან დათმო მეოთხედფინალი - 4:6, 4:6.

**ნიკოლოზ ბასილაშვილმა** ტალიაჰასის (აშშ) ჩელენჯერის (საპრიზო ფონდი 50.000 დოლარი) წყვილებში ჯერალდ მეცერთან (ავსტრია) გუშინ ტურნირზე პირველ ნომრად განთესილ ოსტინ კრაიჩეკისა და ტენის სანდგრენის დუეტთან წააგო - 4:6, 4:6 და შეჯიბრებას გამოეთიშა.

მომავალი კვირიდან საფრანგეთის 100.000-იანი ტურნირის ძირითად ბადეში მე-2 ნომრად იქნება განთესილი ანა ტატიშვილი (ასპარეზობის რეიტინგფავორიტია შვეიცარიელი რომინა ოპრანდი). ამავე შეჯიბრების საკვალიფიკაციო ბადეში, სავარაუდოდ, **სოფიო შაფათავაც** ჩაებმება.

**ვაჟა დანელია**


ეროვნული ბიბლიოთეკა

თავისუფალი ჭიდაობა

# გერმანიაში რეაბილიტირებული

„ლელო" უკვე წერდა თავისუფალ ჭიდაობაში მსოფლიოს ბრინჯაოს მედალოსანსა და ევროპის ვიცე-ჩემპიონ **დავით ხუციშვილზე** (73), რომელიც გერმანიაში, ქალაქ მაინცის სპორტული მედიცინის კლინიკაში ნატკენი მხრის გამოსაკვლევად გაიგზავნა. მან ხელი ევროპის ჩემპიონატის დღეებში იტკინა, რის გამოც ტურნირი ნაადრევად დაასრულა.

გერმანულმა გამოკვლევამ აჩვენა, რომ ჩვენებურს ჯერ ისევ ჰქონდა სისხლჩაქცევა. მთელი სამედიცინო პროცედურაც ამაზე ჩატარდა - მას გაუწმინდეს მხარი და იქვე დატოვეს სარეაბილიტაციო პროცედურებზე, რასაც 3-4 კვირა დასჭირდება. რაც მთავარია, საფუძვლიანი ოპერაცია არ სჭირდება

ხუციშვილის იქ გაგზავნაში, კლინიკის შერჩევაში, მოლაპარაკებებსა თუ სარეაბილიტაციო ბაზაზე დატოვებაში ძალიან დიდი როლი ითამაშა გერმანიის ნაკრების ქართველმა წევრმა **დავით ბიჩინაშვილმა**, რომელიც რამდენიმე წელიწადია, იქ ცხოვრობს და გერმანელთა ღირსებას იცავს. მისი დამსახურებით, მთელი ეს პროცედურა გასაოცრად იაფი დაჯდა.

**ირაკლი თავაძე**

წყალბურთი

# ოლიმპიკში ფინალის ორი საგზურისთვის

წლეულს 8-15 სექტემბერს მალტაში ახალგაზრდა წყალბურთელ ვაჟთა ევროპის ჩემპიონატის ფინალური ეტაპი გაიმართება. გადამწყვეტი რაუნდის 8 საგზურისათვის 9-12 მაისს 20 გუნდი იბრძოლებს. ისინი 4 ჯგუფში არიან განთესილი. B ჯგუფს, სადაც ერთმანეთს **სლოვაკეთი, გერმანია, მოლდოვა, ჰოლანდია** და **საქართველო** დაუპირისპირდებიან, თბილისში „ოლიმპიკის" აუზი უმასპინძლებს. ამ შეჯიბრებისთვის ჩვენი ქვეყნის ნაკრები (**ბექა ჭოლოკავა, გიორგი გაბადაძე, ანდრია ბითაძე, რევაზ იმნაიშვილი, ხვიჩა ჯახაია, ირაკლი რაზმაძე, ზუკა ჩიკვაიძე, გიორგი ზაქარეიშვილი, დავით რევია, ირაკლი მარგველაშვილი, გიორგი მაგრაქველიძე, ლევან მოსეშვილი, ლუკა ჯანჯღავა**) **იოვან პოპოვიჩისა** და **ირაკლი ბაქრაძის** ხელმძღვანელობით დიდი ხანია ემზადება. სერბეთში ორკვირიანი საწვრთნელი შეკრებისას სპარინგშეხვედრებიც გამართა, თბილისში ყაზახეთის, ისრაელის, ჩეხეთის ახალგაზრდული ნაკრები გუნდები დაამარცხა და სახელოვანი წყალბურთელის - ნოდარ გვახარიას თასი მოიპოვა. იმის მიუხედავად, რომ ჩვენი ბიჭები ურთულეს ჯგუფში მოხვდნენ, იმედია, ფინალური ეტაპის საგზურის მოსაპოვებლად გულშემატკივრების თანადგომით არაფერს დაიშურებენ.

დანარჩენ ჯგუფებში ითამაშებენ:

**A ჯგუფი** (შეხვედრები პოლონურ გორჟოვში გაიმართება): საფრანგეთი, ბელარუსი, პოლონეთი, ირლანდია, ისრაელი.

**C ჯგუფი** (თურქეთი, სტამბოლი): რუსეთი, ბულგარეთი, თურქეთი, დიდი ბრიტანეთი, შვეიცარია.

**D ჯგუფი** (ჩერნოგორია, ბუდვა): ჩერნოგორია, სლოვენია, უკრაინა, ჩეხეთი, ბელგია.

**ვაჟა დანელია**



აკადემიური ნიჩბოსნობა

# რომაული რეპეტიცია ევროპის წინ

იტალიაში დამთავრდა აკადემიურ ნიჩბოსნობაში საერთაშორისო რეგატა, რომელშიც 1995-1997 წლებში დაბადებული სპორტსმენები მონაწილეობდნენ. ერთადგილიანი ნავებით საქართველოს სპორტულ ღირსებას იცავდნენ 15 წლის **ანი გვილავა** (მცხეთა) და 14 წლის **გიორგი ჯიქია** (თბილისი). 2-3 წლით უფროსებთან ჩვენს სპორტსმენებს ურიგოდ არ უასპარეზიათ: იტალიის, საბერძნეთის, ტუნისის, შვეიცარიისა და სერბეთის წარმომადგენლებთან წინასწარ გაცურვაში 1500 მეტრზე ორივემ მე-5 ადგილი დაიკავა. გიორგიმ დისტანცია 8,23-ში დაფარა, ანიმ - 9,41-ში. შემდეგ ჩვენებურები დამამშვიდებელ ჯგუფში მოხვდნენ და იქაც მე-5 ადგილებზე გავიდნენ.

25-26 მაისს მინსკი 18-წლამდელთა ევროპის პირველობას უმასპინძლებს. ბელარუსის დედაქალაქში ანი გვილავა და **არჩილ ბაიაშვილი** (მცხეთა) მოსინჯავენ ძალებს. იქ სპორტსმენები 2000-მეტრიან დისტანციაზე დაუპირისპირდებიან ერთმანეთს. ბაიაშვილი 17 წლისაა, ის უფრო გაუმკლავდება მეტოქეებს, ვიდრე მასზე სამი წლით უმცროსი ჯიქია. საგულისხმოა, რომ მინსკში სპორტსმენებმა მსოფლიოს პირველობაზე მოსახვედრად სალიცენზიო ნორმატივი უნდა შეასრულონ. იმედია, ქართველ სპორტსმენებს ეს არ გაუჭირდებათ.

**ვაჟა დანელია**

რეგიონი

# კროსი გორში, სამზადისი თბილისისთვის



გორის კულტურისა და დასვენების პარკში მძლეოსნური კროსი ყოველი წლის გაზაფხულსა და შემოდგომაზე იმართება. შეჯიბრებაში ამჯერადაც ქალაქის ყველა საჯარო სკოლის და გიმნაზიის 200-მდე მოსწავლე მონაწილეობდა სამ ასაკობრივ ჯგუფში. უმცროსთა (1999-2000 წწ) და უფროსთა (1997) შორის შეჯიბრებაში ბიჭებმაც იასპარეზეს და გოგონებმაც, საშუალო (1998) ასაკში კი მხოლოდ გოგონებმა. გაგაცნობთ შედეგებს.

**უმცროსი ასაკი 300 მ. გოგონები:** 1. მარიამ ზეგარდელი (XII სკოლა), 2. მარიამ კარელიძე (X სკ), 3. მარიამ მირუაშვილი (III სკ); **ბიჭები:** 1. ნუკრი კაკულია (III სკ), 2. სანდრო ინდუაშვილი, 3. რატი მამედოვი (ორივე — XI სკ).

**საშუალო ასაკი 500 მ. გოგონები:** 1. ნინო კარელიძე (XI სკ), 2. მარიამ მესროპაშვილი (VIII სკ), 3. ანი ნაზარაშვილი (X სკ);

**უფროსი ასაკი 1000 მ. გოგონები:** 1. მარი სეროპიანი (XI სკ), 2. ანი მეგრელიშვილი (VII სკ), 3. მარიამ დათაშვილი (VII სკ); **ბიჭები:** ილია კუხალაშვილი (III სკ), 2. ალეკო გაგნიძე (X სკ), 3. თამაზ ტარუაშვილი (IV გიმნაზია).

არაოფიციალურ გუნდურ ჩათვლაში პირველ ადგილზე XI სკოლა გავიდა (მწვრთნელი **გივი იაზბარიანი**), მეორე იყო III სკოლა (მწვ. **დავით ახალბედაშვილი**), მესამე X სკოლა (მწვ. **ირბეგ ჯიოშვილი**).

წარმატებული მძლეოსნებისგან შემდგარ გუნდს უახლოეს დღეებში დაემატებიან მძლეოსნობის სხვა სახეობათა (ბადროს ტყორცნა, ბირთვის კვრა, სიგრძეზე ხტომა) წარმომადგენლები, რომლებიც 10-12 მაისს თბილისში მძლეოსნობის მსოფლიო დღისადმი მიძღვნილ ტრადიციული შეჯიბრებაში იასპარეზებენ. გორელებს მთავარი მწვრთნელი გივი იაზბარიანი ამზადებს.

აქვე აღვნიშნავთ, რომ ამჟამად ბელარუსში შეკრებაზე მყოფი საქართველოს ასაკობრივი ნაკრების წევრმა, ბირთვის კვრაში ჩვენი ქვეყნის პირველობების არაერთგზის გამარჯვებულმა, გორელმა **გიორგი მუჯარიძემ** ამ დღეებში ბელარუსშივე გამართულ საერთაშორისო ტურნირშიც არავის დაუთმო პირველობა. მუჯარიძე 2015 წელს, თბილისში გასამართ ევროპის ოლიმპიური ფესტივალზე საქართველოს ნაკრების ერთ-ერთი იმედია.

უმცროსი ასაკის გორელი მძლეოსნები სტაბილურად წარმატებით გამოდიან ჩვენი ქვეყნის პირველობებში, თუმცა, სამწუხაროდ, მშობლიურ ქალაქში მათ ნორმალური სარბენი ბილიკებიც არ გააჩნიათ. გორის მუნიციპალიტეტი მის მოწყობას ქალაქის კულტურისა და დასვენების პარკის ტერიტორიაზე გეგმავს.

**ვასილ ბალახაძე**
გორიდან

ჭადრაკი

# საიუბილეო 26 მაისს დაიწყება

საქართველოს მოჭადრაკე ქალთა 70-ე საიუბილეო ეროვნული ჩემპიონატი 26 მაისს დაიწყება. მედლებისთვის წრიული სისტემით 12 მანდილოსანი იბრძოლებს (**ნანა ძაგნიძის** გარდა). ესენი არიან: **ბელა ხოტენაშვილი, ლელა ჯავახიშვილი, ნინო ხურციძე, სალომე მელია, სოფიკო გურამიშვილი, ნინო ბაციაშვილი, მერი არაბიძე, მაკა ფურცელაძე, სოფიო გვეტაძე, ინგა ხურცილავა, ანა კუჭავა** და **ლიკა კობეშავიძე**.

ტურნირის საპრიზო ფონდი 16 ათასი ლარი, რომელიც 5 საუკეთესოზე ასე განაწილდება: I. 5000, II. 4000, III. 3500, IV. 2000 და V. 1500 ლარი. ჩემპიონი ეროვნულ ნაკრებში ევროპის ჩემპიონატზე თამაშის უფლებას მოიპოვებს, პირველ-მეორეადგილოსნები 2014 წლის ევროპის ქალთა ინდივიდუალურ ჩემპიონატზე გასამგზავრებლად დაფინანსდებიან.

**ვაჟა დანელია**

ცურვა

# რევიშვილის ბრინჯაო

გუშინ ბრესტში დაიწყო მოცურავეთა საერთაშორისო ტურნირი - ბელარუსის ღია ჩემპიონატი, რომელშიც მასპინძლებთან ერთად რუსი, ქართველი და უზბეკი სპორტსმენებიც მონაწილეობენ. თბილისელმა **ირაკლი რევიშვილმა** 400 მეტრზე თავისუფალი ყაიდით ბრინჯაოს მედალი მოიპოვა. დღეს 100 მეტრზე მოსინჯავს ძალებს.

**ვაჟა დანელია**

რეგიონი


დაჯილდოებულები და დამჯილდოებლები

# ქარელში ეამაყებათ და აჯილდოებენ

ქარელელ სპორტსმენთა ბოლოდროინდელი წარმატებები საგანგებოდ აღნიშნეს რაიონის ხელმძღვანელებმა. შეხვედრა მოუწყვეს და ფულადი პრემიებით დააჯილდოვეს კადეტთა შორის საქართველოს ჩემპიონი და ევროპის ჩემპიონატის ბრინჯაოს პრიზიორი სამბოში **ჯემალ დაბრუნდაშვილი**, ჭაბუკთა შორის ქართულ ჭიდაობაში ქვეყნის პირველობის გამარჯვებლები **ნიკა სიდამონიძე, დავით იმერლიშვილი** და **ზვიად ბერუაშვილი**, საქართველოს ჩემპიონი 14 წლამდე მოჭადრაკეთა შორის **გიორგი თავზარაშვილი**. წარმატებული სპორტსმენები ძირითადად რაიონის სასპორტო სკოლის აღზრდილები არიან.

*„გვინდა ჩვენმა სპორტსმენებმა იცოდნენ, რომ მათი წარმატებები ეამაყება რაიონს და ხელმძღვანელობისგან დაფასება არ მოაკლდებათ"* - გვითხრა ქარელის სპორტისა და კულტურის სამსახურის უფროსმა **ანი ბალიაშვილმა**.

**ვასილ ბალახაძე**
ქარელიდან



ეროვნული ბიბლიოთეკა

ძიუდო

# რეიტინგი და სამასტერსე შანსები

## რით შევავსებთ დიდ მუზარადს ბაქოში?



გამოქვეყნდა ძიუდოს ახალი საერთაშორისო რეიტინგი, სადაც ჩვენი ფალავნები კვლავაც ინარჩუნებენ მოწინავე პოზიციებს. მოგეხსენებათ, ამ უქმეებზე ბაქოში „დიდი მუზარადის" სერიის რიგით მეორე ტურნირი ტარდება, რაც მთლიანად განსაზღვრავს 25-26 მაისს ტიუმენში გასამართი მასტერსის შემადგენლობას. შეგახსენებთ, რომ იქ საერთაშორისო რეიტინგის 16 საუკეთესო სპორტსმენი მონაწილეობს. რეიტინგი ცოტა სხვა პრინციპით ითვლება - 5 საუკეთესო შედეგს ემატება კიდევ ერთი, კონტინენტური პირველობის ან მასტერსის. იმათგან საუკეთესო ექვსეულში შევა, ეგრეთ წოდებულ ექსტრაშედეგში, ხოლო უფრო მცირე - იმ 5 საუკეთესოში (ცხადია, იქაც თუ მოხვდება). ეს იქიდან გამომდინარე, რომ მასტერსზე ყველა ვერ გამოდის, თუმცა მას და კონტინენტურ პირველობას შორის გვარიანი სხვაობაა - პირველის გამარჯვებული 700 ქულას იღებს, მეორისა - 400-ს.

ევროპის პირველობაზე გამარჯვების შემდეგ **ამირან პაპინაშვილი** (60) სათავეში მოექცა რეიტინგს - 1 296 ქულა დააგროვა და 8 ქულით ჩამოიტოვა იაპონელი **ნაოჰისა ტაკატო**. მესამეზე რუსთა ოლიმპიური ჩემპიონი **არსენ გალსტიანია** 1 058-ით, ბრაზილიელი ოლიმპიური პრიზიორი **ფელიპე კიტადაი**, ვინც ახლა პან-ამერიკაც მოიგო, 1040-ით - მეოთხეა, ხოლო ახლახან აზიის პირველობაზე გამარჯვებული იაპონელი **ჰიროფუმი იამამოტო** 980-ით - მეხუთე. ჩვენგან ტოპ-16-ში ევროპის ვიცე-ჩემპიონი **ბეთქილ შუკვანიც** შედის - 734 ქულა და VIII ადგილი. სავარაუდოდ, ვერც მას წაართმევს ვინმე ადგილს მასტერსზე, თავად თუ ისურვა ჩვენი სახელით გამოსვლა. პაპინაშვილის იმ ზონიდან გამოგდება ბაქოს „დიდ მუზარადს" არანაირად არ ძალუძს იმის მიუხედავად, რომ თვითონ იქ არ იჭიდავებს.

66 კილოგრამში ევროპის ჩემპიონობამ **ლაშა შავდათუაშვილს** რეიტინგის სათავეში პირველი ადგილი დაუბრუნა, რადგან 1436 ქულა დაუგროვდა, ფრანგმა **დავიდ ლაროსემ** კი ევროპული ბრინჯაოთი მხოლოდ 1244 მოაგროვა. მესამეზე აზიის პირველობაზე გამარჯვებულმა მონღოლმა **ტუმურკულეგ დავაადორჯმა** აინაცვლა - 1130. ხუთეულში იაპონელი მსოფლიოს ჩემპიონი **მასაში ებინუმა** (990) და სამხრეთკორეელი **ჯუნ-ჰო ჩოც** (980) შედიან. სამწუხაროდ, ამ წონაში ჩვენგან სხვას თეორიული შანსიც არ აქვს მასტერსზე მოხვედრისა - მათგან საუკეთესო **შალვა ქარდავა** მხოლოდ 45-ეა.

საერთოდ, ბაქოში მოჭიდავეთაგან მასტერსზე მოსახვედრად მხოლოდ **ზებედა რეხვიაშვილი** (73) და **ლევან ნიკლაური** (81) თუ იბრძოლებენ. ევროპის ბრინჯაოს მედალოსანი რეხვიაშვილი და ევროპის ვიცე-ჩემპიონი **ნუგზარ ტატალაშვილი** დღესდღეობით კეტავენ მასტერსის ზონას - ტატალაშვილი 588 ქულით 15-ეა, რეხვიაშვილი კი 562-ით - 16-ე. ვნახოთ, როგორ განვითარდება მოვლენები ბაქოში, მაგრამ დიდი შანსია, ტატალაშვილმა დაკარგოს ეს ადგილი, რეხვიაშვილმა კი აუცილებლად უნდა შეიმატოს ქულები, თორემ ტიუმენში წასვლის შანსი მასაც გაუფრინდება ხელიდან. იმედია, ის შეინარჩუნებს ბუდაპეშტში, ევროპის პირველობაზე ნაჩვენებ შემართებას და მედალს ამჯერადაც მოიპოვებს.

81 კილოგრამი ის წონითი კატეგორიაა, სადაც, იდეაში, ჯერ კიდევ გვრჩება მასტერსზე ორი მონაწილის გაყვანის შანსი. ევროპის ჩემპიონ **ავთანდილ ჭრიკიშვილს** (81) ეს განაღდებული აქვს - 1340 ქულით მყარადაა გამაგრებული მესამე ადგილზე და მას 16-ეულიდან ძვრას ვერავინ უზამს, აი, ლევან ნიკლაურს კი მხოლოდ ბაქოში წარმატებით გამოსვლა თუ უშველის - სადღეისოდ 462 ქულით 22-ეა. კონკურენტებიც სერიოზულები ჰყავს. მათ შორის, ევროპის ვიცე-ჩემპიონი ხორვატი **ტომისლავ მარიჯანოვიჩი** და ბელგიელი ევროპის პრიზიორი **იოახიმ ბოტიო**, რომლებთანაც წინა კვირას ბუდაპეშტში დამარცხდა, ოღონდ არ ვიცი, ჩავლენ თუ არა ისინი აზერბაიჯანში. ამათ გარდა, 16-ში მოსახვედრად თუ პოზიციების გასამყარებლად ისეთი ფალავნები იბრძვიან, როგორიც ბრაზილიელი **ლეანდრო გილეირო**, ფრანგი **ალაინ შმიტი**, რუსი **სირაზუდინ მაგომედოვი**, მასპინძელი **ტურალ შაფგულიევი**, იაპონელი **ტაკაჰირო ნაკაია** და სხვები არიან. ოღონდ შაფგულიევს ევროპის წინ ტრავმა აწუხებდა და იქნებ ვერც იჭიდაოს, თუმცა **პეტერ ზაიზენბახერმა** ტრავმების გამო დასვენების უფლება ოფიციალურად ორს მისცა - **ილგარ მუშკიევს** (60) და **ელნურ მამედლის** (81).

ჩვენი გუნდიდან **ვალერი ლიპარტელიანი** (90) რეიტინგის სათავეში მყოფი მესამე ქართველია. მის ანგარიშზე 1782 ქულაა და საგრძნობლად უსწრებს 1554-იან კუბელ **ეშლი გონსალესს**. გაბერძნებული **ილიას ილიადისის** მაჩვენებელი 1142 ქულაა, რუსი **კირილ დენისოვის** მონაგარი 1006-ია, იაპონელი **მასაში ნიშიამასი** - 870. ამ წონაში სხვა ქართველებიდან მასტერსზე მოხვედრის შანსს მხოლოდ **ზვიად გოგოჭური** ინარჩუნებს, რომელიც 372 ქულით 20-ეა. ის ბაქოშიც იჭიდავებს და იმედია, ქულათა მარაგს სათანადოდაც გაიმდიდრებს.

სავარაუდოდ, 100-ში მასტერსზე წლეულს მონაწილე არ გვეყოლება. აქ **ირაკლი ცირეკიძე** და **ლომერ ყორყოლიანი** 22-23-ე ადგილებზე არიან, მაგრამ პირველმა უკვე დაანება ჭიდაობას თავი, მეორე ბაქოში არ გამოდის და ერთადერთ შანსად ის რჩება, წინ მდგომთაგან ამდენმა იუაროს მასტერსზე გამოსვლა. ჯერ ესეც ძნელი წარმოსადგენია და თან ადრე ეს ადგილმონაცვლეობაც შეზღუდული იყო - მე-18-ს დაბლა აღარ აძლევდნენ ჭიდაობის ნებას, წლეულს კი ჯერ გაურკვეველია, ეს წესი ისევ მოქმედებს თუ შეიცვალა.

+100-ში ვერც **ადამ ოქრუაშვილს** შეეცილება ვინმე მასტერსის საგზურს - 1112 ქულით მეოთხეა. ცხადია, აქ პირველ ადგილზე ევროპის ჩემპიონი ფრანგი **ტედი რინერია** - 2000 (ყველაზე მაღალი მაჩვენებელი შვიდივე წონაში!), მეორეზე პან-ამერიკის ბრაზილიელი გამარჯვებული **რაფაელ სილვაა** 1410-ით, მესამეზე - კორეელი **სუნ-მინ კიმი** 1190-ით, ხუთეულს კი აფრიკის ტუნისელი ჩემპიონი **ფაიცელ ჯაბალანი** აგვირგვინებს 916 ქულით.

**ირაკლი თავაძე**

ბერძნულ-რომაული ჭიდაობა. ბაქოს ტურნირი

# რიგგარეშე სასტარტო




**ძიუდოისტთა გარდა, ზედ აღდგომის დღეებში - 4-5 მაისს, აზერბაიჯანს ბერძნულ-რომაული სტილით მოჭიდავეთა ახალგაზრდული ნაკრებიც ეწვევა ტურნირში საჭიდაოდ, ოღონდ ისინი ბაქოს ნაცვლად ნახჭევანში იასპარეზებენ. იქაურ ოლიმპიურ კომპლექსში ჰეიდარ ალიევის 90 წლისთვის აღსანიშნავად საერთაშორისო ტურნირი - „ნახჭევნის თასი" ტარდება, რომელშიც 8 გუნდი მონაწილეობს: საქართველო, აზერბაიჯანი, ნახჭევანი, რუსეთი, თურქეთი, ირანი, უზბეკეთი და უკრაინა.**

ჩვენი ნაკრებისთვის ეს ბოლო შეჯიბრებაა ევროპის პირველობის წინ, თუმცა ის თავდაპირველ კალენდარში შეტანილი არ ჰქონდათ. იქ წასვლა დღის წესრიგში მიპატიჟების შემდეგ დადგა, თუმცა თავიდან ფინანსების საკითხი არ იყო გარკვეული. საბედნიეროდ, ეს პრობლემა მოგვარდა და გუშინ საღამოს მატარებლით ჩვენები მეზობელ ქვეყანაში სრული გუნდით გაემგზავრნენ. ეს არცთუ დიდ თანხებთანაა დაკავშირებული და თან კომერციულია - მედალოსნები ფულად პრემიებსაც მიიღებენ. ამასთან, შეჯიბრება გუნდური პრინციპით ტარდება, ანუ სპორტსმენებს საჭიდაო პრაქტიკა, ზედიზედ რამდენიმე შეხვედრა გარანტირებული აქვთ. შემადგენლობაც ძალიან ძლიერია - ეტყობა, „ყოველთა აზერბაიჯანელთა ლიდერის" საპატივცემულოდ ორგანიზატორებმა საგანგებოდ შეარჩიეს მონაწილენი, რომელთაგანაც ყველა ტოპ-კლასის საჭიდაო სკოლის წარმომადგენელია. ერთი სიტყვით, ევროპის წინ მართლაც კარგი სპარინგ-მოთელვა გამოუვათ.

რაკი ეს სასტარტო ტურნირია, ჩვენი ნაკრების თავკაც **ვლადიმერ ადეიშვილს** იქ გუნდის ძირითადი შემადგენლობა მიჰყავს, მხოლოდ საქართველოს ჩემპიონები: **ირაკლი შავაძე** (50), **ედნარ შავაძე** (55), **ხვიჩა ჭითავა** (60), **ფირუზ ნულუკიძე** (66), **ლაშა გობაძე** (74), **რობერტ ქობლიაშვილი** (84), **კუკური კირცხალია** (96), **იაკობ ქაჯაია** (120).

უკვე იმის თქმაც შეიძლება, რომ 2-7 ივლისს მაკედონიურ სკოპიეში ევროპის პირველობაზეც ესენი იჭიდავებენ. შიდა პირველობის შემდეგ მათ უცხოურ ტურნირებშიც იასპარეზეს - რიგასა და ბაქოში. განსაკუთრებით მოულოდნელი შედეგები მეორე შეჯიბრებაზე დაფიქსირდა, სადაც ქვეყნის პირველობაზე მარცხისთვის ბევრმა ლიდერებთან რევანში აიღო, თუმცა ადეიშვილმა ამჯერად ყველაფერი უცვლელად დატოვა - ის ჩემპიონებს მორიგ შანსს აძლევს და თუ ამჯერადაც ვერ გაამართლეს, ცვლილებებს მსოფლიოზე განახორციელებს. არა, მსოფლიოზე გარკვეული საკადრო გადაადგილებები ისედაც იქნება, მაგრამ ევროპაც ბევრს განსაზღვრავს.

დასასრულს, შეგახსენებთ, რომ მსოფლიოს ჩემპიონატს 13-18 აგვისტოს სოფია უმასპინძლებს.

**ირაკლი თავაძე**



ხელბურთი

# მესამე ტური მოილიეს



გუშინ 1996-1997 წლებში დაბადებულ ხელბურთელ ვაჟთა საქართველოს პირველობის მე-3 ტურის ბოლო ორი მატჩი გაიმართა: ქუთაისმა რუსთავის გუნდს აჯობა - 26:23, ხოლო 1998-1999 წლებში დაბადებულთა "დ" ნაკრებმა ბათუმელი ხელბურთელები დაამარცხა - 23:17.

ამდენად, დასკვნითი მე-4 ტურის წინ ასეთი სატურნირო მდგომარეობაა: "მერანი" - 22 (338:165), "პეგასი" - 18 (265:206), "დ" ნაკრები - 15 (362:324), "ა" ნაკრები - 13 (265:248), "რუსთავი" - 10 (340:340), "კულა" (გორი) - 5 (214:237), "ბათუმი" - 3 (186:258), "ქუთაისი" - 2 (220:266) ქულა.

მეოთხე დასკვნითი ტურის შეხვედრები 15-18 მაისს გაიმართება.

**ვაჟა დანელია**

ჩოგბურთი

# ბასილაშვილმაც დაასრულა

სამი ქართველი ჩოგბურთელი ჩაება ამ კვირას საერთაშორისო ტურნირებში და ყველა მათგანმა ვადამდე დაასრულა ასპარეზობა.

**მარგალიტა ჩახნაშვილმა** იტალიის 25.000-იან ტურნირში მოსინჯა ძალები. საკვალიფიკაციოში მოიგო ერთი შეხვედრა, მაგრამ შემდეგ ძირითადი ბადის სტარტზევე დანკა კოვინიჩთან (ჩერნოგორია) წააგო და შეჯიბრებას გამოეთიშა.

კარგა ხნის უქმობის შემდეგ კორტსდაბრუნებული **ანა ტატიშვილი** ოეირაშის (პორტუგალია) საერთაშორისო ტურნირის (საპრიზო ფონდი 235.000 დოლარი) პირველ წრეში იანინა ვიკმაიერს (ბელგია) დანებდა (1:6, 5:7), წყვილებში ავსტრიელ ტამირა პაშეკთან ერთად დარია ჯურაკისა (ხორვატია) და კატალინ მაროშის (უნგრეთი) დუეტთან დათმო მეოთხედფინალი - 4:6, 4:6.

**ნიკოლოზ ბასილაშვილმა** ტალიაჰასის (აშშ) ჩელენჯერის (საპრიზო ფონდი 50.000 დოლარი) წყვილებში ჯერალდ მელცერთან (ავსტრია) გუშინ ტურნირზე პირველ ნომრად განთესილ ოსტინ კრაიჩეკისა და ტენის სანდგრენის დუეტთან წააგო - 4:6, 4:6 და შეჯიბრებას გამოეთიშა.

მომავალი კვირიდან საფრანგეთის 100.000-იანი ტურნირის ძირითად ბადეში მე-2 ნომრად იქნება განთესილი ანა ტატიშვილი (ასპარეზობის რეიტინგფავორიტია შვეიცარიელი რომინა ოპრანდი). ამავე შეჯიბრების საკვალიფიკაციო ბადეში, სავარაუდოდ, **სოფიო შაფათავაც** ჩაებმება.

**ვაჟა დანელია**

ეროვნული ბიბლიოთეკა

● თავისუფალი ჭიდაობა

# გერმანიაში რეაბილიტირებული

„ლელო“ უკვე წერდა თავისუფალ ჭიდაობაში მსოფლიოს ბრინჯაოს მედალოსანსა და ევროპის ვიცე-ჩემპიონ **დავით ხუციშვილზე** (73), რომელიც გერმანიაში, ქალაქ მაინცის სპორტული მედიცინის კლინიკაში ნატკენი მხრის გამოსაკვლევად გაიგზავნა. მან ხელი ევროპის ჩემპიონატის დღეებში იტკინა, რის გამოც ტურნირი ნაადრევად დაასრულა.

გერმანულმა გამოკვლევამ აჩვენა, რომ ჩვენებურს ჯერ ისევ ჰქონდა სისხლჩაქცევა. მთელი სამედიცინო პროცედურაც ამაზე ჩატარდა - მას გაუწმინდეს მხარი და იქვე დატოვეს სარებილიტაციო პროცედურებზე, რასაც 3-4 კვირა დასჭირდება. რაც მთავარია, საფუძვლიანი ოპერაცია არ სჭირდება

ხუციშვილის იქ გაგზავნაში, კლინიკის შერჩევაში, მოლაპარაკებებსა თუ სარეაბილიტაციო ბაზაზე დატოვებაში ძალიან დიდი როლი ითამაშა გერმანიის ნაკრების ქართველმა წევრმა **დავით ბიჩინაშვილმა**, რომელიც რამდენიმე წელიწადია, იქ ცხოვრობს და გერმანელთა ღირსებას იცავს. მისი დამსახურებით, მთელი ეს პროცედურა გასაოცრად იაფი დაჯდა.

**ირაკლი თავაძე**

● რეგიონი

# ქროსი გორში, სამზადისი თბილისისთვის



გორის კულტურისა და დასვენების პარკში მძლეოსნური კროსი ყოველი წლის გაზაფხულსა და შემოდგომაზე იმართება. შეჯიბრებაში ამჯერადაც ქალაქის ყველა საჯარო სკოლის და გიმნაზიის 200-მდე მოსწავლე მონაწილეობდა სამ ასაკობრივ ჯგუფში. უმცროსთა (1999-2000 წწ) და უფროსთა (1997) შორის შეჯიბრებაში ბიჭებმაც იასპარეზეს და გოგონებმაც, საშუალო (1998) ასაკში კი მხოლოდ გოგონებმა. გაგაცნობთ შედეგებს.

**უმცროსი ასაკი 300 მ. გოგონები:** 1. მარიამ ზეგარდელი (XII სკოლა), 2. მარიამ კარელიძე (X სკ), 3. მარიამ მირუაშვილი (III სკ); **ბიჭები:** 1. ნუკრი კაკულია (III სკ), 2. სანდრო ინდუაშვილი, 3. რატი მამედოვი (ორივე — XI სკ).

**საშუალო ასაკი 500 მ. გოგონები:** 1. ნინო კარელიძე (XI სკ), 2. მარიამ მესროპაშვილი (VIII სკ), 3. ანი ნაზარაშვილი (X სკ);

**უფროსი ასაკი 1000 მ. გოგონები:** 1. მარი სეროპიანი (XI სკ), 2. ანი მეგრელიშვილი (VII სკ), 3. მარიამ დათაშვილი (VII სკ); **ბიჭები:** ილია კუხალაშვილი (III სკ), 2. ალეკო გაგნიძე (X სკ), 3. თამაზ ტარუაშვილი (IV გიმნაზია).

არაოფიციალურ გუნდურ ჩათვლაში პირველ ადგილზე XI სკოლა გავიდა (მწვრთნელი **გივი იაზბარიანი**), მეორე იყო III სკოლა (მწვ. **დავით ახალბედაშვილი**), მესამე X სკოლა (მწვ. **ირბეგ ჯიოშვილი**).

წარმატებული მძლეოსნებისგან შემდგარ გუნდს უახლოეს დღეებში დაემატებიან მძლეოსნობის სხვა სახეობათა (ბადროს ტყორცნა, ბირთვის კვრა, სიგრძეზე ხტომა) წარმომადგენლები, რომლებიც 10-12 მაისს თბილისში მძლეოსნობის მსოფლიო დღისადმი მიძღვნილ ტრადიციული შეჯიბრებაში იასპარეზებენ. გორელებს მთავარი მწვრთნელი გივი იაზბარიანი ამზადებს.

აქვე აღვნიშნავთ, რომ ამჟამად ბელარუსში შეკრებაზე მყოფი საქართველოს ასაკობრივი ნაკრების წევრმა, ბირთვის კვრაში ჩვენი ქვეყნის პირველობების არაერთგზის გამარჯვებულმა, გორელმა **გიორგი მუჯარიძემ** ამ დღეებში ბელარუსშივე გამართულ საერთაშორისო ტურნირშიც არავის დაუთმო პირველობა. მუჯარიძე 2015 წელს, თბილისში გასამართ ევროპის ოლიმპიური ფესტივალზე საქართველოს ნაკრების ერთ-ერთი იმედია.

უმცროსი ასაკის გორელი მძლეოსნები სტაბილურად წარმატებით გამოდიან ჩვენი ქვეყნის პირველობებში, თუმცა, სამწუხაროდ, მშობლიურ ქალაქში მათ ნორმალური სარბენი ბილიკებიც არ გააჩნიათ. გორის მუნიციპალიტეტი მის მოწყობას ქალაქის კულტურისა და დასვენების პარკის ტერიტორიაზე გეგმავს.

**ვასილ ბალახაძე**
გორიდან

● წყალბურთი

# ოლიმპიკში ფინალის ორი საგზურისთვის

წლეულს 8-15 სექტემბერს მალტაში ახალგაზრდა წყალბურთელ ვაჟთა ევროპის ჩემპიონატის ფინალური ეტაპი გაიმართება. გადამწყვეტი რაუნდის 8 საგზურისათვის 9-12 მაისს 20 გუნდი იბრძოლებს. ისინი 4 ჯგუფში არიან განთესილი. B ჯგუფს, სადაც ერთმანეთს **სლოვაკეთი, გერმანია, მოლდოვა, ჰოლანდია** და **საქართველო** დაუპირისპირდებიან, თბილისში „ოლიმპიკის“ აუზი უმასპინძლებს. ამ შეჯიბრებისთვის ჩვენი ქვეყნის ნაკრები (**ბექა ჭოლოკავა, გიორგი გაბადაძე, ანდრია ბითაძე, რევაზ იმნაიშვილი, ხვიჩა ჯახაია, ირაკლი რაზმაძე, ზუკა ჩიკვაიძე, გიორგი ზაქარეიშვილი, დავით რევია, ირაკლი მარგველაშვილი, გიორგი მაგრაქველიძე, ლევან მოსეშვილი, ლუკა ჯანჯღავა**) **იოვან პოპოვიჩისა** და **ირაკლი ბაქრაძის** ხელმძღვანელობით დიდი ხანია ემზადება. სერბეთში ორკვირიანი საწვრთნელი შეკრებისას სპარინგშეხვედრებიც გამართა, თბილისში ყაზახეთის, ისრაელის, ჩეხეთის ახალგაზრდული ნაკრები გუნდები დაამარცხა და სახელოვანი წყალბურთელის - ნოდარ გვახარიას თასი მოიპოვა. იმის მიუხედავად, რომ ჩვენი ბიჭები ურთულეს ჯგუფში მოხვდნენ, იმედია, ფინალური ეტაპის საგზურის მოსაპოვებლად გულშემატკივრების თანადგომით არაფერს დაიშურებენ.

დანარჩენ ჯგუფებში ითამაშებენ:

**A ჯგუფი** (შეხვედრები პოლონურ გორჟოვში გაიმართება): საფრანგეთი, ბელარუსი, პოლონეთი, ირლანდია, ისრაელი.

**C ჯგუფი** (თურქეთი, სტამბოლი): რუსეთი, ბულგარეთი, თურქეთი, დიდი ბრიტანეთი, შვეიცარია.

**D ჯგუფი** (ჩერნოგორია, ბუდვა): ჩერნოგორია, სლოვენია, უკრაინა, ჩეხეთი, ბელგია.

**ვაჟა დანელია**



● ჭადრაკი

# საიუბილეო 26 მაისს დაიწყება

საქართველოს მოჭადრაკე ქალთა 70-ე საიუბილეო ეროვნული ჩემპიონატი 26 მაისს დაიწყება. მედლებისთვის წრიული სისტემით 12 მანდილოსანი იბრძოლებს (**ნანა ძაგნიძის** გარდა). ესენი არიან: **ბელა ხოტენაშვილი, ლელა ჯავახიშვილი, ნინო ხურციძე, სალომე მელია, სოფიკო გურამიშვილი, ნინო ბაციაშვილი, მერი არაბიძე, მაკა ფურცელაძე, სოფიო გვეტაძე, ინგა ხურცილავა, ანა კუჭავა და ლიკა კობეშავიძე.**

ტურნირის საპრიზო ფონდი 16 ათასი ლარი, რომელიც 5 საუკეთესოზე ასე განაწილდება: I. 5000, II. 4000, III. 3500, IV. 2000 და V. 1500 ლარი. ჩემპიონი ეროვნულ ნაკრებში ევროპის ჩემპიონატზე თამაშის უფლებას მოიპოვებს, პირველ-მეორეადგილოსნები 2014 წლის ევროპის ქალთა ინდივიდუალურ ჩემპიონატზე გასამგზავრებლად დაფინანსდებიან.

**ვაჟა დანელია**

● ცურვა

# რევიშვილის ბრინჯაო

გუშინ ბრესტში დაიწყო მოცურავეთა საერთაშორისო ტურნირი - ბელარუსის ღია ცემპიონატი, რომელშიც მასპინძლებთან ერთად რუსი, ქართველი და უზბეკი სპორტსმენებიც მონაწილეობენ. თბილისელმა **ირაკლი რევიშვილმა** 400 მეტრზე თავისუფალი ყაიდით ბრინჯაოს მედალი მოიპოვა. დღეს 100 მეტრზე მოსინჯავს ძალებს.

**ვაჟა დანელია**

● რეგიონი



დაჯილდოებულები და დამჯილდოებლები

# ქარელში ეამაყებათ და აჯილდოებენ

ქარელელ სპორტსმენთა ბოლოდროინდელი წარმატებები საგანგებოდ აღნიშნეს რაიონის ხელმძღვანელებმა. შეხვედრა მოუწყვეს და ფულადი პრემიებით დააჯილდოვეს კადეტთა შორის საქართველოს ჩემპიონი და ევროპის ჩემპიონატის ბრინჯაოს პრიზიორი სამბოში **ჯემალ დაბრუნდაშვილი**, ჭაბუკთა შორის ქართულ ჭიდაობაში ქვეყნის პირველობის გამარჯვებლები **ნიკა სიდამონიძე, დავით იმერლიშვილი** და **ზვიად ბერუაშვილი**, საქართველოს ჩემპიონი 14 წლამდე მოჭადრაკეთა შორის **გიორგი თავზარაშვილი**. წარმატებული სპორტსმენები ძირითადად რაიონის სასპორტო სკოლის აღზრდილები არიან.

„გვინდა ჩვენმა სპორტსმენებმა იცოდნენ, რომ მათი წარმატებები ეამაყება რაიონს და ხელმძღვანელობისგან დაფასება არ მოაკლდებათ“ - გვითხრა ქარელის სპორტისა და კულტურის სამსახურის უფროსმა **ანი ბალიაშვილმა**.

**ვასილ ბალახაძე**
ქარელიდან




**ვაჟა დანელია**

● აკადემიური ნიჩბოსნობა

# რომაული რეპეტიცია ევროპის წინ

იტალიაში დამთავრდა აკადემიურ ნიჩბოსნობაში საერთაშორისო რეგატა, რომელშიც 1995-1997 წლებში დაბადებული სპორტსმენები მონაწილეობდნენ. ერთადგილიანი ნავებით საქართველოს სპორტულ ღირსებას იცავდნენ 15 წლის **ანი გვილავა** (მცხეთა) და 14 წლის **გიორგი ჯიქია** (თბილისი). 2-3 წლით უფროსებთან ჩვენს სპორტსმენებს ურიგოდ არ უასპარეზიათ: იტალიის, საბერძნეთის, ტუნისის, შვეიცარიისა და სერბეთის წარმომადგენლებთან წინასწარ გაცურვაში 1500 მეტრზე ორივემ მე-5 ადგილი დაიკავა. გიორგიმ დისტანცია 8,23-ში დაფარა, ანიმ - 9,41-ში. შემდეგ ჩვენებურები დამამშვიდებელ ჯგუფში მოხვდნენ და იქაც მე-5 ადგილებზე გავიდნენ.

25-26 მაისს მინსკი 18-წლამდელთა ევროპის პირველობას უმასპინძლებს. ბელარუსის დედაქალაქში ანი გვილავა და **არჩილ ბაიაშვილი** (მცხეთა) მოსინჯავენ ძალებს. იქ სპორტსმენები 2000-მეტრიან დისტანციაზე დაუპირისპირდებიან ერთმანეთს. ბაიაშვილი 17 წლისაა, ის უფრო გაუმკლავდება მეტოქეებს, ვიდრე მასზე სამი წლით უმცროსი ჯიქია. საგულისხმოა, რომ მინსკში სპორტსმენებმა მსოფლიოს პირველობაზე მოსახვედრად სალიცენზიო ნორმატივი უნდა შეასრულონ. იმედია, ქართველ სპორტსმენებს ეს არ გაუჭირდება.

**ვაჟა დანელია**

ეროვნული ბიბლიოთეკა

მსოფლიოს თასი 2015

# სავარაუდოდ, ტონგას ნაკრებით დავიწყებთ

**ინგლისში 2015 წელს გასამართი მსოფლიოს თასის ორგანიზატორებმა გადაწყვიტეს: მსოფლიოს რაგბის უდიდეს ფორუმს ინგლისის 10 ქალაქი, პლუს უელსის დედაქალაქი კარდიფი უმასპინძლებს. მატჩები 13 სტადიონზე გაიმართება.**

შეჯიბრება ინგლისური რაგბის მექაში, „თვიქნემზე“ 18 სექტემბერს გაიხსნება. პირველ მატჩში მასპინძლები ოკეანეთის შესარჩევი ჯგუფის გამარჯვებულს, სავარაუდოდ, ფიჯის ნაკრებს დაუპირისპირდებიან. აქვე გაიმართება ორი მეოთხედფინალური და ამდენივე ნახევარფინალური მატჩი. ორ მეოთხედფინალს უმასპინძლებს კარდიფის „მილენიუმიც“. მატჩი მესამე ადგილისთვის ლონდონის „ოლიმპიკ სთედიუმზე“ შედგება. ფინალის ადგილი კი, 31 ოქტომბერს „თვიქნემია“.

საკმაოდ საინტერესო და ხელსაყრელი გრაფიკი ექნება საქართველოს ნაკრებს, თუ ის ევროპის შესარჩევ ჯგუფში პირველ ადგილს დაიკავებს. „ბორჯღალოსნები“ პირველი წრის შემდეგ ლიდერები არიან და ძნელი წარმოსადგენია, პირველობა ვერ შეინარჩუნონ. ჩვენი ნაკრების მოთამაშეები, მწვრთნელები და საქართველოს რაგბის კავშირი სხვა შედეგს არც განიხილავს.

მაშასადამე, თუ საქართველოს ნაკრებმა პირველი ადგილი შეინარჩუნა, ის C ჯგუფში მოხვდება. ამ შემთხვევაში პირველ მატჩს „ბორჯღალოსნები“ 19 სექტემბერს ტონგას ნაკრებთან გლოსტერში, „კინგსჰოლმზე“ გამართავენ, რომელიც 16 115 მაყურებელს იტევს.

მომდევნო შეხვედრა ჩვენს გუნდს ექვს დღეში, 25 სექტემბერს არგენტინის ნაკრებთან ისევ გლოსტერში ექნება. ერთი კვირის თავზე კი, „ბორჯღალოსნები“ ისტორიულ შეხვედრას გამართავენ მსოფლიოს საუკეთესო გუნდთან, მსოფლიოს თასის მფლობელ ახალი ზელანდიის ნაკრებთან. „ოლ ბლექსთან“ ჩვენი ბიჭების დაპირისპირების ადგილი კარდიფის „მილენიუმი“ იქნება, რომელიც 74 154 მაყურებელს იტევს.

ჯგუფში ბოლო მეტოქე 7 ოქტომბერს აფრიკის შესარჩევი ზონის გამარჯვებული იქნება. ჯერჯერობით ჩვენი სავარაუდო მეტოქის დასახელება შეუძლებელია. ის შეიძლება იყოს ნამიბია, ზიმბაბვე ან სულაც მაგადასკარი. ყოველ შემთხვევაში მატჩი ექსეტერში „სენდი პარკზე“ გაიმართება, რომელიც 12 300 მაყურებელს იტევს.

ორგანიზატორების მიზანი იყო, სარაგბო ზეიმს ინგლისის მთელი ტერიტორია მოეცვა. მეტიც, მათ ტურნირში უელსიც ჩართეს, რაც ამ ქვეყნის რაგბის კავშირს ფინანსურად ახეირებს.

*„მსოფლიოს უკვე შეუძლია 2015 წლის მსოფლიოს თასის გათამაშებისთვის მზადება დაიწყოს. ჩვენ უკვე გავაცხადეთ მასპინძელი სტადიონები და მატჩების განრიგი. რაგბის ძალიან ბევრის შეთავაზება შეუძლია კაცობრიობისთვის, ამიტომ დარჩენილ ორწელიწად-ნახევარში ტურნირის საორგანიზაციო კომიტეტთან ერთად ყველაფერს გავაკეთებთ, რათა ეს შეჯიბრება ნამდვილ ინტერნაციონალურ ზეიმად ვაქციოთ.*

*დიდი მადლობა მინდა გადავუხადო იმ ქალაქებს, რომლებიც ამ შერჩევის პროცესის აქტიური მონაწილეები იყვნენ. ფანტასტიკური იყო მხარდაჭერა და ინტერესი ქოვენთრის, ბრისტოლის, დერბის, საუთჰემპთონისა და სანდერლენდის. მართალია, ეს ქალაქები მსოფლიოს თასის მატჩების მასპინძლებად არ აგვირჩევია, მაგრამ ყველაფერს ვილონებთ, რომ დიდმა ზეიმმა მათ მიღმა არ ჩაიაროს.“* - თქვა ინგლისის რაგბის კავშირის აღმასრულებელმა დირექტორმა **დიბი ევანსმა**.

ინგლისელების გარჯით კმაყოფილება რაგბის საერთაშორისო საბჭოს ფრანგმა თავმჯდომარე **ბერნარ ლაპასემაც** ვერ დამალა:

*„ასე ნაადრევად მასპინძელი სტადიონებისა და განრიგის დადგენა იმედს მაძლევს, რომ მსოფლიოს თასის ეს გათამაშება მართლაც საუკეთესო იქნება აქამდე გამართულთა შორის. ჩვენ მჭიდრო თანამშრომლობა გვქონდა ყველა დაინტერესებულ მხარესთან და ყველანაირად ვეცადეთ, მატჩების ისეთი გრაფიკი შეგვედგინა, რომ გუნდები თანაბარ პირობებში ყოფილიყვნენ. ყველა მათგანს უნდა მიეცეს ერთნაირი შანსი, თავისი შესაძლებლობები მაქსიმალურად წარმოაჩინოს. ეს ტურნირს, ცხადია, მეტ ელფერს შესძენს.*

*2015 წლის მსოფლიოს თასის გათამაშება ეს არის შესაძლო ურთიერთობა მილიონობით ადამიანს შორის, ეს არის შანსი, შევაყვაროთ რაგბი სულ უფრო მეტ ადამიანს, რაც საშუალებას მოგვცემს, კიდევ უფრო განვავითაროთ ოვალური ბურთით თამაში არა მარტო ინგლისში, არამედ მთელ მსოფლიოში“.*

### მასპინძელი სტადიონები

| | |
|---|---|
| 1. „ბრაიტონ კომუნიტი სთედიუმ“, ბრაიტონი | 30 750 |
| 2. „ეტიჰად სთედიუმი“ | 47 800 |
| 3. „ელან როუდი“, ლიდსი | 37 914 |
| 4. „კინგსჰოლმი“, გლოსტერი | 16 115 |
| 5. „კინგ პოუერ სთედიუმი“, ლესტერი | 32 312 |
| 6. „მილენიუმი“, კარდიფი | 74 154 |
| 7. „ოლიმპიკ სთედიუმი“, ლონდონი | 54 000 |
| 8. „სენდი პარკი“, ექსეტერი | 12 300 |
| 9. „სთედიუმ ემ კა“, მილტონ კაინსი | 30 717 |
| 10. „სენტ ჯეიმზ პარკი“, ნიუკასლი | 52 409 |
| 11. „თვიქნემი“, ლონდონი | 81 605 |
| 12. „ვილა პარკი“, ბირმინგემი | 42 785 |
| 13. „უემბლი“, ლონდონი | 90 256 |

### „კინგსჰოლმი“. გლოსტერი - 16 115

გლოსტერს უმდიდრესი სარაგბო ისტორია აქვს. ამ ქალაქის სტადიონზე, რომელსაც მაშინაც „კინგსჰოლმი“ ერქვა, 1900 წელს უელსის ნაკრებმა პირველად დაამარცხა ინგლისის ეროვნული გუნდი - 13:3. თუმცა მორიგი საერთაშორისო შეხვედრის მასპინძლობის პატივი ამ სტადიონს 91 წლის შემდეგ ერგო, როცა 1991 წლის მსოფლიოს თასის მატჩში ახალი ზელანდიის ნაკრებმა აშშ-ის ეროვნულ გუნდს 46:6 მოუგო.

„კინგსჰოლმი“ ინგლისში ყველაზე ხმაურიან სტადიონად მიიჩნევა, რადგან ამ ქვეყნის ჩემპიონატში მოთამაშე „გლოსტერის“ ფანები თავგამოდებული ქომაგები არიან. სტადიონი 1891 წელს აშენდა.



### „მილენიუმი“. კარდიფი - 74 154

უელსის ეროვნული სტადიონი „მილენიუმი“ შესაძლოა „კინგსჰოლმივით“ უძველესი წარსულით ვერ დაიკვეხნის, მაგრამ უკვე შეძლო რაგბის ისტორიაში შესვლა. უელსის ნაკრებმა სწორედ „მილენიუმზე“ გაინაღდა 2005 და 2012 წლებში ექვსი ერის გათამაშების „დიდი სლემი“.

„მილენიუმი“ კარდიფის რკინიგზის სადგურიდან ორ ნაბიჯში მდებარეობს და მეორეა მსოფლიოში უდიდეს სტადიონებს შორის, რომელსაც სახურავი მთლიანად ეხსნება. ეს სტადიონი „არმს პარკის“ ნაცვლად ააგეს. მასზე საჭიროების შემთხვევაში უელსის ფეხბურთელთა ნაკრებიც თამაშობს.




### „სენდი პარკი“. ექსეტერი - 12 300

ექსეტერი, სადაც პატარა სტადიონი „სენდი პარკი“ მდებარეობს უძველესი, რომაელების მიერ დაარსებული ქალაქია. ის ტერიტორიულად კარდიფთან უფრო ახლოსაა, ვიდრე ლონდონთან. არსებობს მონაცემები, რომლის მიხედვითაც პირველი მატჩი ადგილობრივმა გუნდმა, „ექსეტერ ჩიფსმა“ 1873 წელს გამართა.

„სენდი პარკი“ 2006 წელს „ქაუნთი გრაუნდის“ ნაცვლად ააშენეს. ინგლისის ჩემპიონატის ყველაზე მაღალ დივიზიონში, „ავივა პრემიერშიპში“ „ექსეტერი“ სამი წელიწადია თამაშობს, რის გამოც ეს ქალაქი სარაგბო სტატუსს ნელ-ნელა იბრუნებს.



საქართველოს ჩემპიონატი

# აკადემია A ლიგაში გამორჩეულია

საქართველოს ჩემპიონატის ჭაბუკთა A ლიგაში მეოთხე ტურის მატჩები გაიმართა. A ჯგუფში დაუმარცხებლად ლიდერობს თბილისის „აკადემია“, რომელიც თავიდანვე ცნობილი იყო, რომ გათამაშების ფავორიტი იქნებოდა. აკადემიელებმა მეოთხე ტურში სტუმრად მოუგეს ერთ-ერთ აუტსაიდერ ჭიათურის „იმერეთს“ - 34:0.

„აკადემიას“ კვალში უდგას თბილისის „ხულიგანა“, რომელმაც ერთადერთი მარცხი სწორედ ამ გუნდთან იწვნია მესამე ტურში.

### ჭაბუკთა A ლიგა

#### A ჯგუფი

#### IV ტური

**ყოჩები-არმია 13:11, ქუთაისი 2-ვეფხვები 36:12, ხულიგანა-ხარები 23:19, იმერეთი-აკადემია 0:34.**

#### სატურნირო მდგომარეობა

**1. აკადემია - 19 ქულა, 2. ხულიგანა - 13, 3. ხარები - 10, 4. არმია - 10, 5. ყოჩები - 9, 6. არწივები - 8, 7. ქუთაისი 2- 5, 8. იმერეთი - 1, 9. ვეფხვები - 0.**

#### V ტური

**არმია-არწივები, ვეფხვები-ხულიგანა, აკადემია-ყოჩები, ხარები-იმერეთი.**

B ჯგუფში ბრძოლა გაცილებით მწვავეა. აქ თბილისის „ჯიქებს“, „ლელოსა“ და ქუთაისის პირველ გუნდს 15-15 ქულა აქვთ და პირველ-მესამე ადგილებს იყოფენ. დაუმარცხებლად ასპარეზობს თბილისის „ლოკომოტივიც“, თუმცა მას მხოლოდ ორი მატჩი აქვს ჩატარებული.

#### B ჯგუფი

#### IV ტური

**ტაო-ივერია მგლები 10:31, არმაზი-ქუთაისი 1 6:41, წიქარა-ლელო 5:62, ჯვაროსნები-ჯიქები 3:80.**

#### სატურნირო მდგომარეობა

**1. ჯიქები - 15 ქულა, 2. ქუთასი 1 - 15, 3. ლელო - 15, 4. ლოკომოტივი - 10, 5. ივერია მგლები - 5, 6. არმაზი - 4, 7. წიქარა - 4, 8. ჯვაროსნები - 1, 9. ტაო - 0.**

#### V ტური

**ქუთაისი 1-წიქარა, ლელო-ჯვაროსნები, ჯიქები-ლოკომოტივი, ივერია მგლები-არმაზი.**

ახალგაზრდული ნაკრები, U-15

# ნორჩი ბორჯღალოსნების ევროპული ტურნე

**საქართველოს 15-წლამდელთა ნაკრები ევროპულ ტურნეში გაემგზავრა, რომელიც ტრადიციულად მაისის პირველ დეკადაში იწყება. ჩვენი ნორჩი მორაგბეები, რომლებსაც ზვიად ცუხიშვილი და გიორგი ენუქიძე წვრთნიან, ორ ტურნირში მიიღებენ მონაწილეობას.**

პირველ შეჯიბრებას, სარაგბო ფესტივალ „Give Me Rugby“-ს კორსიკა უმასპინძლებს. საქართველოს ნაკრების გარდა ამ ტურნირში მონაწილეობას მიიღებენ ინგლისის, ახალი ზელანდიისა და საფრანგეთის სარაგბო აკადემიების შესაბამისი ასაკის გუნდები.

ამის შემდეგ, „ნორჩი ბორჯღალოსნები“ ლიონში გაემგზავრებიან, სადაც ახლომდებარე დაბა ვიენში, 11-12 მაისს გასამართ მოზარდ მორაგბეთა ტურნირზე იასპარეზებს, რომელიც კორსიკაზე გამართულ შეჯიბრებასთან შედარებით მაღალი დონისაა.

აღსანიშნავია, რომ საქართველოს 15-წლამდელთა ნაკრებმა 2009 წელს ვიენში გამართული ტურნირი მოიგო, 2011 წელს კი ვერცხლის პრიზიორი გახდა. ამჯერად, ჩვენი გუნდის მოწინააღმდეგეთა ვინაობა მოგვიანებით, წილისყრის შედეგად გაირკვევა.

### საქართველოს ნაკრები

გიორგი მამალაძე, ლუკა დვალიშვილი, ირაკლი ოქროპირიძე, სანდრო სვანიძე, გელა ფოლადაშვილი, გიორგი რუხაძე, ირაკლი ტრაპაიძე, სანდრო ხუციშვილი, ირაკლი სარიშვილი, არდაშ დარბოევი, გელა აფრასიძე, სანდრო კალმახელიძე, რატი ნაკანი, გიორგი თოთლაძე, დავით ივანოვი, მერაბ ცერცვაძე, გიორგი კვირიკაშვილი, დავით კლდიაშვილი, არსენ მაჩალაძე.

გვერდი მოამზადა
**ბესიკ ჯანგავაძემ**

ეროვნული ბიბლიოთეკა



დამიენ ლილარდი

# საუკეთესო ახალბედა ლილარდია

ეროვნული საკალათბურთო ასოციაცია აგრძელებს რეგულარული სეზონის შედეგების შეჯამებას. მორიგი ინდივიდუალური პრიზის მფლობელი გახდა „პორტლენდის" გამთამაშებელი **დამიენ ლილარდი**, რომელიც სეზონის საუკეთესო დებიუტანტად დაასახელეს. გამოკითხვაში 121 ჟურნალისტი მონაწილეობდა და ყველამ პირველი ადგილი დამიენს მიანიჭა. NBA-ის ისტორიაში ეს მეოთხე შემთხვევაა, როცა კალათბურთელმა ამ ნომინაციაში ასეთი ერთსულოვანი გადაწყვეტილებით გაიმარჯვა. მანამდე ასე მოხდა **რალფ სემპსონის** (1984), **დევიდ რობინსონისა** (1990) და **ბლეიკ გრიფინის** (2011) შემთხვევაში.

ლილარდმა რეგულარული ჩემპიონატის 82 მატჩში მიიღო მონაწილეობა და საშუალოდ 19.0 ქულა, 6.5 შედეგიანი გადაცემა და 3.1 მოხსნა დააგროვა. მან გაიმეორა **ოსკარ რობერტსონისა** და **ალენ აივერსონის** შედეგი, რომლებმაც თავიანთ სადებიუტო სეზონში 1500 ქულაზე და 500 შედეგიან გადაცემაზე მეტი დააგროვეს. და კიდევ, ლილარდმა დაამხო დებიუტანტების რეკორდი სეზონში ჩაგდებული სამქულიანების რაოდენობით - მან 185 შორეული ტყორცნა მოათავსა კალათში და **სტივენ კარის** შედეგი გააუმჯობესა.

*„ვფიქრობ, ეს საუკეთესოა, რაც შეიძლებოდა ჩემს კარიერაში მომხდარიყო. მაგრამ ამაზე გაჩერებას არ ვაპირებ. წინ მთელი კარიერაა"*, - ასეთი კომენტარი გაუკეთა ამ პრიზის აღებას ლილარდმა.

აღვნიშნავთ, რომ „პორტლენდის" გამთამაშებელი რეგულარული ჩემპიონატის დროს, ყოველ თვეში დასავლეთი კონფერენციის თვის საუკეთესო ახალბედად სახელდებოდა. იმასაც შეგახსენებთ, რომ ლილარდმა „ყველა ვარსკვლავის უქმეებზე" ოსტატობის კონკურსი მოიგო.

ლილარდი „ბლეიზერსის" მეოთხე მოთამაშეა, რომელმაც საუკეთესო დებიუტანტის პრიზი მოიპოვა. მანამდე ამგვარი აღიარება მოიპოვეს - **ჯეფ პეტრიმ** (1971), **სიდნი უიკსმა** (1972) და **ბრენდო როიმ** (2007).

**გამოკითხვის შედეგები**

| | I | II | III | სულ |
|---|---|---|---|---|
| დამიენ ლილარდი (პორ) | 121 | - | - | 605 |
| ენტონი დევისი (ნ. ორლ) | - | 96 | 18 | 306 |
| ბრედლი ბილი (ვაშ) | - | 14 | 52 | 94 |
| ანდრე დრამონდი (დეტ) | - | 5 | 21 | 36 |
| დიონ უეიტერსი (კლი) | - | 2 | 15 | 21 |
| ჰარისონ ბარნსი (გ-სტ) | - | 1 | 5 | 8 |
| კრის კოუპლენდი (ნ-იორ) | - | 2 | 2 | 8 |
| მაიკლ კიდ-გილკრისტი (შარ) | - | - | 3 | 3 |
| იონას ვალანჩუნასი (ტორ) | - | - | 2 | 2 |
| ჯონ ჯენკინსი (ატლ) | - | - | 1 | 1 |

■ ■ ■

გუშინ, ეროვნულმა საკალათბურთო ასოციაციამ კიდევ ერთი პრიზი გასცა - ლიგის ხელმძღვანელობამ დააფასა „დენვერ ნაგეტსის" ფორვარდის **კენეტ ფარიდის** საქველმოქმედო საქმიანობა.

კალათბურთელმა მიიღო საპატიო ჯილდო - J. Walker Kennedy Citizenship Award, რომელიც 1975 წელს დაფუძნდა NBA-ის ფუნქციონერის **ჯეიმს უოლტერ კენედის** საპატივცემულოდ.

შარშან, ამ პრიზის მფლობელი იყო „ლოს ანჯელეს ლეიკერსის" ესპანელი ფორვარდი **პაუ გასოლი.**

# მილუოკი უმწვრთნელოდ დარჩა

„მილუოკი ბაქსის" ხელმძღვანელობამ მთავარი მწვრთნელის პოსტიდან დაითხოვა **ჯიმ ბოილანი**. ამის შესახებ გამოაცხადა გუნდის გენერალურმა მენეჯერმა **ჯონ ჰემონდმა**, რომელმაც ისიც დაამატა, რომ „ბაქსმა" უკვე დაიწყო ახალი დამრიგებლის ძიება.

სინამდვილეში, ბოილანი მთავარი მწვრთნელის მოვალეობების შემსრულებელი იყო **სკოტ სკაილზის** წასვლის შემდეგ. ჯიმის ხელმძღვანელობით, „ირმებმა" რეგულარულ ჩემპიონატში 22 მატჩი მოიგეს და 28-ჯერ დამარცხდნენ, პლეი ოფის პირველ რაუნდში კი „მილუოკი" 0:4 დამარცხდა „მაიამისთან".

„მილუოკის" მთავარი მწვრთნელის ვაკანტურ ადგილს უწინასწარმეტყველებენ **სტენ ვან განდის** ან **კელვინ სემპსონს.**

■ ■ ■

ასევე მთავარი მწვრთნელის ძიებაშია „შარლოტ ბობკეტსის" მფლობელი **მაიკლ ჯორდანი.** როგორც ამერიკული პრესა წერს, კლუბის ხელმძღვანელობამ წინასწარი მოლაპარაკებები გამართა „კლივლენდ კავალიერზის" მთავარი მწვრთნელის ასისტენტთან **ნეიტ ტიბეტსთან.**

სხვათა შორის, ტიბეტსი შარშან, შემოდგომაზე აცხადებდა პრეტენზიას ამ პოსტზე - ჯერ კიდევ მანამ, სანამ „ბობკეტსში" **მაიკ დანლეპი** დაიქირავეს.

ტიბეტსის გარდა, „შარლოტის" მწვრთნელობაზე პრეტენზიას გამოთქვამენ **ელვინ ჯენტრი, ქუინ სნაიდერი** და უკვე ნახსენები სტენ ვან განდი და სემპსონი.


ჯიმ ბოილანი

# ინტრიგა ცოცხალია

სერია, რომელსაც, თითქოს, დაკარგული ჰქონდა ინტრიგა, პლეი ოფის ერთ-ერთ ყველაზე საინტერესო დაპირისპირებად გადაიქცა. არადა, „ნიქსის" მიერ პირველი სამი მატჩის მოგების შემდეგ, ვერავინ წარმოიდგენდა, რომ სერიას ინტრიგა დაუბრუნდებოდა. ასევე რთული წარმოსადგენი იყო, რომ გუშინდელი დასაწყისის შემდეგ, „ბოსტონი" შეძლებდა „მედისონ სკვერ გარდენში" „ნიუ იორკის" დამარცხებას. პირველი ოთხწუთ-ნახევრის განმავლობაში, სტუმრებმა საერთოდ ქულა ვერ აიღეს, პირველ რვა წუთში კი თამაშიდან მხოლოდ **ბასმა** მოათავსა ბურთი კალათში.

მაგრამ, „სელტიქსმა" თანდათან დაალაგა შეტევითი მოქმედებები და 92 ქულა დააგროვა, რაც ამ სერიაში მისი საუკეთესო მაჩვენებელია. მთავარი ის არის, რომ ეს რაოდენობა მოგებისთვის საკმარისი აღმოჩნდა. ბუნებრივია, ეს „კელტების" დაცვის დამსახურებით მოხდა.

„ნიუ იორკს" ამ მატჩში დაუბრუნდა **ჯეი არ სმიტი**, რომელიც წინა შეხვედრაში დისკვალიფიცირებული გახლდათ, მაგრამ მისგან სარგებლობა მინიმალური იყო - სეზონის საუკეთესო მეექვსე მოთამაშემ 14-დან მხოლოდ სამი სროლა მოათავსა კალათში. ოდნავ უკეთ გამოიყურებოდა **კარმელო ენტონი**, რომელმაც ზედიზედ მეორე შეხვედრა ჩააგდო. 22 ქულა - ასე ცოტა ამ ფორვარდს მარტის შემდეგ არ დაუგროვებია.

ამ ყველაფრის მიუხედავად, „ნიუ იორკს" ჰქონდა გადარჩენის შანსი. სირენამდე წუთით ადრე, სმიტის სამქულიანის შემდეგ სხვაობა 5 ქულას შეადგენდა. მაგრამ საპასუხო შეტევაში საშუალო ტყორცნა ჩააგდო **კევინ გარნეტმა**, თავის მხრივ, „ნიქსმა" ზედიზედ ორი შეტევა გააფუჭა.

ასე რომ, მომდევნო მატჩში „ბოსტონს" შეუძლია სერიაში ანგარიშის გათანაბრება, რადგან შინ თამაშობს. მთავარია, **დოკ რივერსის** ვეტერანებს ძალები ეყოთ ბრძოლის გასაგრძელებლად.



გარნეტი გუნდის ლიდერი იყო

**ნიუ იორკი-ბოსტონი 86:92**

22:20, 17:25, 21:24, 26:23

**ნ-ი:** ენტონი (22+7 მოხსნა), ფელტონი (21+6 მოხსნა+4 პასი), სმიტი (14), შამპერტი (12+6 მოხსნა+3 ჩაჭრა), ჩენდლერი (8+11 მოხსნა+3 ჩაჭრა).

**ბ:** გრინი (18+4 პასი), ბასი (17+5 მოხსნა+3 პასი), ტერი (17+3 პასი), გარნეტი (16+18 მოხსნა+5 პასი), პირსი (16+3 პასი).

**სერია:** 3-2

■ ■ ■

ამ სერიაში მხოლოდ მასპინძლები იმარჯვებენ, თანაც ორნიშნა სხვაობით. გამონაკლისი არც მეხუთე მატჩი გახდა და „ინდიანა" სერიაში წინ გავიდა. „პეისერსი" ამას, პირველ რიგში, **დევიდ უესტს** უნდა უმადლოდეს, რომელიც არა მხოლოდ მატჩის ყველაზე შედეგიანი კალათბურთელი იყო (თამაშიდან - 16-დან 11), არამედ მეორე მეოთხედში გადამწყვეტი გაქცევის (8:0) სულისჩამდგმელი გახდა. სწორედ ამ დროს მოიპოვეს მასპინძლებმა ინიციატივა, რომელიც ბოლომდე ხელიდან აღარ გაუშვიათ.

მართალია, „ატლანტამ" მატჩში მხოლოდ ექვსი შეცდომა დაუშვა, მაგრამ ამისგან სარგებლობა ნაკლები იყო იმის გამო, რომ გუნდის უკანა ხაზმა შეტევაში ძალიან ცუდად ითამაშა: **ჰარისისა** და **ტიგის** დუეტმა თამაშიდან მხოლოდ 6 ტყორცნა (25-დან) გამოიყენა. ვერ ბრწყინავდა ასევე **სმიტისა** და **ჰორფორდის** წყვილი. პირველმა ზედმეტი პერსონალურების გამო მოედანზე მხოლოდ 26 წუთი გაატარა, ჰორფორდმა კი 14-დან ცხრა ტყორცნა ააცილა მიზანს.

**ინდიანა-ატლანტა 106:83**

21:22, 29:21, 31:24, 25:16

**ი:** უესტი (22), ჯორჯი (18+10 მოხსნა+4 პასი), ჰიბერტი (16+7 მოხსნა+3 პასი), ჰილი (13+8 პასი).

**ა:** სმიტი (14+4 ჩაჭრა), ჰორფორდი (14+7 მოხსნა), ჰარისი (13+3 პასი), კორვერი (10+5 მოხსნა).

**სერია:** 3-2

# რასელის გარეშე რთულია

ეჭვი არავის ეპარებოდა იმაში, რომ **რასელ უესტბრუკის** დაკარგვა „ოკლაჰომას" სერიოზულად დააზარალებდა, მაგრამ ვერავინ წარმოიდგენდა თუ ამ მცველის არყოფნა ვიცე-ჩემპიონს პირველივე რაუნდში ასეთ პრობლემებს შეუქმნიდა. ბოლო სამ მატჩში **ბრუქსის** შეგირდებმა საშუალოდ მხოლოდ 9 ქულა დააგროვეს სწრაფი გარღვევებით, არადა, მანამდე ეს მაჩვენებელი 22.5 ქულას უდრიდა. და რაც ყველაზე მთავარია, „თანდერმა" ბოლო ორი მატჩი წააგო, მათ შორის ერთი საკუთარ მოედანზე.

„როკეტსი" კარგი იყო შორეული ტყორცნების დროს (35-დან 14), ასევე არ გაგვიკვირდა **ჯეიმს ჰარდენის** 31 ქულა და მისი კარიერის რეკორდი ზუსტი სამქულიანების რაოდენობით (ცხრიდან შვიდი). ყველა მეტად გაგვაკვირვა **აშიქმა.**

სირენამდე შვიდი წუთით ადრე, მასპინძლები შვიდ ქულას აგებდნენ და სხვაობის შესამცირებლად, თითქოს სწორი სტრატეგია აირჩიეს - ტაქტიკური ჯარიმები აშიქის წინააღმდეგ. თურქი 50 პროცენტზე ოდნავ მაღალი სიზუსტით ისვრის საჯარიმოებს, მაგრამ, ამჯერად, აშიქი თავის თავს გადაახტა - 18-დან 13 ბურთი ჩააგდო საჯარიმოს ხაზიდან, მათ შორის - 12-დან 8 ბოლო წუთებზე.

თამაშის გადარჩენის მეორე გეგმა **კევინ დურანტზე** აქცენტის გაკეთება იყო. „თანდერის" ლიდერმაც მაქსიმალურად მოინდომა, 45 წუთში 36 ქულა დააგროვა, მაგრამ თანაგუნდელებისგან სათანადო დახმარებას ვერ ელირსა და მისი შედეგიანობა მოგებისთვის საკმარისი არ აღმოჩნდა.

**ოკლაჰომა-ჰიუსტონი 100:107**

26:30, 17:20, 32:37, 25:20

**ო:** დურანტი (36+7 პასი+7 მოხსნა), ჯექსონი (20+3 პასი), იბაკა (14+9 მოხსნა).

**ჰ:** ჰარდენი (31+8 მოხსნა+3 პასი), აშიქი (21+11 მოხსნა), გარსია (18+5 მოხსნა+3 პასი), ბევერლი (14+8 მოხსნა), პარსონსი (10+5 მოხსნა+4 პასი), ბრუქსი (10+3 პასი).

**სერია:** 3-2


ჰარდენმა ყოფილ გუნდს 31 ქულა ჩაუგდო

## ამბები

**ჰოკეი**

### კანადის კაპიტანი სტაალი იქნება

„კაროლინა ჰარიკეინზის" თავდამსხმელი **ერიკ სტაალი** მსოფლიოს ჩემპიონატზე კანადის ნაკრების კაპიტანი იქნება. პლანეტის პირველობა დღეს ფინეთსა და შვედეთში დაიწყება.

მსოფლიოსა და ოლიმპიადის ჩემპიონსა დი სტენლის თასის მფლობელს ასისტენტობას გაუწევენ „დალასის" მცველი **სტეფან რობიდასი** და „ვინიპეგის" ფორვარდი **ენდრიუ ლედი.**

შეგახსენებთ, რომ კანადელები ბოლოს მსოფლიოს ჩემპიონები 2007 წელს იყვნენ.

**კალათბურთი**

### ივკოვიჩმა ფენერბაჰჩე ჩაიბარა

სერბეთის ნაკრების მთავარი მწვრთნელი **დუშან ივკოვიჩი** საკლუბო დონეზე მუშაობას უბრუნდება და მომავალ სეზონში თურქეთის „ფენერბაჰჩეს" ჩაუდგება სათავეში.

ივკოვიჩმა, რომელმაც „ოლიმპიაკოსი" შარშან ევროლიგაში პირველობამდე მიიყვანა, სტამბოლელებთან ორწლიანი კონტრაქტი გააფორმა, რომლის ღირებულება 2.5 მილიონი ევრო გახლავთ.

**ჩოგბურთი**

### მადრიდმა მიწვევები დაარიგა

მადრიდის მასტერსის ორგანიზატორებმა გამოაცხადეს ე. წ. უაილდ-ქარდის მფლობელები, რომლებიც ტურნირის ძირითად ბადეში მოხვდებიან.

შეჯიბრების ოფიციალური ვებგვერდის ინფორმაციით, მამაკაცებს შორის სპეციალური მიწვევა მიიღეს რუმინელმა **მარიუშ კოპილმა** და ესპანელებმა - **ტომი რობრედომ, პაბლო ანდუხარმა** და **ხავიერ მარტიმ.**

ქალებს შორის უაილდ-ქარდის მფლობელები გახდნენ: სლოვაკი **დანიელა ჰანტუხოვა**, რუმინელი **სიმონა ჰალეპი** და ესპანელები - **ანაბელ მედინა გარიგესი, ლურდეს დომინგეს-ლინო** და **სილვია სოლერ ესპინოსა.**

შეგახსენებთ, რომ მადრიდის ტურნირი 5-12 მაისს გაიმართება.

გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**

ავტოსპორტი


რაიკონენი ფინიშზე

# კიმი რეკორდს უმიზნებს

გერმანელი **ნიკ ჰაიდფელდი** ფორმულა 1-ის ისტორიაში მხოლოდ იმით არ შევიდა, რომ ვერც ერთი რბოლის მოგება ვერ შეძლო. ის აგრეთვე რეკორდსმენია ზედიზედ ჩატარებული ეტაპების რაოდენობით, როცა ფინიშამდე ახერხებდა მისვლას. ნიკი 2007 წლის საფრანგეთის გრანპრიდან მოყოლებული 2009 წლის იაპონიის გრანპრიმდე ზედიზედ 45 რბოლის განმავლობაში აღწევდა ფინიშის ხაზს. ეს სერია 2009 წელს, სინგაპურში შეწყდა, როცა გერმანელი **ადრიან სუტილს** შეეჯახა.

ფორმულა 1-ის მოქმედ პილოტებს შორის ყველაზე გრძელი უწყვეტი სერია აქვს **კიმი რაიკონენს**: თუ ათვლას 2009 წლის უნგრეთის გრანპრიდან დავიწყებთ, გამოდის, რომ დღეისთვის ფინელმა ზედიზედ 32 რბოლა მიიყვანა ბოლომდე. ამასთან, 21-ში მან ქულების მოპოვება შეძლო.

ზედიზედ ფინიშების რაოდენობით მეორე ადგილი ეკუთვნის **ფელიპე მასას**: დღეისთვის მას 23 ფინიშიანი რბოლა დაუგროვდა. მისი ბოლო გამოვარდნა გასულ წელს, ავსტრალიაში დაფიქსირდა.

„ფერარის" მეორე პილოტისთვის **ფერნანდო ალონსოსთვის** წარმატებული ფინიშების სერია შარშან, ბელგიის გრანპიზე შეწყდა, სადაც ის **რომენ გროსჟანის** მიერ მოწყობილი ავარიის მსხვერპლი გახდა.

**ლუის ჰემილტონი**, რომელიც ამ რეიტინგში მეშვიდე ადგილს იკავებს, კარიერის დასაწყისში უფრო ხშირად ახერხებდა ფინიშამდე მისვლას: მან ფორმულა 1-ში დებიუტიდან მე-16 რბოლის თავზე ვერ შეძლო 2007 წელს, ჩინეთის გრანპრიზე ბრძოლის დასრულება.

ზედიზედ ფინიშების რაოდენობა ფორმულა 1-ის პილოტებისთვის:

**32 - კიმი რაიკონენი (სერია გრძელდება)**
**23 - ფელიპე მასა (სერია გრძელდება)**
**23 - ფერნანდო ალონსო (შეწყდა 2012 წელს)**
**23 - მარკ უებერი (შეწყდა 2012 წელს)**
**21 - ჯენსონ ბატონი (შეწყდა 2012 წელს)**
**19 - სებასტიან ფეტელი (შეწყდა 2011 წელს)**
**15 - ლუის ჰემილტონი (შეწყდა 2007 წელს)**

# სარბოლო უქმეები

უახლოეს უქმეებზე ფორმულა 1-ის ეტაპი არ არის დაგეგმილი, თუმცა ავტოსპორტის მოყვარულებს მოსაწყენად არ ეცლებათ.

ესპანეთის ხერესის ტრასა მოტოგრანპრიში მსოფლიოს ჩემპიონატის მესამე ეტაპს უმასპინძლებს. ოსტინში წინა რბოლის დროს ძალიან ლამაზი გამარჯვება მოიპოვა დებიუტანტმა **მარკ მარკესმა**, რომელმაც ამჯერად განაცხადა, რომ ხერესის ტრასაზე პოდიუმითაც კმაყოფილი დარჩება. თუმცა პირველ სამეულში მოხვედრაზე პრეტენდენტები მრავლად არიან: მარკესის თანამემულეები **ხორხე ლორენსო** და **დანი პედროსა**, აგრეთვე **ვალენტინო როსი**, რომელმაც ჩააგდო წინა ეტაპი და ახლა, წინ წასული ლიდერების დაწევას შეეცდება.

■ ■ ■

კლასიკური რალის პილოტები არგენტინაში ჩავიდნენ. ამ ეტაპის მთავარი ინტრიგაა - ჩემპიონატის ლიდერის **სებასტიან ოჟიესა** და მსოფლიოს ცხრაგზის ჩემპიონის **სებასტიან ლოების** დაპირისპირება. სამწუხაროდ, ასეთ ბრძოლებს წელს ხშირად ვერ ვნახავთ, რადგან ლოები არ ატარებს სრულფასოვან ჩემპიონატს, მის გარეშე კი ოჟიეს დომინირება ამ სეზონში აშკარაა. მის ფონზე სხვები ძალიან ულიმლამოდ გამოიყურებიან. ამიტომაც საინტერესოა, ჩააბარებს თუ არა გამოცდას „ფოლკსვაგენის" პილოტი ლოებთან პაექრობის დროს.

■ ■ ■

დაბოლოს, გერმანიის ჰოკენჰაიმში იწყება DTM-ის მორიგი სეზონი. კანადელი **ბრუნო შპენგლერი** (BMW) ტიტულის დაცვას შეეცდება, მას კი ამაში ხელს შეუშლიან ისეთი პილოტები, როგორებიც არიან - **გარი პაფეტი** („მერსედესი"), **მატიას ექსტრიომი** („აუდი"), **ჯეიმი გრინი** („აუდი"), **მარტინ ტომჩიკი** (BMW), **მაიკ როკენფელერი** („აუდი"), **ტიმო გლოკი** (BMW)...

**მოტოგრანპრი**

**ესპანეთის გრანპრი**

ჩატარების ადგილი - ხერესი, ესპანეთი
წრის სიგრძე - 4 423 მ
საუკეთესო წრე - 1:39,731 (პედროსა, 2010)

**საერთო ჩათვლა**

1. მარკესი (ჰონდა) - 41 ქულა
2. ლორენსო (იამაჰა) - 41
3. პედროსა (ჰონდა) - 33
4. როსი (იამაჰა) - 30
5. კრატჩლოუ (იამაჰა) - 24
6. ბაუტისტა (ჰონდა) - 18
7. დოვიციოზო (დუკატი) - 18
8. ჰეიდენი (დუკატი) - 15

**განრიგი**

3 მაისი, 11:55 - I პრაქტიკა
3 მაისი, 16:05 - II პრაქტიკა
4 მაისი, 11:55 - III პრაქტიკა
4 მაისი, 16:10 - კვალიფიკაცია
5 მაისი, 16:00 - რბოლა

**რალი**

**არგენტინა**

შტაბი - ვილია-კარლოს-პასი
საფარი - ღორღი
სპეცმონაკვეთების რაოდენობა - 14
დისტანცია - 407,64 კმ

**საერთო ჩათვლა**

1. ოჟიე (ფოლკსვაგენი) - 102 ქულა
2. ჰირვონენი (სიტროენი) - 48
3. ლოები (სიტროენი) - 43
4. ოსტბერგი (ფორდი) - 32
5. ლატვალა (ფოლკსვაგენი) - 31
6. სორდო (სიტროენი) - 27
7. ნოივილი (ფორდი) - 25
8. ალ-ატიია (ფორდი) - 20


სებასტიან ოჟიეს ფოლკსვაგენი

# ფეტელის ბნელი მხარე

საკულტო სერიალის - „ვარსკვლავური ომების" მოტივები ხშირად გამოიყენებოდა ფორმულა 1-ში: შეიძლება გავიხსენოთ 2005 წელი, როცა მონაკოში „რედ ბულის" ბოლიდებზე გამოჩნდა მესამე ეპიზოდის რეკლამა, გასულ წელს კი „ლოტუსი" ეწეოდა კომპიუტერული თამაშის - Angry Birds Star Wars-ის რეკლამას.

მაშინ ეს ყველაფერი, ერთმნიშვნელოვნად მხიარული იყო, მაგრამ დანამდვილებით არ შეიძლება იმის თქმა, რომ **სებასტიან ფეტელი** ძალიან გახარებული დარჩებოდა ბრიტანული ჟურნალის F1 Racing-ის მაისის ნომრით გარეკანით. ფოტომონტაჟით გერმანელი პილოტი შეადარეს **დარტ ვეიდერს** - „ვარსკვლავური ომების" ერთ-ერთ ანტიგმირს, რომელიც შეიძლება მთელი სამყაროს ბოროტების სიმბოლოდ აღვიქვათ. უფრო მეტიც, გარეკანის მთავარი სათაური ასე ჟღერს: „ფეტელის ბნელი მხარე".

თუმცა ჟურნალის მთავარი რედაქტორი, ცნობილი ჟურნალისტი **ენტონი როულინსონი** ამტკიცებს, რომ მათ არც უფიქრიათ მსოფლიოს სამგზის ჩემპიონის წყენინება.

*„მკითხველთა დიდი ნაწილის რეაქცია სავსებით პოზიტიური იყო, თუმცა აუდიტორიის გარკვეულმა ნაწილმა მიიჩნია, რომ ოდნავ არასამართლიანები ვიყავით სებასტიანის მიმართ,* - აღიარა როულინსონმა. - *მაგრამ ჩვენ მაინც გადავწყვიტეთ გამოგვეყენებინა ასეთი ტიპაჟი. ეს არის ჩვენი იუმორისტული დამოკიდებულება იმასთან დაკავშირებით, რაც მალაიზიაში მოხდა. მე მგონი, შთამბეჭდავი გამოვიდა. პირადად მე მიმაჩნია, რომ ფეტელი თავის საქმეს ძალიან კარგად აკეთებს, ხოლო კონკრეტული თაობის ადამიანებისთვის დარტ ვეიდერის ხასიათთან შედარება - ერთგვარი კომპლიმენტი გახლავთ. ჩვენ არც გვიფიქრია სებასტიანის „კბენა", თუმცა მიმაჩნია, რომ მალაიზიის ტრასაზე ის საკმაოდ ხისტად მოქმედებდა".*



ჟურნალის გარეკანი

როგორც ირკვევა, პირველად ფორმულა 1-ზე „ვარსკვლავური ომების" კონტექსტში ლაპარაკი ჯერ კიდევ შორეულ 1977 წელს დაიწყეს, როცა **ჯორჯ ლუკასმა** თავისი სერიალის პირველი ფილმი გადაიღო.

აი, რას ჰყვება ბრიტანელი ჟურნალისტი **პიტერ უინძორი**: *„1977 წელს გაჩნდა ჭორი - ბერნი ექლსტოუნი იყო პირველი ინვესტორი, ვინც „ვარსკვლავურ ომებში" ფული ჩადო. მახსოვს, მაშინ ამის შესახებ ბევრი ლაპარაკი იყო. შესაძლოა, ეს არც იყოს სიმართლე, შესაძლოა, ყველაფერი იმით აიხსნას, რომ ჯორჯ ლუკასი რეგულარულად ესწრება მონაკოს გრანპრის. მაგრამ, ჩემი აზრით, ექლსტოუნი ყოველთვის იჩენდა ინტერესს კინოინდუსტრიის მიმართ..."*

სნუკერი. მსოფლიოს ჩემპიონატი



რონი ო'სალივანი

# თამაში ფულის გამო

## რონი ო'სალივანი შვილების განათლებისთვის თამაშობს

მსოფლიოს მოქმედმა ჩემპიონმა **რონი ო'სალივანმა** ნათელი მოჰფინა სნუკერში დაბრუნების რეალურ მოტივებს და განაცხადა, რომ აღარ აპირებს დიდ ტურნირებში მონაწილეობის მიღებას.

37 წლის ო'სალივანმა, რომელმაც შარშან, მსოფლიოს ჩემპიონატის მოგების შემდეგ თითქმის მთელი სეზონი გამოტოვა, თებერვალში გამოაცხადა, რომ წელს ტიტულის დაცვას აპირებდა. მისმა გადაწყვეტილებამ უდიდესი აჟიოტაჟი გამოიწვია სნუკერის სამყაროში, რადგან რონი, შესაძლოა, ყველაზე პოპულარული სნუკერისტი გახლავთ ისტორიაში. ამჟამად, შეფილდში მიმდინარე მსოფლიოს ჩემპიონატზე ო'სალივანი ნახევარფინალშია გასული, სადაც მისი მეტოქე იქნება მსოფლიოს რეიტინგის ყოფილი პირველი ნომერი **ჯად ტრამპი**.

*„ნახევარფინალში გასვლა შესანიშნავი შედეგია, მაგრამ სიმართლე გითხრათ, ამ ერთი წლის განმავლობაში საერთოდ არ მომნატრებია სნუკერი, უბრალოდ ფული მჭირდებოდა და ამის გამო დავბრუნდი. თანხა უნდა გადამეხადა სკოლაში, სადაც ჩემი შვილები სწავლობენ - ორი თუ სამი სემესტრის საფასური ჯერაც გადაუხდელია.*

*ვხვდებოდი, რომ სნუკერი საერთოდ არ მიზიდავდა, მაგრამ ეკონომიურ მდგომარეობას ვერსად გავექეცი. არ ვიცოდი, რა მელოდა წლევანდელ ჩემპიონატზე, მაგრამ აქ უკვე თანხის გარკვეული რაოდენობა გამოვიმუშავე, ასე რომ, ჩემს შვილებს უახლოესი ორი წელი სწავლაში ხელი არ შეეშლებათ. მაგრამ არ მგონია, რომ სნუკერი და მე ერთმანეთს ვუგებდეთ.*

*შესაძლოა, ეს იყოს ჩემი ბოლო დიდი ტურნირი. სნუკერს მთელი გული და სული უნდა დაუთმო, მე კი დარწმუნებული არ ვარ, რომ ამის გაკეთება მინდა. უბრალოდ, მომწონა აქ დაბრუნებამ და ვგრძნობ, რომ თამაშის დიდი სურვილი არ გამაჩნია. არ მინდა სნუკერს მივცე ჩემი სხეული და სული. მაგრამ, მე ხელი მოვაწერე სპონსორთან კონტრაქტს 10 ტურნირში მონაწილეობაზე, ასე რომ, მომიწევს თამაში",* - ამბობს ო'სალივანი SportingLife-ისთვის მიცემულ კომენტარში.

ამასობაში, შეფილდში მიმდინარე მსოფლიოს ჩემპიონატზე დასრულდა მეოთხედფინალური ეტაპი.

**1/4 ფინალი**

**რონი ო'სალივანი-სტიარტ ბინემი 13:4**
**ჯად ტრამპი-შონ მერფი 13:12**
**რიკი უოლდენი-მაიკლ უაიტი 13:6**
**ბარი ჰოუკინსი-დინ ჯუნჰუ 13:7**

**1/2 ფინალი**

**რონი ო'სალივანი-ჯად ტრამპი**
**რიკი უოლდენი-ბარი ჰოუკინსი**

გვერდი მოამზადა
გია თვალაბეიშვილმა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჰოკეი. NHL პლეი ოფი



სან ხოსემ სტუმრად მოუგო

# კროსბის გარეშეც იოლია

ჰოკეის ეროვნული ლიგის პლეი ოფში კიდევ სამმა სერიამ აილო სტარტი. მოგებით დაიწყო სტენლის თასისთვის ბრძოლა აღმოსავლეთ კონფერენციის პირველმა გუნდმა „პიტსბურგ პინგვინზმა". წინასწარ იყო ცნობილი, რომ ამ მატჩში მონაწილეობას ვერ მიიღებდა „პინგვინების" კაპიტანი და ლიდერი **სიდნი კროსბი**, თუმცა მის გარეშეც, მასპინძლები ძალიან იოლად გაუსწორდნენ „აილენდერსს", რომელიც ექვსწლიანი შესვენების შემდეგ, პირველად თამაშობდა პლეი ოფში.

უკვე პირველ პერიოდში „კუნძულელებმა" ორი შაიბა მიიღეს საკუთარ კარში: თავიდან **ბო ბენეტმა** პრაქტიკულად ნულოვანი კუთხიდან მოახერხა **ევგენი ნაბოკოვის** კარის აღება, შემდეგ კი **პასკალ დუპუიმ** ისარგებლა რუსი მეკარის მორიგი შეცდომით. ნაბოკოვისგან განსხვავებით, ბრწყინვალედ თამაშობდა „პიტსბურგის" კარის დარაჯი **მარკ-ანდრე ფლერი**, რომელმაც 26 დარტყმა მოიგერია და პლეი ოფში პირველი შატაუტი შეასრულა.

მატჩის ბედი მეორე პერიოდის მეორე წუთზე გადაწყდა, როცა „პინგვინზმა" 30-წამიანი ინტერვალით ორი შაიბა გაიტანა: ჯერ **კრის ლეტანგმა** რიცხობრივი უპირატესობა გამოიყენა, შემდეგ კი **ლუბომირ ვიშნოვსკის** გაექცა დუპუი, რომელმაც დუბლი შეასრულა. „აილენდერსის" სამწვრთნელო შტაბმა ნაბოკოვი სათადარიგო მეკარით - **კევინ პოულინით** შეცვალა, რომელმაც მეორე პერიოდში მოასწრო ერთი გოლის გაშვება - მას ფეხებშუა გაუტარა შაიბა **ტანერ გლასმა** - 5:0.

მესამე პერიოდში „პიტსბურგმა" ძალების შენახვა გადაწყვიტა და მშვიდად მიიყვანა საქმე გამარჯვებამდე. თუ აღმოსავლეთის ფავორიტი ასე გააგრძელებს თამაშს, კროსბის შეუძლია მშვიდად გამოტოვოს ეს სერია და გუნდს მეორე რაუნდში სრულად გამოჯანმრთელებული დაუბრუნდეს.

**პიტსბურგი-აილენდერსი 5:0**

**2:0, 3:0, 0:0**

**გოლები:** 1:0 ბენეტი-1 (მალკინი-1, პ. მარტინი-1), 2:0 დუპუი-1 (ადამსი-1, იგინლა-1), 3:0 ლეტანგი-1 (იგინლა-2, მალკინი-2), 4:0 დუპუი-2 (იტონი-1, ი. იოკინენი-1), 5:0 გლასი-1 (ი. იოკინენი-2).

■ ■ ■

აღმოსავლეთში გამართულ მეორე შეხვედრაში „ბოსტონმა" შინ „ტორონტოს" მოუგო. ეს უკანასკნელი „აილენდერსზე" უფრო დიდხანს - ცხრა წელი ვერ ხვდებოდა პლეი ოფში.

ამ დაპირისპირებაში ფავორიტი „ბოსტონია", თუმცა პირველი მატჩი „ტორონტომ" უფრო კარგად დაიწყო და უკვე მეორე წუთზე დაწინაურდა - **ჯეიმს ვან რიმსდიკმა** რიცხობრივი უპირატესობა გამოიყენა.

„ბოსტონს" გარკვეული დრო დასჭირდა გონს მოსასვლელად და „დათვებმა" პირველივე პერიოდში მოახერხეს წინ გასვლა - გოლები **რედენმა** და **ჰორტონმა** გაიტანეს. მეორე პერიოდში ამას დაემატა **კრეიჩისა** და **ბოიჩაკის** შაიბები - 4:1.

**კლოდ ჟულიენის** გუნდი თითქმის მთელი მატჩი დომინირებდა ყინულზე და მეტოქეზე ორჯერ მეტი დარტყმა შეასრულა - 40 20-ის წინააღმდეგ. მატჩის საუკეთესო მოთამაშე კი **დავიდ კრეიჩი** გახდა, რომელმაც სამი ქულა (1+2) აიღო.

**ბოსტონი-ტორონტო 4:1**

**2:1, 2:0, 0:0**

**გოლები:** 0:1 ვან რიმსდიკი-1 (ფრანსონი-1, ბოდაკი-1), 1:1 რედენი-1 (გ. კემპბელი-1, პეი-1), 2:1 ჰორტონი-1 (რედენი-1, კრეიჩი-1), 3:1 კრეიჩი-1 (ლუჩიჩი-1), 4:1 ბოიჩაკი-1 (კრეიჩი-2, ლუჩიჩი-2).

■ ■ ■

პლეი ოფის პირველი ორი დღის განმავლობაში ერთადერთი გუნდი, რომელმაც სტუმრად თამაში მოიგო, „სან ხოსე შარქსი" გახლავთ.

რეგულარული ჩემპიონატის დასრულების შემდეგ, „ვანკუვერს" არ გაუხარდებოდა მეტოქედ „სან ხოსე" რომ ერგო, რადგან „ზვიგენებმა" სამიდან სამი მატჩი მოუგეს „კენაქსს" რეგულარულში და ამჯერადაც დაანახვეს საკუთარი ძალა დასავლეთის ერთ-ერთ ფავორიტს.

პირველი პერიოდი ყველაზე საინტერესო გამოვიდა, არადა, უამრავი საგოლე მომენტის მიუხედავად, გოლი არც ერთი გუნდის კარში არ გასულა - შესანიშნავად თამაშობდნენ გუნდების მეკარეები: **ანტი ნიემი** და **რობერტო ლუონგო**.

პირველი შესვენების შემდეგ, უპირატესობა მასპინძლებმა მოიპოვეს და მალე პირველი გოლიც გაიტანეს: ნიემის კარის წინ არეულობაში სხვებზე მოხერხებული აღმოჩნდა **კევინ ბიეკსა** - 1:0. თუმცა სტუმრებმა იმავე პირველ 20-წუთეულში აღადგინეს თანაფარდობა: რიცხობრივი უპირატესობისას **ლოგან კუტურმა** გაისროლა ზუსტად.

მესამე პერიოდში კი გოლები მხოლოდ „ზვიგენებს" გაჰქონდათ: ამჯერად ქაოსი ლუონგოს კარის წინ შეიქმნა, რითაც კარგად ისარგებლა **დენ ბოილმა**, რომელმაც მეკარისგან დაუცველი კუთხე აიღო, ხუთი წუთის შემდეგ კი **პატრიკ მარლომ** მიიღო კართან ახლოს კუტურის ოსტატური პასი და ლუონგო ფორვარდს ვერ გაუმკლავდა - 3:1. ასე რომ, „კენაქსმა" „ზვიგენებთან" ამ სეზონში ზედიზედ მეოთხე შეხვედრა წააგო.

**ვანკუვერი-სან ხოსე 1:3**

**0:0, 1:1, 0:2**

**გოლები:** 1:0 ჰანსენი-1 (რეიმონდი-1, ბიეკსა-1), 1:1 კუტური-1 (დ. ბოილი-1, პაველსკი-1), 1:2 დ. ბოილი-1 (უინგელსი-1, პაველსკი-2), 1:3 მარლო-1 (კუტური-1, ვლასიჩი-1).

**სერია:** 0-1

ცხელი ხაზი

| ფეხბურთი | |
|---|---|
| **ინგლისი** | |
| **II ლიგა. პლეი ოფი** | |
| ბრედფორდი-ბარტონი | 2:3 |
| ნორთჰემპტონი-ჩელტენემი | 1:0 |
| **გერმანია** | |
| **რეგიონალლიგა (ჩ-ა)** | |
| კოტბუსი II-გერმანია | 0:1 |
| ჰერტა II-უნიონი II | 1:3 |
| მაგდებურგი-ბერლინერი | 1:1 |
| აუერბახი-პლაუენი | 1:2 |
| **რეგიონალლიგა (დას)** | |
| ფელბერტი-ჰულსი | 3:1 |
| **დანია** | |
| **II დივიზიონი** | |
| ვეილე-ვიბორგი | 1:1 |
| **შვედეთი** | |
| **II დივიზიონი** | |
| ჰამარბიუ-ასირისკა | 1:0 |
| **ფინეთი** | |
| ინტერი-ჰიკ | 2:2 |
| **ნორვეგიის თასი** | |
| **1/32 ფინალი** | |
| ლევანგერი-კრისტიანს. | 2:2 დ.დ. 4:2 |
| მოსი-ფრედრიკსტადი | 0:2 |
| მიონდალენი-ლინი | 1:1 დ.დ. 2:1 |
| ვარდ ჰაუგესუნ.-ფილინგსდალ | 1:0 |
| ბიასენი-მიოლდე | 1:5 |
| გრორუდი-ლილესტრიომ. | 2:2 დ.დ. 2:4 |
| **პოლონეთის თასი** | |
| **ფინალი. I მატჩი** | |
| შლიონსკი-ლეგია | 0:2 |
| **სერბეთი** | |
| ოფკ-რადნიჩკი 1923 | 1:0 |
| პარტიზანი-რადნიჩკი | 3:1 |
| იაგოდინა-ცრვენა ზვეზდა | 2:3 |
| ვოივოდინა-რადი | 1:0 |
| **ბულგარეთი** | |
| ლოკომოტივი (ს)-ჩერნო მორე | 0:0 |
| ლოკომოტივი (პ)-ლევსკი | 0:1 |
| მინიორი-სლავია | 2:4 |
| პირინი-ბეროე | 0:0 |
| **მოლდოვა** | |
| აკადემია-დაჩია | 1:2 |

| ჩოგბურთი | |
|---|---|
| **ATP. ესტორილი** | |
| ელიაში-ისტომინი | 3:6, 6:1, 6:4 |
| რამოსი-ვავრინკა | 6:1, 3:6, 4:6 |
| ჰაასე-რობრედო | 4:6, 4:6 |
| სეპი-ფალა | 6:4, 6:0 |
| **ATP. მიუნხენი** | |
| ფ. მაიერი-მატოშევიჩი | 2:6, 6:4, 6:2 |
| გულბისი-ჰაასი | 4:6, 7:6, 1:6 |
| ტიპსარევიჩი-ჟემლია | 6:4, 6:2 |
| ბრანდსი-მონფილსი | 6:3, 3:6, 6:0 |
| **WTA. ესტორილი** | |
| ოპრანდი-კუზნეცოვა | 6:2, 6:2 |
| პავლიუჩენკოვა-ვესნინა | 6:3, 6:7, 7:6 |
| პუიგი-სუარეს ნავარო | 2:6, 4:6 |
| კანეპი-მორიტა | 6:4, 6:3 |

TV პროგრამა

**3 მაისი. პარასკევი**

**GMG-ფეხბურთი**

10:00 ევროპის ლიგა. 1/2 ფინალი. საპასუხო მატჩი. ბენფიკა-ფენერბახჩე.
12:00 ევროპის ლიგა. 1/2 ფინალი. საპასუხო მატჩი. ჩელსი-ბაზელი.
14:00 ჩემპიონთა ლიგა. 1/2 ფინალი. საპასუხო მატჩი. ბარსელონა-ბაიერნი.
16:00 ინგლისის ჩემპიონატი. XXXV ტური. ასტონ ვილა-სანდერლენდი.
18:00 ყოველკვირეული ტელეჟურნალი - FOOT-BRAZIL.
18:30 ყოველკვირეული ტელეჟურნალი - FOOTBALL MONDIAL.
19:00 ინგლისის ჩემპიონატი. XXXV ტური. არსენალი-მანჩესტერ იუნ.
21:00 საფეხბურთო პროგრამა - გოლი.
22:30 გერმანიის ჩემპიონატი. XXXII ტური. ბორუსია (მ)-შალკე (LIVE).
00:30 ჩემპიონთა ლიგის მიმოხილვა.
01:30 მსოფლიო ფეხბურთის ლიდერები.

**GMG-სპორტი 1**

10:00 ფეხბურთი. გერმანიის ჩემპიონატი. ბაიერნი-ფრაიბურგი.
12:00 სპორტ-NEWS.
12:15 კალათბურთი. NBA. პლეი ოფი. 1/8 ფინალი. დენვერი-გოლდენ სტეიტი. V მატჩი.
15:00 ფეხბურთი. არგენტინის ჩემპიონატი. ნიუელსი-რასინგი.
17:00 რაგბი. ოთხი ერის თასი. არგენტინა-სამხრეთ აფრიკა.
19:00 მსოფლიო კალათბურთის ლეგენდები. ჩიკაგო ბულზი. 1995-96 წელი.
20:00 ფეხბურთი. გერმანიის ჩემპიონატი. შალკე-ჰამბურგი.
22:00 საავტომობილო სპორტი. რალი-კროსი. პორტუგალია. მიმოხილვა.
23:00 კალათბურთი. NBA. პლეი ოფი. 1/8 ფინალი. დენვერი-გოლდენ სტეიტი. V მატჩი.

**GMG-სპორტი 2**

10:00 ჩოგბურთი. ATP-ის ტური. მასტერსი. მადრიდი. ესპანეთი.
13:40 სპორტ-NEWS.
14:00 კალათბურთი. ევროლიგა. ბარსელონა-პანათინაიკოსი.
16:30 ჩოგბურთი. ATP-ის ტური. მასტერსი. მადრიდი. ესპანეთი.
20:45 კალათბურთი. NBA. რეგულარული ჩემპიონატი. ჩიკაგო-ფილადელფია.
23:00 ჩოგბურთი. ATP-ის ტური. მასტერსი. მადრიდი. ესპანეთი.

**ამინდის პროგნოზი**

| | | | |
|---|---|---|---|
| თბილისი | 12 | 27 | (მზე) |
| ქუთაისი | 16 | 33 | (მზე) |
| ბათუმი | 14 | 23 | (მზე) |
| ფოთი | 14 | 21 | (მზე) |
| ზუგდიდი | 13 | 32 | (მზე) |
| გორი | 13 | 29 | (მზე) |
| თელავი | 12 | 26 | (მზე) |
| სიღნაღი | 12 | 25 | (მზე) |
| ბაკურიანი | 7 | 23 | (მზე) |
| ბორჯომი | 7 | 27 | (მზე) |
| მესტია | 7 | 28 | (მზე) |

**ვალუტის კურსი**

| | |
|---|---|
| 1 ევრო | 2.1716 |
| 1 ამერიკული დოლარი | 1.6483 |
| 1 ბრიტანული ფუნტი | 2.5687 |
| 100 რუსული რუბლი | 5.3097 |

ჩოგბურთი

# ნავრატილოვა: სელეში მეტს იმსახურებდა


მარტინა ნავრატილოვა

მსოფლიოს ყოფილმა პირველმა ჩოგანმა, ლეგენდარულმა ამერიკელმა **მარტინა ნავრატილოვამ** გაიხსენა 1993 წლის აპრილში ჩოგბურთელ **მონიკა სელეშზე** თავდასხმა. „დიდი სლემის" ტურნირების მრავალგზის ჩემპიონმა თავისი აზრი გამოთქვა იმასთან დაკავშირებით, თუ როგორ შეცვალა ამ ინციდენტმა ჩოგბურთის ისტორია.

*„ვფიქრობ, ის თავდასხმა რომ არა, სელეში გაცილებით მეტ „დიდ სლემს" მოიგებდა. დღეს ჩვენ ვილაპარაკებდით მონიკაზე, როგორც დიდ ტურნირებზე გამარჯვებების მიხედვით აბსოლუტურ რეკორდსმენზე. ვფიქრობ, ის გაუსწრებდა მარგარეტ კორტსაც და შტეფი გრაფსაც. ამ უკანასკნელმა „დიდი სლემის" 22 ტურნირი მოიგო და დღეს მასთან კონკურენცია არავის შეუძლია. სელეში კი ამას შეძლებდა. იმ ადამიანმა, რომელიც მონიკას თავს დაესხა, შეცვალა ჩოგბურთის ისტორიის მსვლელობა"*, - ამბობს ნავრატილოვა Tennis.com-ისთვის მიცემულ კომენტარში.

შეგახსენებთ, რომ 1993 წლის 30 აპრილს, გერმანელი **შტეფი გრაფის** ფანმა **გიუნტერ პარშმა** ჰამბურგის ტურნირზე, ერთ-ერთი მატჩის მსვლელობისას დანა ესროლა 19 წლის მონიკა სელეშს. სპორტსმენი მიღებულ ჭრილობას დიდი ხანი მკურნალობდა და კორტზე ორი წლის შემდეგ დაბრუნდა. მაგრამ, ამის შემდეგ მან მხოლოდ ერთხელ მოიგო „დიდი სლემის" ტიტული, რომელიც მისთვის მეცხრე და უკანასკნელი აღმოჩნდა კარიერაში.

გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**

კრივი

# ჰარისონი უტიტულოდ წავიდა

ცნობილმა ინგლისელმა მოკრივემ **ოდლი ჰარისონმა** შაბათს, **დეონტეი უაილდერთან** დამარცხების შემდეგ, კარიერის დასრულების შესახებ ოფიციალურად გამოაცხადა.

41 წლის სუპერმძიმეწონოსანმა მხოლოდ 70 წამი გაუძლო რინგზე პეკინის ოლიმპიური თამაშების ბრინჯაოს პრიზიორს. ბრძოლა 27 აპრილს, ქალაქ შეფილდში გაიმართა. ამ სამარცხვინო წაგების შემდეგ, ინგლისელმა გადაწყვიტა, რომ რინგიდან წასვლის დრო მოვიდა. პროფესიულ კრივში მის ანგარიშზე 38 ბრძოლაში 31 მოგება მოდის.

*„შეიძლება ბევრჯერ მოგიწიოს რინგზე დაცემა იქამდე, სანამ მიხვდები, რომ ბრძოლის გაგრძელება სისულელეა. მე ხშირად ვეცემოდი რინგზე, მაგრამ ყოველთვის ძალიან მინდოდა გავმხდარიყავი მსოფლიოს ჩემპიონი მძიმე წონაში. ამისთვის ბევრი ვიშრომე, მაგრამ, სამწუხაროდ, ჩემი ოცნება არასოდეს ახდება. მხოლოდ ერთხელ ცხოვრობ, დროის უკან დაბრუნება შეუძლებელია, ასე რომ, ამ აუსრულებელ ოცნებასთან ერთად მომიწევს ცხოვრება. საკმაოდ გვიან გავაცნობიერე გარკვეული დეტალები ჩემს ცხოვრებაში და ამის გამო, ბედისგან მძიმე დარტყმები მივიღე"*, - ფილოსოფიურად ახსნა თავისი გადაწყვეტილება ბრიტანელმა მოკრივემ.

თავის საკრივო კარიერაში ოდლი ჰარისონს ყველაზე დიდი წარმატებისთვის მოყვარულთა დონეზე მიუღწევია - ის 2000 წელს, სიდნეის ოლიმპიადაზე ოქროს მედლის მფლობელი გახდა.


ჰარისონი სიდნეის ოლიმპიადაზე

# მზე ტრიალებს დედამიწის გარშემო, თუ პირიქით?




რამდენადაცმრავალფეროვანია საქართველოს რელიეფი, იმდენად მრავალფეროვანია ხალხი. ზოგი მეტად ამაყია, ზოგი ზედმეტად სკეპტიკოსი, ზომიერებიც მოიძებნება...

**ამაყი ქომაგი:** ალბანეთი გნებავთ, ფინეთი თუ სხვა მსგავსი ქვეყანა, როდის მიუღწევიათ თუნდაც უეფას თასის ფინალამდე? ქართველებს თასების თასი გვაქვს მოგებული! რომელ ალბანელს უთამაშია „მილანში“? კახა კალაძეს უთამაშია!

რას იტყოდა ამაყი ქართველი NBA-ში მოთამაშე ზაზა ფაჩულიაზე? რას უპასუხებდა სკეპტიკოსი, ამის განსჯა თქვენთვის მოგვინდვია. საქართველოს ნაკრების მორაგბეებს რუსი „დათვები“ რომ ჰყავთ გამოქერილები, ესეც ბევრისთვის ქცეულა ტრაბახის მიზეზად.

ყველა საქმეში ზომიერებაა საჭირო, იმის გამო, რომ ალბანელს „მილანში“ არ უთამაშია, შკიპერებთან ცხვირაწევით არ უნდა ვილაპარაკოთ; რადგან ქართველებს NBA-ში ოთხი კალათბურთელი



ინა ჟირკოვა




გვყავდა (ახლა ორია), ევროპის საშუალოზე დაბალ ნაკრებებს კალათბურთელის სიმაღლიდან, ზემოდან, არ უნდა გადმოვხედოთ; არც მორაგბეთა მიერ რუსების რბევა გამოდგება მუდმივად სატრაბახოდ, რადგან ბევრი ნაკრებისთვის რუსებთან რაგბიში გამარჯვება მზესუმზირის კნატუნის ტოლფასია.

...მაგრამ 25-დან 28 აპრილის ჩათვლით იყო წუთები, როცა ცხვირაწევით ვთქვით: ევროპა ჩვენია! ძველი კონტინენტის დანარჩენ ქვეყნებს ზემოდან... კვარცხლბეკის მწვერვალიდან გადმოვხედეთ; და ტრაბახით გავათანამედროვეთ ძველი ბერძენი მოგზაურების სიტყვები: „ოქრომრავალი საქართველო“ (ელინების დოკუმენტებში ხშირადაა ნახსენები „ოქრომრავალი კოლხეთი“).

როგორც მიხვდით, ლაპარაკია 25-28 აპრილს უნგრეთში გამართულ ძიუდოს ევროპის ჩემპიონატზე, სადაც ინდივიდუალურ ჩათვლაში 3 ოქროს, 3 ვერცხლისა და ერთი ბრინჯაოს მედალი მოვიპოვეთ, ხოლო გუნდური შეჯიბრების ფინალში ძიუდოისტებმა რუსეთის ნაკრებს 4:1 მოუგეს.

■ ■ ■

4:1... ეს ანგარიში გასულ კვირაში ყველა სპორტული გაზეთის პირველ გვერდზე მოხვდა. გახსოვთ, რა შეხვედრა დამთავრდა 4:1? ესპანელებს პასუხის გაცემა გაუჭირდებათ, „ბუნდოვნად გვახსოვსო“, იტყვიან. სამაგიეროდ, ლუდმომარჯვებული გერმანელები ამაყად გვიპასუხებდნენ - „დორტმუნდმა“ „რეალი“ სწორედ სამბურთიანი სხვაობით გაანადგურაო. წინა „ტაიმლაინშიც“ აღვნიშნე, რომ ჩემპიონთა ლიგის ნახევარფინალებში გერმანელთა მიერ ესპანელების ჩაგვრას სოციალურ ქსელებში არაერთი ხუმრობა მიეძღვნა, რომელთაგან ბევრს +18 უნდა დართვოდა. ერთმა „ფეისბუკ-მეგობარმა“ ისიც იკითხა, „ბარსა“-“ბაიერნის“ მიმოხილვას ზედა კუთხეში +18 რატომ არ ეწერაო...

ზრდასრულთა თემა „ბრძენთაბრძენმა“ მარიო ბალოტელიმ განაგრძო, რომელმაც, იმედს ვიტოვებთ, რომ დაუფიქრებლად თქვა: თუ „რეალი“ 1:4 წაგების შემდეგ მადრიდში თამაშს შემოატრიალებს და ჯგუფიდან გავა, ჩემს „გიორლფრენდს“ თითოეულ რეალელს დავუთმობო. მადრიდელებს 3:0-მდე ძალიან ცოტა დააკლდათ... საინტერესოა, რას იტყოდა მარიო ფინალში „რეალი“ რომ გასულიყო. დარწმუნებული ბრძანდებოდეთ, ათას კაცს რომ ეფიქრა, ბალოტელის აზრს მაინც ვერ გამოიცნობდა. ხვდებით, რატომაც.

■ ■ ■

შემთხვევითობას უნდა მიეწეროს, რომ სწორედ იმ დღეს, როცა ბალოტელის ფრაზა წავიკითხე, ფეხბურთელ იური ჟირკოვის მეუღლის, რუსი მოდელის, ინა ჟირკოვას ვიდეოინტერვიუს გავეცანი სათაურით „ფული გაქვს, ჭკუა არ გინდა“.

ჟურნალისტი ბორის სობოლევი მეტად მომხიბვლელ ქალბატონს, „მისის რუსეთს“ „ზერთულ კითხვას“ უსვამს: „დედამიწა ტრიალებს მზის გარშემო, თუ - მზე დედამიწის გარშემო?“ ინა ჟირკოვამ ჯერ მზე დაატრიალა ჩვენს გარშემო, შემდეგ პირიქით, ბოლოს გულახდილად თქვა - ეს ჩემი კომპეტენცია არ არისო...

ამ ვიდეოს შესახებ ერთ-ერთ კოლეგას ვუამბე. მან იდენტური ამბავი გაიხსენა: კრიშტიანო რონალდოს საცოლე ირინა შეიკს ყველაზე გემოვნებით ჩაცმულთა კონკურსში გამარჯვების შემდეგ ქსენია სობჩაკმა სწორედ ის ჰკითხა, რაც ბორის სობოლევმა ინა ჟირკოვას. პასუხის გასაცემად შეიკსაც მოუწია ფიქრი - მზე ბრუნავს დედამიწის გარშემო, თუ...

კოლეგას იქვე ვკითხე: როგორ ფიქრობ, რონალდო რას უპასუხებდა?

- მზეცა და დედამიწაც ჩემს გარშემო ტრიალებენო.

**ვაჟა სიმონიშვილი**

## რატომ არ გამოიძახეს ფაჩულია?

გუშინწინ საქართველოს ნაკრების მწვრთნელმა იგორ კოკოშკოვმა გაფართოებული შემადგენლობა გამოაცხადა. სიაში არ არის ზაზა ფაჩულია. გასაკვირია, რატომ უარყო მწვრთნელმა ფაჩულია. ის ხომ 3 აპრილს გაკეთებული ოპერაციის შემდეგ უკვე ვარჯიშობს. თუ არ გჯერათ, ფოტოს დააკვირდით.







## წვივსაფარი

2011 წლის ევროპის ჩემპიონატზე კალათბურთელი მარკ გასოლი ტრიბუნაზე პირველ რიგში დაჯდა, დავაკვირდი და ყურსასმენზე საკუთარი სახელ-გვარი ეწერა. ცნობილი ვარსკვლავები სპეციალურად საკუთარი ფირმის ფეხსაცმელებს რომ ამზადებდნენ, ესეც არახალია. გამაკვირვა საქართველოს დროშიანმა წვივსაფრებმა, რომელიც მეგობარმა „ფეისბუკის“ ერთ-ერთ განყოფილებაში მიჩვენა. თურმე, წვივსაცავები საგანგებოდ გიორგი ჭანტურიასთვის ყოფილა დამზადებული.

...პარალელური ფოტოდანაც დარწმუნდებით, რომ არსებობს ალტერნატიული, უფრო ბუნებრივი დაცვა.

დამფუძნებელი და გამომცემელი შპს გამომცემლობა ლელო

ISSN 2233-3827

გამოიცემა ყოველდღე, გარდა კვირისა

მთავარი რედაქტორი **თენგიზ გაჩეჩილაძე**

მთავარი რედაქტორის პირველი მოადგილე **გია თვალაბეიშვილი**; მოადგილეები: **ნიკოლოზ ნეფარიძე, გია ტუხაშვილი**; მხატვრული რედაქტორი: **ვაჟა სიმონიშვილი**
ტექნიკური ჯგუფის ხელმძღვანელი **მიხეილ ჯაში**; ფოტო: **თამუნა ყულუმბეგაშვილი.** *ნომრის პასუხისმგებელი რედაქტორი:* **გია თვალაბეიშვილი**

1934 წლიდან გაზეთს ხელმძღვანელობდა სარედაქციო კოლეგია. „ლელოს“ მთავარი რედაქტორები: მიხეილ კაკაბაძე (1949-52, 1964-76), ერემო მახათაძე (1952-53), ირაკლი უგულავა (1953-64), ანზორ ბასილაია (1976-83), არჩილ გოგელია (1984-85), თენგიზ გაჩეჩილაძე (1985-დან).

პალიტრა მედიის ცხელი ხაზი: 2383-384. ელფოსტა: leloltd@gmail.com (რედაქცია); lelo@palitra.ge ხელმოწერილია დასაბეჭდად: 02:00

მისამართი: იოსებიძის, 49. ტელეფონები: 242 32 73, 599 55 48 97 (მთ. რედაქტორი); ფაქსი: +995. 232 38 08 63; ინდექსი 66435 INDEX. რეკლამა: 237 78 07

რედაქციასთან შეუთანხმებლად გაზეთის კუთვნილი მასალებისა და ფოტოების სხვა ბეჭდვით და ელექტრონულ საშუალებებში გამოქვეყნება აკრძალულია

საბანკო რეკვიზიტები: შპს „გამომცემლობა ლელო“, 205262062. ბანკი „ქართუ“ CRTUGE22 ა\ა GE19CR0120007000043608